1988

ISSN 0132 – 6007

ჯიმღაზი

9
1988



ბაიცანით: სანწავლო-საწარმოო მეურნეობის დირექტორი ზურაბ ბეჭრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილწავლეთ მიწის სიყვარული

ნინო ხარაზიშვილი

ფოტო თ. ცაგარლისა

ბევრი იჭინჭყლა ივნისმა, წვიმიანობით მარტიც უკან ჩამოიტოვა და მაისიც. სოფლის ტალახი დაუბედა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ნათეს ფართობებზე ხელისგამოსაღებად გამოშლილ მოზარდებს. მაინც სანაქებოდ მოიხილიანა გორმა. რაიონის 57 საშუალო და არასრული საშუალო სკოლის 3.000 მოსწავლეს გვერდით დაუდგნენ სტუმრებიც — თბილისის ლენინის რაიონის სკოლების 450 უფროსკლასელი, განა მართლა სტუმრებივით გაისარჯნენ? სოფლის საქმე არავის უუცხოვია. მარჯვე ყმაწვილებად დაამახსოვრეს თავი ვარიანელ, ძევერელ, კარალეთელ, დიცელ, მერეთელ, ხელთუბნელ და შავშვებელ მეურნეებს თბილისის მე-7, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, 113-ე, 138-ე, 141-ე, 154-ე და 164-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა — ხილიც უხვად მოიწიეს, ერთწლიანი კულტურებიც ყოჩაღად გათოხნეს, ახალ ნარგავებსაც ძირები შემოუთოხნეს, მინერალური სასუქების შეტანასა და კურკოვანი ხილის კრეფაშიც წილი დაიდეს.

ჩვენ დედაქალაქის მე-7 სკოლელთა ბანაკს ვეწვიეთ. ახალგამოდარებულზეც კარგა გაჩაღებული მუშაობა დაგვხვდა მოსწავლეებისათვის გამოყოფილ ნათეს ფართობში. უკვე თითქმის ამთავრებდნენ იმ დღის სამუშაო ნორმას — ოც მეასედ ჰექტარზე კომბოსტოს ჩითილის რგვას. სოფლის საქმეს შევეჩვიეთ კი არა, საკუთარი შრომის „გმირებიც“ გავიჩინეთო, ხუმრობდნენ.

ხუმრობა იქით იყოს და მართლაც ყოჩაღი გოგო-ბიჭები ყოფილან უფროსკლასელთა შრომისა და დასვენების ბანაკ „მამულში“. მალე აუთვისებიათ სამუშაო, დაზარებას არ იმჩნევენ, ყოველთვის ხალისით მუშაობენო, გვითხრა პატივცემულმა გივი ჯავახიშვილმა, ძევერის საბჭოთა მეურნეობის მეორე უბნის უფროსმა; მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებზეც მოგვითხრო ცოტაოდენი რამ: უკვე 8 ჰექტარი ხეხილის გაღისთვის შემოუთოხნიათ ძირები „მამულის“ მებრძოლებს, გაუთოხნიათ 2 ჰექტარი პატისონი, 5 ჰექტარი ლობიო, 1 ჰექტარიც — კომბოსტო. საცაა დააჯამებენ ბრიგადებს შორის გაშლილი სოცშეჯიბრების შედეგებს. ჯერჯერობით ხათუნა მოსესოვას ბრიგადა მეწინავეობს — პირველი ბრიგადა. ბრიგადაც სამი აქვთ და პედაგოგიც სამი ჰყავთ „მამულის“ გოგო-ბიჭებს. ასე რომ, გულშემატკივარი და უფროსი მეთვალყურე ყოველ მათგანს თავისი ჰყოლია. მაგრამ მარტო გულშემატკივრობას როდი სჯერდებიან, თავიანთი მოსწავლეების მხარდამხარ შრომობენ ბანაკის უფროსი, სკოლის დირექტორის მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში ნაზი ასლამაზიშვილი, პედაგოგები ქეთევან ირემაძე და კობა კვინიკაძე.

ბანაკის უფროს-უმცროს წევრთა მეგობრობის ძირითადი საყრდენიც ესაა. ერთად შრომობენ, ექსკურსიებზე ერთად დადიან, ერთად ატარებენ დისკოთეკებს და სხვადასხვა გასართობ თუ შემეცნებით საღამოებს. თავის მოვალეობებს ყოჩაღად ართმევს თავს ბანაკის კომისარი ეკა ნეკერიშვილი. ამას წინათ მასპინძლის — ძევერის საშუალო სკოლის

F-5425

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლევანდელ კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილებაში მიიღეს მონაწილეობა. 22 ივნისს ანტიფაშისტური მანიფესტაცია ჩაატარეს, დამკვრელური შრომის დღეების დროსაც გულიანად იმუშავეს — მაშინ გამომუშავებული მთელი თანხა ბავშვთა და მშვიდობის ფონდებში გადარიცხეს. ექსკურსიებიც მოაწყეს — უფლისციხეში, ატენის სიონში, გორის ციხეზე; ამ დღეებში ნიკო ლომოურის საფლავიც მოინახულეს. ახლა შიდასაბანაკო სპარტაკიადა და „მხიარული სტარტები" ვთქვათ... ერთი მატჩი ძევერის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდსაც მოუგეს. ყველა მოწვეული სტუმარი გაახალისა მე-7 სკოლელთა მიერ ჩატარებულმა „სიცილის საღამომ".

ყუთების შეკვრაში ბიჭებს არც გოგონები ჩამორჩებიან

ახლა შრომითი მეოთხედის მიწურულია და გამოსათხოვარი მეჯლისისათვის საგანგებოდ ემზადებიან მამულელები. სიურპრიზად საინტერესო საღამოს ჩატარებას აპირებენ. ჩვენ მხოლოდ ლონისძიების სახელწოდება გაგვიმხილეს — „ბავშვები თავიანთი პედაგოგების შესახებ". საინტერესოა, მასზე ისეთივე გულწრფელები თუ იქნებიან ყმაწვილები, როგორც შრომითი ზაფხულის შესახებ ამას წინათ შემოთავაზებულ კითხვარზე პასუხის გაცემისას?

შრომით მეოთხედში მონაწილეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს თბილისის მე-7 საშუალო სკოლას და ეს ამ ბანაკის ორგანიზებასაც ემჩნევა, თავიანთი უფროსი დამების მიერ ხეცერაში, მჭადიჯვარში, გორის რაიონის სოფლებში — ვარიანსა და შავშვებში გატარებულ შრომით ზაფხულებსაც „იგონებენ" მოზარდები. გამოტეხილად ამბობენ, ჩვენც ბლის კრეფაზე გვინდოდა მუშაობაო... ეს „გულისდაწყვეტა" მათი კედლის გაზეთის ერთ-ორ ნომერსაც ატყვია. თავიანთ შრომისმოყვარე მეგობრებზე ლაპარაკი კი უფრო სიამოვნებთ. ასეთი ბავშვი ბანაკში ბევრია. ჩამოვთვლით რამდენიმეს: კახა ხუციშვილი, ავთო პაპაიანი, ნინელი მელაძე, ამირან ბუჯალიანი, მიშიკო შამუგია (სწორედ ის, ამ რამდენიმე დღის წინათ ჭარხლის კვალი რომ სულ მარტოდმარტომ გაიყვანა), ხათუნა დავითური, ხათუნა მოსესოვა, ჯონი იასაღაშვილი, სოფლის მეურნეობაში ყველაზე „გამოცდილნი" — ძმები გიგა და დათო კობერიძეები.

გულღია მასპინძელი ჰყავთ თბილისელებს — ძევერის აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა... მშვენიერი, მზიანი საძილე ოთახები, სუფთა სასადილო, სკოლის სანაქებო ტერიტორია — საითაც გაიხედავ, ჩრდილია და მწვანიანი... ძევერის სკოლის დირექტორის გურამ აბრამიძის დიდი ხათრი აქვთ, ისევე, როგორც თავიანთი სკოლის ახალგაზრდა დირექტორისა — ქეთევან მუხიგულის. ქეთინო მასწავლებელი უკვე რამდენიმე დღეა, აქ არის და ისევ ბავშვებმა გაგვიმხილეს, რომ ძევერის სკოლის ეზო-კარმიდამოში მოწყობილი ეს მხიარული შაბათობებიც სულ მისი შემოძახების შედეგია.

ძალზე ხალისიანი და შრომისმოყვარე „მეზობლები" ჰყავთ ძევერაში თბილისელ ყმაწვილებს — ძევერის საშუალო სკოლის მოსწავლეები. სწორედ მათ გამოა, რომ ძევერის სკოლას აქვს დამატებითი წარწერა — „საბაზო ორგანიზაცია"...

მოგითხრობთ მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობაზე, რომელიც ძევერის საბჭოთა მეურნეობაში სწორედ ამ სკოლის ბაზაზე არსებობს. იგი უკვე ოთხი წელია, რაც მოქმედებს. ერთი ცნობაც: ამ მეურნეობის მუშაობის შესახებ ანგარიში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ წარუდგინა ძევერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვალერი სუხიშვილმა. ასე განვითარდა ჩვენს რესპუბლიკაში განათლების სამინისტროსა და აგრომრეწვის თანამშრომლობის ეს შესანიშნავი ფორმაც.

ძევერის სასწავლო-საწარმოო მეურნეობას თავისი საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც აქვს (იგი ძევერის მეურნეობას 360.000 მანეთი დაუჯდა) და საკუთარი ხელმძღვანელობაც ჰყავს: მეურნეობის დირექტორია მეთერთმეტეკლასელი ზურაბ ბუხრაძე — სერიოზული, სი-

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ჰიონეკრი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა 9 სექტემბერი 1988

ს.ქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ტყვაძუნწი ბიჭი; მოადგილე — სოსო ბუხრაძე, ბუღალტერი — ინგა კეჩხუაშვილი, ბრიგადირები — ჯაბა და რეზო დადიანიძეები, სოსო გარსევანიშვილი, გენადი ჯოლბორდი, სოფიკო ეცადაშვილი; ჰყავთ მერგოლურებიც, აღმრიცხველებიც. მეურნეობის ადმინისტრაციას საგულდაგულოდ აქვს შენახული მეურნეობაში გაწევრიანებისათვის თითოეულის მიერ მოტანილი განცხადება.

არც ლმობიერი დირექტორია ზურაბი. სამუშაოს გამცდენსა და უდისციპლინოს თავზე ხელს არ უსვამს, მეურნეობიდან რიცხავს კიდეც. თითოეული სამუშაო დღე მკაცრად აქვს რეგლამენტირებული. ბრიგადები ერთმანეთს ენაცვლებიან. აი, ახლაც — სოფიკო ეცადაშვილის, ე. ი. მერვეკლასელების ბრიგადა რომ მორჩა თავის წილ საქმეს, ოც სამუშაო დღეს მას მეთერთმეტეკლასელები შეენაცვლნენ, შემდეგ მეათეკლასელთა ბრიგადის ჯერია. ასეა ზამთარშიც, ოღონდ ზამთარში სასწავლო მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობას სხვა, დამატებითი დატვირთვაც უჩნდება: მანქანათმცოდნეობის კაბინეტში სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და აგროტექნიკაში მეცადინეობენ, შემდეგ საათებში კი სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებში ინაცვლებენ და ხილის ჩასაწყობი ყუთების მარაგს ამზადებენ, ხეზე წვავენ და ჭრიან ნაირნაირ სურათებს ან რიკულებს. ეს — კვირაში ერთხელ. ზაფხული კი მეტად შრომატევადი დგება ძევერის სასწავლო-საწარმოო მეურნეობის წევრებისათვის. სამუშაო ბევრი უგროვდებათ — მოსაკრეფი, გასათოხნი. იმ დღეს ხახვი თოხნეს, დღიურ ნორმასაც (10 მეასედი ჰექტარი) ერთიორად გადააჭარბეს — 27 მეასედი ჰექტარი გათოხნეს.

30 ჰექტარზეა გაშენებული ძევერის სასწავლო-საწარმოო მეურნეობის ნათესი ფართობები. თავიანთი სამყოფი ყველაფერი აქვთ. საკვები ჭარხალი — 1 ჰექტარზე, ხახვი — 1,10 ჰექტარზე, 1 ჰექტარზეც — კომბოსტო. ცოტა კურკოვანი ხეხილიც აქვთ; საკუთარი სანერგე მეურნეობაც — კომბოსტოს ჩითილი აქვე გამოჰყავთ და თავადვე რგავენ. წლეულს ჩაბარების გეგმაც დაუდგინეს: 18 ჰექტარი ხეხილის ბაღიდან 55 ტონა ვაშლი უნდა აიღონ, 1 ჰექტარი კურკოვანი ბაღიდან კი — 4 ტონა ნაყოფი. ნაღვლობენ, ვინ იცის, როგორი პირი ექნება გეგმის შესრულებასო — უამინდობას გაუფუჭებია „ბანანი", ზოგი რამ სხვაც, „გოლდენი" კი ასხია, მაგრამ ამდენი ტონის ჩაბარებას მარტო ის აბა რას გასწვდებაო...

საკმაოდ მაღალი დღიური გამომუშავება აქვთ პატარა მეურნეებს, თითოეულს ხშირად — 6 მანეთი და 50 კაპიკი. კაპიკ-კაპიკ ერიცხებათ თავიანთ ანგარიშზე, დაამთავრებენ სკოლას და გარკვეული პატარა თანხის მფლობელებიც გახდებიან. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ აქ, ამ მეურნეობაში ისინი სწავლობენ შრომას, ერთმანეთის გვერდით ყოფნას, საკუთარი სოფლისა და ქვეყნისათვის სამსახურსა და გამოდგომას.

ათობით პატარა მეურნეობა ... ძევერის სასწავლო-საწარმოო მეურნეობამ ამ ოთხი წლის განძილზე. მათი ერთი ნაწილი დღეს ძევერის საბჭოთა მეურნეობის მშრომელია: მარიკა კულაშვილი და ნონა მელქუაშვილი, დავით კეჩხუაშვილი (სასკოლო მეურნეობის ყოფილი დირექტორი), ნონა კეჩხუაშვილი და ნაილი ჯოლბორდი. არ უღალატეს აქაურმა კურსდამთავრებულებმა თავიანთი სკოლის დევიზს „ჩემი სოფელი ჩემი საზრუნავია". დღესაც თავიანთი სოფლის ინტერესებით ცხოვრობენ და სოფლის კარგი შვილობის მაგალითებს აძლევენ სასწავლო-საწარმოო მეურნეობის დღევანდელ მოწინავეებს — კახა ლომიძეს, ნინო ბუხრაძეს, ნანა ჯოლბორდს, მაია გარსევანიშვილს, ნინო მელქუაშვილს, ინგა თათანაშვილსა და ძმებ კეჩხუაშვილებს.

სათოხარიდან ბრუნდებიან ბიჭები, მუშაობით დაღლილები. დროული კაცებივით მძიმედ იხდიან სამუშაო სპეცტანსაცმელს, შხაპს იღებენ. შემოხრიგინდებიან ეზოში მეურნეობის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა და ორივე ტრაქტორი, მათაც აბინავებენ. ერთხანს ანთია სინათლე მეურნეობის „ბჭობის ოთახში", სასწავლო მეურნეობის დირექცია, ძევერის საბჭოთა მეურნეობის აგრონომ ვენერა ბზიშვილთან ერთად, იხილავს სამუშაო დღის შედეგებს. დღეც ასე მთავრდება. და კიდევ ერთი: იშვიათად, რომ მათთან ძევერის საბჭოთა მეურნეობის და სკოლის დირექტორებმა არ შემოიხედონ. ორივე ახალგაზრდა კაცია, სიახლის მოყვარული და ენთუზიასტი, და დღეს ისე არ გაიყვანენ, რაიმე ახალი იდეა არ გადასდონ თავიანთ პატარა მოწაფეებს.

აი, ასე ცხოვრობენ. აი, როგორი დიდი და პატარა ადამიანების მცდელობაა, რომ გორის რაიონში მარტო ადგილობრივი მოზარდების ხელით ყოველწლიურად თითქმის 50.000 მანეთის ღირებულების მარტო სასოფლო-სამეურნეო სამუშაო სრულდება.

ᲨᲘᲓᲐᲡᲐᲑᲐᲜᲐᲙᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲯᲝᲮᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ



ДИДІ ОКТЕМБРІС ГЛЕХІ

ომამთავრდა დიდი სამამულო ომი და მთელი საბჭოთა ხალხი დანგრეულ-განადგურებულის აღდგენას, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გზების ძიებას შეუდგა.

ომმა შეწყვიტა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ხრამჰესის, სოხუმის ჰესის, რესპუბლიკის სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა.

გმირობის ტოლი შრომითი თავდადება გამოიჩინა კომკავშირმა იმ პერიოდში და ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ 1947-1949 წლებში 235-მა კომკავშირელმა დაიმსახურა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ზემო სამგორის მაგისტრალური ხაზის მშენებლობაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა კომკავშირელთა მზადყოფნა, მხარში ამოდგომოდნენ კომუნისტებს, ეშრომათ ქვეყნად გაშლილი დიდი მშენებლობის დამკვრელურ უბნებზე. ათასობით ქართველი ჭაბუკისა და ქალიშვილის წვლილია თბილისის მიმდებარე 20 ათასი ურწყავი ჰექტარის გასარწყავიანებაში.

საჭირო გახდა და — ახალგაზრდობა ყამირი მიწების ათვისებაში ჩაება. 1954 წლის აპრილისათვის კომკავშირის რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებში ყამირზე წასვლის 10.000-მა მსურველმა შეიტანა განცხადება, 1956 წელს საქართველოდან წარგზავნილმა ორი ათასმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიიღო მონაწილეობა ყამირის პირველი მოსავლის აღებაში. მომდევნო წელს მათმა რიცხვმა იმატა და უკვე 6500-მა ახალგაზრდა ენთუზიასტმა მიიღო მონაწილეობა კუსტანაის ოლქის მეურნეობებში მარცვლეულის მოსავლის აღებაში. 1958 წელს რესპუბლიკის უკვე შვიდი ათასი კომკავშირელი შრომობდა ყამირზე. 150 ქართველი ყამირელი დააჯილდოეს მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის", 375 — ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ყამირელთა სასახელო ესტაფეტა ბამის ახალგაზრდა მშენებლებმა ჩაიბარეს და ღირსეულადაც ატარეს იგი.

ათიათასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა გაიარა შრომითი წრთობა რესპუბლიკის დამკვრელურ ობიექტებზე — მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის, ჟინვალჰესის, მადნეულის, ხუდონჰესის მშენებლობაზე, უფროსებს ტოლს არ უდებდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის ქიმიური ქარხნების რეკონსტრუქციაგაფართოებაზე მომუშავე კომკავშირელი ახალგაზრდობა. უდიდესი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდებმა ენგურჰესის მშენებლობის, მისი ხუთივე აგრეგატის ამოქმედების საქმეშიც.

ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ერთსულოვნად აიტაცეს საპროგრამო დევიზები: „შრომა — სტახანოვური, გვარდიული, კომუნისტური!", „სამშობლოს, პარტიას — დამკვრელური შრომა, მუშაობის მაღალი ხარისხი, სანიმუშო სწავლა!", „სწორება კომუნისტებზე!" აიტაცეს და დიდ შრომით საქმეებად აქციეს, დიდად შეუწყეს ხელი რესპუბლიკის წინაშე მდგარი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

სოფლის მეურნეობის ბევრმა ახალგაზრდა მუშაკმა ისახელა იმ წლებში თავი. კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის მეურნეობის ახალგაზრდა შექანიზატორი ნათელა ბუთხუზი პირველად 1973 წელს მიუჯდა ტრაქტორის საჭეს, ერთი წლის შემდეგ კი კარგი მუშაობისათვის კომკავშირელი გოგონა „ბელარუსის" მარკის ტრაქტორით დაჯილდოვდა. აღებულ შრომით სტარტს ნათელა ბუთხუზი არც ახლა ღალატობს. ახლახანს მან ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარგზავნილებთან ერთად პარტიის XIX კონფერენციის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. ბევრი, ძალზე ბევრი ნათელას ტოლ-სწორი შრომობდა, და სასახელოდაც შრომობდა ჩაის პლანტაციებში, ციტრუსოვანთა და ხილის ბაღებში, ვენახებში, ველმინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში. აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის შრომით ცხოვრებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავე რაზმის წარმომადგენლები, ახალგაზრდა მეცნიერები და შემოქმედნი.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენმა ახალგაზრდობამ სპორტულ სარბიელზე. 80-იანი წლების დამდეგისთვის რესპუბლიკის სპორტსმენთა რიგებში 22 ოლიმპიური, 29 მსოფლიო, 500-მდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და საერთაშორისო ოსტატი იყო.

1975 წელს შავნაბადას მთის ფერდობზე, იქ, სადაც კონსპირაციულად იკრიბებოდნენ საქართველოს პირველი კომკავშირელები, საძირკველი ჩაეყარა კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, რომელიც დღეს კომკავშირული, პიონერული კადრებისა და აქტივის სწავლება-დახელოვნების ჭეშმარიტი ცენტრია. რესპუბლიკის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს სწავლის, დასვენების, სხვადასხვა კომკავშირული და პიონერული ღონისძიებების ჩატარების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ახალგაზრდულ ქალაქს საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის, ბორის ძნელაძის სახელი დაერქვა.

მანანა
გელაშვილი

მხატვარი
თეიურ
ფხიკიძე

ლორია კირიოლი და სვეტი

მოთხრობა

სკოლის წინ ერთფეროვან, მოსაწყენ ბუჩქებს შორის გამომწვევად ყვაოდა ჭერმის ხე. „როგორ ერთბაშად აყვავებულა! შაბათს არაფერი ეტყობოდა...“ — გაიფიქრა თამარმა. ფანჯარას ლივლივით ჩამოუფრინა მესამე სართულიდან გამოშვებულმა ქაღალდის ჩიტმა. თამარი უნებურად წამოიწია და თვალი გააყოლა. ჩიტი ჭერმის ქვეშ დაეშვა. გალეულმა ბიჭმა თანაკლასელთა მშობლებთან ჭორაობით გართულ დედას ხელი გააშვებინა, ჩიტს დასწვდა, ჩაცუცქულმავე ახედა ხეს და მოზღვავებული აღფრთოვანებისაგან პირი დააღო. ერთხანს ასე გაოგნებული შეჰყურებდა, მერე გაიმართა, ხეს შეჰღიმა, ტანზე ხელი შეახო და აკოცა.

— რას სჩადიხარ, ფარნაოზ?! გადაირიე?! მოდი აქ! — დასჭექა ბიჭის დედამ. თამარს გუნება წაუხდა, ფანჯარას თვალი მოსწყვიტა და დაფას გახედა. ლოლა მასწავლებელს რაღაც უსაშველო ფორმულა გამოჰყავდა: — ...გავითვალისწინებთ რა ამინომჟავების აღნაგობას ბიპოლარული იონების სახით, რეაქციის განტოლებები ფუძეებსა და მჟავებთან შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: $H_3N^+—CH_2—$... კობახიძე, ხელს მიშლი! $COO^- + Na^+ +$ - ზირაქაძე, აღარ დაიღალე ლაქლაქით?! $OH^- \rightarrow [H_2N—$ რომელი ღმუის? ციალაძე, ისევ შენ იქნები და აგაღმუვლებ, იცოდე, წლის ბოლოს! $CH_2—COO]$ ხმაურია! ვისაც არ აინტერესებს, შეუძლია მიბრძანდეს, დანარჩენებს მაინც აღარ შეუშლის ხელს... $+Na^+ + H_2O$.

თამარმა კლასს თვალი მოავლო, ყველა თავ-თავისი საქმით იყო გართული. — „კაციშვილი არ უსმენს“, — გაიფიქრა.

— ე, კიხოტე, იცი, რას გიზამ? ცოტა გარკვევით ვერ დაწერე, რო დაგიჯღაბნია?! — მუშტი მოუღერა კომბლემ თამარს და ისევ გამალებით შეუდგა ალგებრის დავალების გადაწერას.

— კობახიძე! — ისევ ადვილად გამოარჩია ლოლაბრიჯიდამ კომბლეს როხროხა ხმა.

— მეე, მასწ? — ყასიდად გაიოცა კომბლემ. — ხმა არ ამომიღია, ვზივარ ჩემთვის პატიოსნად, თქვენ კიდევ ამომიჩემეთ და სულ კობახიძე, კობახიძეს იძახით...

— აბა, საწყალი, მამა აბრამის ბატკანი ხარ, ხომ იცი!

— მე-ე-ე-ეე... — დაიბღავლა ვიღაცამ უკანა მერხიდან. ატეხილმა ხარხარმა წონასწორობა დააკარგვინა მასწავლებელს.

— რომელი იყო?! სარსევანიძე, შენ იქნებოდი! გამაგებინე, სად იმყოფები?! და, საერთოდ, რა გემართებათ, რამ გადაგრიათ?!

— ...გაზაფხულის ბრალია... — წაუმღერა პასუხად კახამ.

— კლასი კი არა, სამხეცეა... — გაანჩხლებულ ლოლაბრიჯიდას ბადრიჯნისფრად შეღებილი თმის ძირებიც კი გაუწითლდა. — ამ კლასში ყოველი შემოსვლა თითო წლის სიცოცხლე მიჯდება, რა გახდა ეს მეათე „ა“, რომ ვერ გავიგე?! ვისაც არ უნდა, ბატონო, ქიმია, შეუძლია დატოვოს კლასი, მე ძალას არავის ვატან, მაგრამ იცოდეთ... — სათქმელი ველარ დაამთავრა. თამარი უხმოდ წამოდგა და კარისკენ გაემართა. დაბნეული მასწავლებელი მაშინღა მოეგო გონს, როცა თამარმა კარი გაიხურა... — ხომ ვთქვი, ველურები ხართ! ეს თქვენი ქალბატონი მათემატიკოსი ხომ... თავხედი, უზრდელი!.. მაგას, ეტყობა, თავში აუვარდა... გამომივიდა ესეც ლობაჩევსკი, მუსხელიშვილი.

— პითაგორა დაგავიწყდათ, მასწ, ევკლიდე, გალუა... — მიაშველა კახამ. — სხვათაშორის, ეს უკანასკნელი ასევე ახალგაზრდა იყო, როცა...

— სარსევანიძე! — ლოლაბრიჯიდა ისტერიულ კივილზე გადავიდა. — თავს იგდებ, მაგრამ არა უშავს, დამაცადე, შენც ჩემს ხელში არა ხარ?! — მერე ცოტა ჩაცხრა და შედარებით მშვიდად, ოღონდ ავად გამოსცრა: — სხვა საგნებში ექვსიანებიც რომ ჰყავდეს, ქიმიაში სამზე მეტს ვერ ეღირსება ეგ თქვენი მარიამიძე... მე არ ვიყო ლოლა ორაგველიძე, თუ ეგ გავახარო... ვნახოთ ერთი, როგორ აიღებს მედალს!

ახლა, როცა შურისძიების გზა გამოუჩნდა, ლოლა მასწავლებელი ერთბაშად დაწყნარდა, და სწორედ ამ დროს დაიძრა ბოლო მერხიდან ლოხი კამეჩივით აუჩქარებლად ბექა იმედაშვილი.

— შენ საითღა მიბრძანდები, ვაებატონო? — წყნარად ჰკითხა ნერვებგადაქანცულმა მასწავლებელმა.

— თქვენ არა თქვით, ვისაც არ აინტერესებსო...

— ჰო, რა, ლოლა მასწ, ის კი არა, ორჯერაც ვაგვიმეორეთ, და წავყვები მეც გლდანელს, რა იქნება, — კვლავ წაიოინბაზა კახამ და ისიც კარისკენ გაემართა.

ნელ-ნელა მთელი კლასი წამოიშალა. მხოლოდ მაკა და თრითინა შეყოვნდნენ. მაკას ასაღები მედლის პრჭყვიალმა აათრევინა ფეხი, დაინახოს ლოლა მასწავლებელმა, რომ წასვლა არ მინდა, მაგრამ როცა ყველა მიდის, არც წაუსვლელობა შეიძლებაო. თრითინა კი ჩვეულმა შებოჭილობამ დატოვა კლასში. თან მაკას შიშიცა ჰქონდა. — შეიძლება მეც წავიდე? — მოახერხა და შეჰკნავლა მცირე ხნის შემდეგ გაოგნებულ მასწავლებელს, მაგრამ მის ისეთ მზერას გადააწყდა, რომ პასუხს აღარ დალოდებია, ისე გაიძურწა.

— სანებლიძე, შენ ხომ ხარ მოწმე, როგორ ჩამიშალა მარიამიძემ გაკვეთილი? — დაიგულა მომხრე ლოლაბრიჯიდამ. — მაცალონ, მაგათ ვაჩვენებ სეირს, კლასს რომ დავაშლევინებ, მერე ნახონ!.. ხვალვე მოვაწვევინებ პედსაბჭოს... ჰმ, მარიამიძის ოხტში მაინც ამოვალ, სხვა თუ არაფერი!... შენი იმედი მაქვს, იცოდე!..

მაკამ თვინიერად დაუქნია თავი, რა თქმა უნდაო, და წასული ამხანაგების დასაწევად გაიქცა — მათაც ხომ უნდა ჩვენებოდა.

— კიხოტე! — პასტერის ქუჩის კუთხეში დაეწია თამარს კახას ხმა. — დაგვიცადე! — თამარს გაუკვირდა, რატომღაც არ უფიქრია, თუ დანარჩენებიც დატოვებდნენ გაკვეთილს. მაინცდამაინც არც ესიამოვნა. იცოდა, ლოლაბრიჯიდა არ შეარჩენდათ, მაგრამ მაინც არ უნანია თავისი საქციელი. შარშანდელი ამბის შემდეგ ველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა და ვეღარ მოიბრუნა მასზე გული, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ალბათ საერთოდ არ ივლიდა ქიმიის გაკვეთილზე... იმ დღეს ფიზკულტურის ფორმა დარჩა მერხში და შინ მიმავალი შუა გზიდან დაბრუნდა. კლასის კარი შეაღო და... შეცბა – ლოლაბრიჯიდა ზურგით იდგა და ნატო ჯინჯოლავას დედა კაბას აზომებდა, ისევე, ჩაუცმელად, ბეჭებზე მიედო და ისე. – მხრებშიც მშვენივრად გაქვთ, ქალბატონო ლოლა, სიგრძითაც ნორმალურია... შეიძლება მაჯებს დასჭირდეს ოდნავ შეკეცვა. მე კი ისე ვღელავდი, ვაითუ არ მოერგოს-მეთქი... თუ ფერი არ მოგწონთ, გამოგიცვლით...

ისე იყვნენ გართულები, არც ის გაუგიათ, კარი როგორ გაიღო და არც ის, როგორ გაიხურა. რაღას შევიდოდა, გაოგნებული თამარი სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. ნანახის შესახებ კრინტი არავისთან დასცდენია, მაგრამ როცა მეორე დღეს ლოლაბრიჯიდა იმ კაბით მივიდა გაკვეთილზე, თამარი მიხვდა, რომ ეს ქალი, როგორც მასწავლებელი, აღარ არსებობდა მისთვის.

– სად მიდიხარ, თამარ? – ჰკითხა მიახლოებულმა ზაზამ.

– რა ვიცი... ალბათ იპოდრომზე წავალ.

– მეც რომ წამოვიდე?

– როგორც გინდა.

ზაზას და თამარს კახა, ბექა, ქეთი და მაკაც შეუერთდნენ. რამდენიმემ კინოში ირჩია წასვლა. დანარჩენებმა მთაწმინდაზე გადაწყვიტეს ასვლა.

– ლოლა მასწავლებელი ძალიან არის გაბრაზებული და... – შესთხოვა ამხანაგებს თრითინამ.

– მოდი, თრითინ, რა ქენი, იცი, შენ დაბრუნდი, დედას გეფიცები, ჩვენ ცუდს არაფერს ვიფიქრებთ შენზე, – გაათავისუფლა კახამ მფრთხალი ამხანაგი, მაგრამ თრითინას მარტო დაბრუნებისაც შეეშინდა და ისევ იპოდრომზე წამსვლელებს შეუერთდა.

საცხენოსნო სპორტის სეზონი ჯერ არ გახსნილიყო და იპოდრომის მწვანე მინდორზე ორად ორი – ჩალისფერი ფეხკავშა და ერთიც ფორეჯებიანი – ნებაზე მიშვებული ცხენი მიმოდიოდა ზანტად. ტრიბუნებზე კი საერთოდ არავინ ჭაჭანებდა. ზედა რიგში ჩამოსხდნენ.

– მიდით, ახლა ჯიბეები მოიჩხრიკეთ და მაყუთი ჩამოყაჭეთ, იქნებ რამე საჭმელი ვიყიდოთ, თორემ შიმშილით სული მძვრება, – ჩამოუარა ამხანაგებს კახამ, მუჭით ხურდა ფული ააჩხრიალა, ზაზა გაიყოლა და გადაღმა პურის მაღაზიისაკენ გაიქცა.

– აუჰ, ბექა, წამო რა, ცხენზე შემსვი, – მოინდომა ქეთიმ, და ბექამაც, როგორც ყოველთვის, „კი ბატონო" შეაგება მის სურვილს.

– შეიძლება მეც წამოვიდე? – მორიდებით იკითხა თრითინამ.

– შენ რაღა გინდა, დარჩი! – უბრძანა მაკამ და ისიც დაემორჩილა.

გოგოები დაწინაურდნენ.

– არ გინდა რა, ბექა, ეგ ცხენები არავის მიიკარებენ... – შეაჩერა ბექა თამარმა.

– ჰო, რა ვიცი, აიჩემეს და... – მხრები აიჩეჩა ბექამ და მაკას და ქეთის წამოეწია.

– თამარი ამბობს, ეგ ცხენები არავის მიიკარებენ და ტყუილად ნურც ეცდებითო.

– ოხ! რახან ეგ იტყვის! – ამრეზით შეხვდა თამარის რჩევას მაკა.

– რატომ იცი ხოლმე ეგრე? – შეეკამათა ქეთი.

– რატომ და ყველაფრის მცოდნედ რომ მოაქვს თავი, იმიტომ, რა იცის ახლა მაგან, მიგვიკარებენ თუ არა ცხენები! უბრალოდ...

– მორჩით ახლა! – აღარ დაამთავრებინა ბექამ, – წამოდით, თავლაში მივიდეთ, იქნებ თვინიერი ცხენები მოგვცენ...

– ჰო, ყველაფერში მაინც მაგისი სიტყვა უნდა გავიდეს... – აბუზღუნდა მაკა. ვერაფრით ვერ მოენელებინა თამარის პირველობა. ისე მიაღწიეს მეათე კლასამდე, მისდამი შური არ განელებია, სულ ჯიბრში ედგა. თვითონაც კი ფრიადოსანი იყო, მაგრამ თამარი... მათემატიკურ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მის მიერ მოპოვებული სიგელ-დიპლომებით მათი საკლასო ოთახის ოთხივე კედელი დაიფარებოდა. ჰმ! მათემატიკის მასწავლებელი ისე ევლება თავს, გეგონება, მოსწავლე კი არა, ვინმე დიდი მეცნიერი იყოს! სხვებიც თვალებში შესციცინებენ, ახირებულ ხასიათსაც ადვილად აპატიებენ, ბატონო! მარიამიძე? ოო, მარიამიძე სკოლის თვალია... ჩვენი სიამაყეაო... უთუოდ ძალზე დიდი მომავალი აქვსო... გამორჩეული ნიჭით არის დაჯილდოებულიო... ამას ისიც დაემატა, რომ მაკას ზაზა მოსწონდა, ზაზა კი თამარზე იყო შეყვარებული და თამარი თავისდა უნებურად თანაკლასელის მუდმივ გამღიზიანებლად იქცა. სულ თამართან ჰქონდა მაკას საქმე – საკონტროლო იყო და, თავისი ნიშნის შემდეგ მისი ნიშნით ინტერესდებოდა; ექსკურსია იყო და, ჯერ იმას დაადგენდა, თამარი თუ მიდიოდა; ჩოგბურთზე სიარულიც მისი წამხედურობით დაიწყო, თამარს არ ჩამოვრჩეო.

– იცი, – უთხრა ერთხელ კახამ, – შენი საქციელი სპორტულ შეჯიბრებას მაგონებს. ლიდერი წინ მიდის და მეორე სპორტსმენი მისდევს, მის სიჩქარეს აყოლილი. შენ ის მეორე ხარ, ლიდერი გყავს ისეთი, დაწევით ვერ დაეწევი, მაგრამ მისივე წყალობით შეიძლება სხვა დანარჩენებზე უკეთესი შედეგი კი აჩვენო.

ახლაც იმიტომ მოინდომა იპოდრომზე წასვლა, ვაითუ ის შესაძლებელი სიამოვნება ამცდეს, რაც, ვინ იცის, თამარს ელოდებაო, თორემ კინოში წასვლა ერჩია.

თამარი კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. შავი და ყვითელი წერტილები აუთამაშდა თვალწინ. გაზაფხულის მზე საამოდ ელამუნებოდა პირისახეზე.

ო, რა ცხენი ჰყავდა დართლოელ გაბრო იდოიძეს! შეგსვამო, შეპპირდა, მაგრამ სწორედ მეორე დილით არ წაჰგვარა ვილაც გადამთიელმა?! შენ ფიქრი ნუ გაქვს, დღესვე დავიბრუნებ და გაჭენებინებო, მაგრამ იმ დღეს კი არა, არც მეორე დღეს გამოჩენილა გაბრო, ხოლო მესამე დღეს ისინიც დაიძრნენ ფარსმისაკენ...

– თამარ, როგორ ფიქრობ, მშობლებს დაგვიბარებენ? – თრითინას გაუბედავმა ხმამ თუშეთიდან დააბრუნა.

– ნუ გეშინია, თრითინ, თუ მშობლების დაბარებაა, ჩემები უნდა დაიბარონ, თქვენ რა შუაში ხართ?

– იტყვი რა, შენს მშობლებს ვინ დაიბარებს?

– აბა მაშინ არც თქვენებს დაიბარებენ. დამშვიდდი, თვალები დახუჭე და ნურაფერზე ნუ იფიქრებ... თუმცა, შეგიძლია შენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე გაიხსენო...

კი დახუჭა თრითინამ თვალები, მაგრამ, ეტყობა, ისე უცებ ვერც ერთი ბედნიერი დღე ვერ გაიხსენა, მაშინვე ისევ გაახილა და ზაზა და კახა დაინახა. ვილაც მესამე ბიჭიც ახლდათ. აღარც თამარს დასცალდა ფიქრით მთაში დაბრუნება.

– ო, მაპატიეთ, პრინცესა, ოცნება შეგაწყვეტინეთ, მაგრამ... ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ – ეს ის ზღვისგაღმელი უფლისწული გახლავთ, რომელსაც თქვენ მთელი სიცოცხლე ელოდით... ეს კი, მშვენიერო უფ-

ლისწულო, მათემატიკაზე უგონოდ შეყვარებული ჩვენი პარალელოგრამების პრინცესაა, შეუმჩნევლად მომ-ხიბვლელი, იდუმალებით აღსავსე და... დანარჩენს თა-ვად მიხვდებით.

— „პარალელოგრამების პრინცესა?" — ასე, მგონი, ბაირონი უწოდებდა თავის ცოლს?

— აფერუმ თქვენს განსწავლულობას, უფლისწულო! სწორედ ასე გახლავთ და ჩვენი პრინცესა...

— გეყოს ახლა! — შეაწყვეტინა კახას გაღიზიანებულმა ზაზამ.

— ნება თქვენია, დიდვაზირო!

— თამარი, — ხელი გაუწოდა თამარმა უცნობს.

— არჩილი.

— ...და ჩემი მეზობელი. გვერდით სადარბაზოში ცხოვრობს, — დააყოლა კახამ, — ნიკოლაძეში სწავლობს! ნახე, როგორ ხატავს! — ლამის ძალით გამოართვა არ ჩილს საქაღალდე და ნახატების თვალიერება დაიწყ

თამარმა უხერხულობა იგრძნო.

— მოიცა, კახა, იქნებ ადამიანს სულაც არ უნდა, რო მისი ნახატები ვნახოთ.

— არა, რატომ, ნახეთ... უბრალოდ, ჩანახატებია (თანაც სულ ცხენებისა.

— ჰოდა, კიხოტეც ცხენების გიჟი გვყავს, — კახა უკვე ნანახი რამდენიმე ფურცელი თამარს გადასცა. რა გავიკვირდა, პრინცესას ძირითადად დონია კიხოტ ჰქვია, ჩემი ნათლულია.

— ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ჩვენი კლასე-ლი, — ჩაურთო ზაზამ.

— ...და მასწავლებლებიც, — ხმა ამოიღო კუთხეში მიყუჟულმა თრითინამ.

— აჰ, თრითინ, სიკვდილსაც დავიწყებიხარ! არჩილ ეს ჩვენი თრითინაა, ყოვლად უწყინარი და უბოროტ ადამიანი.

თრითინამ მორცხვად გაუწოდა არჩილს ხელი.

თამარი ჩანახატებს ათვალიერებდა და თან გრძნობდა, როგორ უნდოდა არჩილისთვის შეეხედა, მაგრამ რაღაცა ხელს უშლიდა. „ჰმ, უცნაურია..." — თავისი თავისა გა-უკვირდა.

— სხვები სად არიან? — ახლაღა მოისაკლისა კახამ დანარჩენები. — გადავრჩით ბუბლიკების ღრღნას, ყვე-ლანი არჩილთან მივდივართ, გუშინ დაბადების დღე ჰქონია და ნამცეცობაზე გვეპატიჟება.

— გუშინ ჯერ კიდევ არ გიცნობდით, თორემ... — უხერხულად მოიბოდიშა არჩილმა.

— ეგ არაფერი, ნამცეცობა უფრო კარგი ვარიანტი არ არის? — მიეხმარა კახა, მერე ისევ იკითხა, ბექა და გო-გოები სად არიანო და, რომ გაიგო, ცხენზე შესაჯდომად წასულიყვნენ, აწრიალდა.

— ბიჭო, რა იციან მაგათ ცხენზე ჯდომა, ნაღდად გად-მოვარდებიან და უყარე მერე კაკალი. წამო რა, ზაზა, იქნებ ჯერ კიდევ მივუსწროთ კისერმოუტეხელებს და გადავაფიქრებინოთ.

ზაზას აშკარად არ უნდოდა წასვლა, მაგრამ უარი ვეღარ უთხრა და ფეხათრევით გაჰყვა, ხოლო როცა რა-ტომღაც თრითინაც აედევნათ, საბოლოოდ დაიბოღმა. კიბე რომ ჩაათავეს, ერთი დაბღვერილმა ახედა თამარ-სა და არჩილს და ისე გაუტია, ამხანაგები ვეღარ ეწეოდნენ.

— თქვენ ხშირადა ხართ ხოლმე აქ? — ჰკითხა არჩილ-მა თამარს.

— როცა ცხენები ძალიან მომენატრება... მაგრამ ყო-ველთვის ვერ ვახერხებ. ახლაც გაკვეთილებიდან წამო-ვედით და...

— ვიცი, კახამ მითხრა. ცხენზე თუ მჯდარხართ?

— კი, — გაეღიმა თამარს, — მთაში როცა ვარ ხოლ-მე. ხევსურეთში, თუშეთში...

— კიდევ სადა ხართ ნამყოფი?

— სვანეთში.

— მშურს თქვენი, მთელი საქართველო დაგივლიათ.

— არა, ჯერ სად არის... თქვენ რაღა გიშლით, მხატვ-რისთვის ხომ აუცილებელიც კი არის.

— აი, თქვენ თუ წამიყვანთ... ნუ გეშინიათ, სიარულიც



შემიძლია, შიმშილსაც მოვითმენ, წყურვილსაც, დაღლილობასაც.

ორივეს გაეცინა.

– მართლა ასე გიყვართ მათემატიკა? . მერე, არა გწყინდებათ ეს უსაშველო განტოლებები, თეორემები, ფორმულები?

– არა მწყინდება, – იწყინა თეორემებისა და განტოლებების მაგივრად თამარმა.

წუთით უხერხულობა ჩამოვარდა. უხმოდ უყურებდნენ მინდვრის კიდემდე მოსულ ცხენებს. ამასობაში დანარჩენებიც გამოჩნდნენ და თამარს გულზე მოეშვა.

– აბა, ახლა ცერემონიების დრო აღარ არის! ეს არჩილია, ჩემი მეზობელი, გუშინდელი მედღეობე და ჩვენი დღევანდელი მასპინძელი; ეს – ბექას ქალღმერთი ქეთია; ეს – სრული და მუდმივი ფრიადოსანი მაკა, ეს კი ჩვენი ბეჭდაუდებელი ფალავანი ბექა გლდანელი. წავედით, არა, არჩილ? – გაარიგა საქმე კახამ.

– ჰო, რა თქმა უნდა, წავედით და მოდით, რა, არაფრისა მოგერიდოთ, ყველანი ძალიან შინაურულად იყავით...

არჩილი და კახა დატრიალდნენ, გოგოებიც მიიხმარეს და სულ მალე არჩილის მომცრო ოთახში ისეთი სუფრა გაშალეს, თვითონვე იცინოდნენ, ეს თუ ნამცეცობაა, გუშინ რაღა იქნებოდაო. ყველას მართლაც შიებოდა და სუფრას რომ მიუსხდნენ, მცირე ხნით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. კახამ ამხანაგებს გადახედა და სიცილი წასკდა.

– რა ვქნა, რა სუფრა კომბაინებივით ირჯებით? რა იყო, მტრი ოჯახში ხო არა ხართ, ხალხნო?! ყბები დაასვენეთ! – მოუქცია კახურად და ერთბაშად ყველა გაამხიარულა. – შენ არა, ბექავ, შენ არა! პირიქითა, კაცო, მიდი, ღონივრად მაიქნიე ყბა, ჯანში წავა, ხვალზეით შეჯიბრებაზე ხარ გამოსასვლელი და შენ რო ვინმემ წაგაქციოს, აი, შენ რო ვინმემ წაგაქციოს, არა?! არ ვიცი, ძმაო!..

საერთო სიცილ-ხარხარში თამარმა არჩილის დაჟინებული მზერა იგრძნო, შეცბუნდა, დაიბნა და გვერდით მჯდომ ზაზას სასხვათაშორისოდ რაღაც ჰკითხა.

გუშინდლიდან გადარჩენილი ერთი ბოთლი შამპანურით არჩილიც ადღეგრძელეს და წამოიშალნენ.

– მოდით რა, ნელ-ნელა ავალაგოთ, – წამოიწყო ქეთიმ, სხვებმაც დაუჭირეს მხარი და რამდენიმე წუთში ყველაფერი დააბინავეს, ჭურჭელიც დარეცხეს. მერე კი არჩილს კახა მიუგზავნეს, ნეტავ ნამცეცობისათვის ყავაც ხომ არ გადარჩა ამ სახლშიო. არჩილმა უმალ გადმოულაგა ქილით ყავა, შაქარი, ყავის საფქვავი და სახარში. ქეთი ყავის თადარიგს შეუდგა, დამხმარედ ბექა დაიტოვა, დანარჩენები კი ოთახში დაბრუნდნენ.

კახას ფირფიტები შეერჩია.

– ქალბატონებო და ბატონებო, ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ რეტრო. „განშორება", სიტყვები ალვეკისა, ასრულებს ჯაზ-ორკესტრი ალექსანდრე ცვასმანის ხელმძღვანელობით. გთხოვთ!

არჩილი თამარს მიუახლოვდა, თავი დაუკრა და საცეკვაოდ გაიწვია. თამარი წამით შეყოყმანდა, მაინც-დამაინც კარგად ვერ ვცეკვავო, და გაჰყვა. ხრინწმორეული გაცვეთილი ფირფიტიდან მამაკაცის სევდაგარეული ხმა ბანალური სიყვარულის ამბავს ყვებოდა. სწორედ მაშინ გამოტყდომოდა ქალი გულდამწვარ მიჯნურს, არ მიყვარხარო, როცა დაღლილი მზე ნაზად ემშვიდობებოდა ზღვას. ახლანდელი ფირფიტებისაგან განსხვავებით, ძველის თითო მხარეს თითო ნაწარმოები იყო ჩაწერილი, ისე რომ, მოცეკვავეებმა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ძლივს მოასწრეს და ფირფიტაც დამთავრდა.

– ბატონებო, ბატონებო, დაიტოვეთ თქვენ-თქვენი მანდილოსნები. ფოქსტროტი „ჩაშლილი პაემანი", გთხოვთ! – არ იღლებოდა კახა.

– ოოო, რა გაჯირე?! ვინ იცის ეგ ბებიაშენისდროინდელი ფოქსტროტი! მიდი, რა, რამე ნორმალური დადე, – გამოსძახა სამზარეულოდან ქეთიმ.

– რა ცოდნა უნდა! – არ დაეთანხმა კახა. – აბა, თრითინ, გთხოვ! – და მსუბუქად გაიყოლა თრითინა.

– შენ არ ხუმრობ, აი! მშვენიერი ცეკვა გცოდნია და რატომ მალავდი?

– რას ვმალავდი, უბრალოდ, არასდროს არ გავუწვევივარ არავის... – გახალისდა თრითინა.

ზაზა უნდილად აცეკვებდა მაკას. ცალი თვალი არჩილისა და თამარისკენ გაურბოდა. მაკასაც მხედველობის არეში ჰყავდა ეს წყვილი.

ფოქსტროტიც მალე დამთავრდა.

– ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით, ბატონებო!

თამარი და არჩილი უხერხულად იდგნენ, ერთმანეთის პირისპირ. რა უსასრულო აღმოჩნდა ეს ერთი წამი! უცბად თამარს საკუთარ თავზე ბრაზი მოუვიდა, რა სასცილოდ ვდგავარო, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს მუსიკაც გაისმა და მოცეკვავეები მის წყნარ რიტმს აყვნენ. არჩილმა კვლავ გაიყოლა თამარი, მას კი რაღაცნაირად ხელ-ფეხი დაებორკა, რობოტივით მოძრაობდა. ბრაზობდა საკუთარ თავზე, ერთი პირი დასაჯდომადაც გაიწია, მაგრამ პარტნიორმა არ გაუშვა.

– პრინცესა, თქვენ მშვენიერი თვალები გაქვთ... ფიქრიანი და მოციმციმე, ოღონდ, მგონი, მშიშარა თუ მორცხვი... ან სულ თვალდახრილი ხართ, ან განზე იყურებით. როგორ შეიძლება ასეთი თვალების დახრა? – გაუღიმა არჩილმა.

თამარი უარესად დაიბნა. ახლაც განზე იყურებოდა. არჩილის ნამუშევრებს ათვალიერებდა კედელზე. მარტოხელა ნავი ტბაზე. ბიჭის პორტრეტი. ყარყატები ჭაობიანში. ცხენები. მთვლემარე მოხუცი. თეთრი ცხენი. ღიღილოები...

ნელა ტრიალებდნენ. იტალიელი ნინო როსი უპასუხოდ დარჩენილ მწარე სიყვარულზე მღეროდა. თამარს ეჩვენებოდა, რომ მძიმედ ცეკვავდა, რამდენჯერმე რიტმიდანაც ამოვარდა. ერთ მომენტში მაკას დამცინავი გამოხედვაც დაიჭირა და ერთბაშად გაჩერდა.

– მოხდა რამე? – გაუკვირდა არჩილს.

– არაფერი არ მომხდარა, უბრალოდ, ცეკვა აღარ მინდა, – მოუჭრა თამარმა, შებრუნდა და კინაღამ ბექას გადააწყდა, რომელსაც ლანგარზე დაწყობილი ყავის ფინჯნები შემოჰქონდა დაძაბული სიფრთხილით. დაუფიქრებლად აიღო ფინჯანი და ტახტის კუთხეში ჩამოჯდა.

– თამარი, ეტყობა, მიუჩვეველზე დაიღალა, – ყველას გასაგონად შენიშნა მაკამ. თამარს ხმა არ ამოუღია. – მედღეობეს ხომ არ ვაწყენინებთ, უხერხულია, ზაზა, შენ ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო, მე რომ პარტნიორი გამოვიცვალო? – მაკამ დაბნეულ არჩილთან გადაინაცვლა.

ფირფიტას დასასრული არ უჩანდა.

„აი, ახლა ყავას დავლევ და მაშინვე წავალ... წავალ და აღარც ეს „უფლისწული" გამახსენდება და აღარც აქაურობა"... თამარი აჩქარდა და პირიც დაითუთქა ყავით.



— არჩილ, შეკვეთებს არ ღებულობთ? ჩემი პორტრეტი დახატეთ, იცით, რა დამჯერე მოდელი ვიქნები? საათობით შემიძლია პოზირება, ხომ დამხატავთ? — სწორედ მაშინ მოინდომა მაკამ, როცა თამარის სიახლოვეს აღმოჩნდნენ.

— დაგხატავთ, ოღონდ ეს დღეები არ მეცლება და მერე — კი ბატონო.

— მითხარით, როდის დაგირეკოთ და მე თვითონ დაგიკავშირდებით, ან, თუ გინდათ, თქვენ დამირეკეთ: 23–91–31.

თამარი წამოხტა, კარგად იყავითო და კარისკენ გაეშურა. სახტად დარჩენილმა არჩილმა ცეკვა შეწყვიტა, თამარის კარამდე მიცილება მოინდომა, მაგრამ ის უკვე კიბეზე ჩარბოდა. შეცბუნებული შემობრუნდა. გაკვირვებულმა მოავლო თვალი გოგო-ბიჭებს.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩვენ შეჩვეულები ვართ მაგის პოხონდრიებს, ამით თავის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს, ასეთი ექსტრავაგანტური გვყავს და საერთოდ... — იხელთა მაკამ.

— ყავა გაგიცივდა, — შეაწყვეტინა ქეთიმ, — შენ, მგონი, ტკბილი გიყვარს, რა ვიცი, მე თითო კოვზი შაქარი ჩავყარე...

— მეც წასასვლელი ვარ, — წამოდგა ზაზა.

— რა მოგვიდა, ცოტაც მოიცადე და ყველანი ერთად წავალთ, აბა აქ ხომ არ დავაღამებთ, — შეაჩერა ზაზამ.

ფირფიტა დამთავრებულიყო და ახლა საკრავის ნემსი უსიამოვნოდ ფხოჭნიდა მას...

●

კარი ბებიამ გაუღო.

— რატომ შეგაგვიანდა? რამდენჯერ გაგიცხელე კერძი... აბა, მარდად, ტანზე გამოიცვალე და მოდი. გულბაათმა და გარსევანმა უკვე ისადილეს და ეზოში ჩაცვივდნენ.

— არ მინდა, რა ბებო, არა მშია... მერე იყოს.

დერეფანში, სარკესთან შეყოვნდა. — „პრინცესა, თქვენ ლამაზი თვალები გაქვთ". — შუბლიდან თმები გადაიწია. „ოღონდ, მგონი, მშიშარა თუ მორცხვი"... სისულელეა, ჩვეულებრივი თვალები მაქვს. თვითონ როგორიღა თვალები ჰქონდა? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ჩემთვის სულ ერთი არ არის?! ნეტავ რას გამოვვარდი, რა მომეჩვენა? რას იფიქრებდა არჩილი? ოჰ ერთი, რაც უნდა, ის იფიქროს...

საწერ მაგიდაზე ძმების გადაშლილი მათემატიკის სახელმძღვანელოები დახვდა, ფურცლის ნაგლეჯზე ნაჩქარევად მიეჯღაბნათ: „თამარ, მე № 1081 ვერ გამოვიყვანე. გულბაათი. მე კიდევ — № 907. გარსევანი". გაეღიმა. ეზოში გადაიხედა. ბიჭები ველოსიპედს დააქროლებდნენ. ამოცანებს დახედა: „A და B პუნქტებიდან ერთდროულად გამოვიდა ორი მატარებელი..." „ერთმა ბრიგადამ პირველ დღეს..."

— თამარ, გენაცვალე, საბა იყო წეღან, რაღაც წიგნები მოგიტანა, ამოცანებიაო... ნეტავ, რას გიმარჯვებს?! თუ ეგრე გადაჰყევი მაგ შენ მათემატიკას, და მთელი სიცოცხლე ამოცანებს უჯექი, გაუთხოვარი დარჩები და იყავი მერე კაპუეტივით...

თამარს გაეცინა და საბა ძიას მოტანილ წიგნებს ჩაუჯდა. თავი მაშინღა ასწია, როცა ბიჭებმა კარზე რეკვა ასტეხეს. შემოცვივდნენ ცხვირ-პირმომურულები, ხელები ისეთ დღეში ჰქონდათ, გეგონებოდათ, შავი ხელთათმანები უკეთიათო. ერთს ველოსიპედის ბორბლები ჰქონდა გულში ჩახუტებული, მეორეს — მისი ყველა დანარჩენი ნაწილი. ბებიას გულზე შემოეყარა: — ეს რა გიქნიათ?! ეს არის თქვენი ორი დღის წინ ნაყიდი ველოსიპედი?! რისი ღირსები ხართ?! თამარ, ერთი ვამოხედე, ამ... ამ უკულმართებს!

— კარგი რა, ბებო, შენ სულ ეგრე იცი, რა მოხდა?! რაღაც მოვიგონეთ, უნდა გადავაკეთოთ, ნახავ, როგორ ველოსიპედს გავაკეთებთ, ყველანი დავეტევით ზედ.

— რა ნახვა მინდა, ისედაც კარგად ვიცი, რასაც გააკეთებთ — პირწმინდად დაშლით და ჭანჭიკებსა და ქანჩებს მთელ სახლში მოაღავებთ, მე კიდევ უნდა ვიარო და ვკრიფო! მოვიდნენ ერთი დედათქვენი და მამათქვენი!.. ახლავე აივანზე გაიტანეთ ყველაფერი, ხელები სულ ჯაგრისით დაიხეხეთ, პირიც საპნით დაიბანეთ, იცოდეთ, თუ პირსახოცზე შავად დაგიტყვიათ თქვენი ხელები, მაგრამ გაიტყიპებით! — დაუტატანა ბებიამ „გამომგონებლებს".

გულბაათი და გარსევანი ბუზღუნით შეუდგნენ ხელ-პირის ბანას. თამარი თავზე ადგათ, თორემ ისე საპონს თითსაც არ დააკარებდნენ, უბრალოდ ხელებს დაისველებდნენ, იმ სველ ხელებს პირზე მოისვამდნენ და პირსახოცს რომ არ შესტყობოდა, სულაც არ გაიმშრალებდნენ. დაბანილ-გალამაზებულებს თამარმა ქოჩრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელა ძიძიკაშვილი

ნოემბრის სურათი

მინდვრის ქოჩორა ყვავილებისგან
მზე ფუნჯით ქარგავს ოქროს
სტრიქონებს.
წევს თეთრი პაპა კაკლის ჩეროში
და დიდი პაპის ამბავს ივონებს.

ბებო თონეში უმატებს ფიჩხებს
(ლამის ჰაერში აიჭრას ალი);
ჩიტმა ჩიორამ დასიცხულ გულზე
ხარბად დალია თუნგიდან წყალი.

შორს გაკრეფილან ღრუბლები ისე,
თითქოს ქეცხვარემ გალალა
ცხვრები;
არწივის მართვე მოსწყდა ბუდეს და
ზეცა გაჭკვეთა ღონიერ ფრთებით.

თონიდან შოთი პურის ამოყრას,
ეჰ, რა ხანია მორჩა ბებია,
პაპას კი გრძელი ჩიბუხით ხელში
კაკლის ჩეროში მისძინებია.

გელა ზაუტაშვილი

და იყო სიჩუმე

პატარა ჩიორა სიყვარულს ჩიოდა,
ზამთარი სწვევოდა ველებს...
ყინვიან ქარებში ტაატით დიოდა
ყინვისგან დამზრალი ღელე;

არ იყო ტოტებზე ფოთლების
ზღვაური,
მიწაზე — ყვავილთა ფარდა,
და იყო სიჩუმე, და არსად-ხმაური,
წისქვილის დუდუნის გარდა.

ველოსიპედი

ცრემლით ვიშვი და ცრემლითვე
წავალ
ამა ქვეყნიდან,
უფალო ჩემო.
ვიდრე ნაბოძებს გავკვალავ სავალს,
გთხოვ, წუთით მაინც არ შემაჩერო.

გადაუვარცხნა, დაკოცნა და ამოუხსნელი ამოცანების გასაკეთებლად დასხა. დაწვრილებით აუხსნა, გააგებინა და იმათაც სულ იოლად აუღეს ალღო. რა ადვილი ყოფილაო, მერე ისიც დაამატეს, რა იქნებოდა, სულაც შენ ყოფილიყავი ჩვენი მასწავლებელიო. ძალიან კარგი მასწავლებელი გყავთ ერთსაც და მეორესაც, უბრალოდ ყურს არ უგდებთ და იმის ბრალიაო, — თითო წამოარტყა თამარმა.

— აუჰ, თამარ, იცი, ჩვენ რა მოვიფიქრეთ? ველოსიპედის ჩარჩოს დავაგრძელებთ, კიდევ ერთ საჭეს დავუყენებთ, ოთხ ბორბალსაც ვიშოვით და... — დაიწყო თვალებგაფართოებულმა გულბაათმა, მაგრამ ამ დროს ძმამ გამოსძახა, ბიჭო, ტელევიზორში მულტფილმები იწყებაო და იმასაც უმალ გადაავიწყდა მრავალბორბალსაჭიანი ველოსიპედის იდეა. თამარიც ჩამოჯდა მულტფილმების საყურებლად, მაგრამ მაშინვე ტელეფონმა დარეკა. ზაზა იყო, როგორა ხარო, ჰკითხა, ჩვენც მალე წამოვედითო, დაუმატა და დაემშვიდობა. ცოტა ხანში ქეთიმაც დაურეკა, რას გამოვარდი, რა მოგელანდა, ნეტავ ვიცოდეო. თამარს გაეღიმა, რა უნდა ეპასუხნა, როცა თვითონაც არ იცოდა, რა „მოელანდა“...

●

პირველი გაკვეთილი რუსული ჰქონდათ. ის-ის იყო „მშვენიერმა ელენემ“ სიის ამოკითხვა დაამთავრა და მაკა სანებლიძეს „არა“ ჩაუწერა, რომ კარი გიორგი მასწავლებელმა შემოაღო.

— მაპატიეთ, ქალბატონო ელენე, თუ შეიძლება, მარიამიძეს გავიხმობ ერთი წუთით.

კლასი გაილურსა. „იწყება“, გაუელვა ყველას. დამრიგებელმა თამარი ფიზკულტურის დარბაზის მხარეს, მყუდრო კუთხისკენ წაიყვანა.

— ამიხსენი ერთი, რა მოხდა, თორემ ლოლამ ისეთი ამბავი ატეხა... გუშინვე ვუძებნივარ დირექტორს, მაგრამ ჯიბრზე სწორედ გუშინ წავედი ცოტათი ადრე, მერე ღამით დამირეკა, ასე და ასე, შენმა კლასმა დემონსტრაციულად დატოვა ქიმიის გაკვეთილი და ისტორიაც მიაყოლაო... ყველაფრის წამომწყები კი შენი მარიამიძე იყოო... შალვა დილიდან განათლების განყოფილებაში წავიდა და რომ დაბრუნდება, ალბათ გამოგიძახებთ შენც და დანარჩენებსაც...

თამარმა მშვიდად უამბო ყველაფერი ზუსტად ისე, როგორც იყო.

— ლოლა მასწავლებელი პედსაბჭოს მოწვევას ითხოვს, მშობლების გამოძახებას და ზომების მიღებას... ვნახოთ, ერთი სიტყვით... ახლა კი კლასში დაბრუნდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მცირე აკადემია“ და მისი მეგობრები

„მცირე აკადემიაო?“ — ცოტა არ იყოს, დაფრთხნენ გოგო-ბიჭები, უმალ სკოლის გაკვეთილების გაგრძელებად წარმოიდგინეს იგი და ამიტომაც დაიჭირეს შორს, როცა ცხვარიჭამიაში გამომგზავრებაზე ჩამოუგდეს უფროსებმა ლაპარაკი. აბა ახლა ვინღა გამოტყდება. ბანაკში რომ გვამწესებდნენ, მაინცდამაინც არც მოგვიხაროდა და გულში კიდევაც ვბუზღუნებდით, „ოო, რა არის რა, ხომ არდადეგებია და ისევ სწავლაო?!“ იცოცხლეთ, მერე კი დასწყდათ გული, როცა განშორების დრო დადგა! მაგრამ რაღას იზამდნენ, ივლისი გასრულდა და ამ უჩვეულო ბანაკში ყოფნის დროც ამოიწურა.

ნამდვილად გამორჩეული კი იყო წლევანდელი ზაფხული ჩვენი რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების იმ 150 აღსაზრდელისათვის, რომლებიც ცხვარიჭამიაში, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების პიონერულ ბანაკ „კოსმოსში“ ისვენებდნენ. და სწორედ „მცირე აკადემიის“ წყალობით დაამახსოვრდათ განსაკუთრებით იქ გატარებული დღეები თელაველ ჯილდა იაკაშვილს, ინგა არაბულს, თემურ ბოლოკაშვილს, მახინჯაურელ ტარიელ ცენტერაძესა და კახა ლომთათიძეს, ეწრელ ირინე გელიაშვილსა და ნაილი ციხისაშვილს, ასპინძელ მანანა ციხელაშვილსა და ნორა დავლაშერიძეს, დანარჩენ მათ თანატოლებს.

ჯერ კიდევ „აკადემიის“ საზეიმო გახსნამ დაარწმუნა ყმაწვილები, რომ წინ საინტერესო დღეები ელოდათ. ამ დღეს მათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ემილ სეხნიაშვილი, საქართველოს საბავშვო ფონდის განყოფილების თავმჯდომარე, პოეტი ხუტა ბერულავა, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ნოდარ ცინცაძე და სხვა საპატიო სტუმრები ეწვივნენ. ახლა „აკადემიის“ პრეზიდენტის არჩევნებმა რა საინტერესოდ ჩაიარა. პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატი ერუდიტთა კონკურსს უნდა გამოევლინა. კონკურსის მონაწილეთ მრავალფეროვან შეკითხვებზე მოუხდათ პასუხის გაცემა: სუფთა თოვლი უფრო მალე დნება თუ ჭუჭყიანი? რატომ თუხთუხებს ჩაიდანი? რომელ ცხოველს სძინავს თვალგახელილს? ვინ თარგმნა პირველად „ევფხისტყაოსანი“? რატომ ჰქვია შავ ზღვას შავი? და ა.შ. ყველას თელავის სკოლა-ინტერნატის მეათეკლასელმა ჯილდა იაკაშვილმა აჯობა და სწორედ ის შემოსეს პრეზიდენტის მანტიით, ხოლო აკადემიის ყველა მსმენელი საკუთარი ხელითვე დამზადებულ სავიზიტო ბარათის მფლობელი გახდა. მეცადინეობის განრიგი საბანაკო ცხოვრების დღის რეჟიმის გათვალისწინებით აეწყო. გათენდებოდა, წამოფრინდებოდნენ ბავშვები, ივარჯიშებდნენ, საძილე ოთახებს მიალაგებდნენ, პიონერული ხაზის შემდეგ ისაუზმებდნენ, ბანაკის ტერიტორიის დასუფთავებაზე წაიმუშავებდნენ და 11 საათზე „აკადემიაში“ მიეშურებოდნენ. უფრო ხშირად მეცადინეობები სუფთა ჰაერზე, ტყეში, უტარდებოდათ. და არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმეს შეეახება-შეხსენება დასჭირვებოდა — არიქა, დაგაგვიანდა ან მეცადინეობის გაცდენა არ გაბედოო. პირველივე მეცადინეობაზე მიხვდნენ ყმაწვილები, რამდენ საინტერესოს ჰპირდებოდა მათ „მცირე აკადემია,“ რამდენის მომცემი იქნებოდა საგანგებოდ მათთვის ჩამოსულ მეცნიერთა საუბრები (მეცადინეობას სწორედ საუბრის სახე და ხასიათი ჰქონდა). ბავშვები ინტერესების მიხედვით დანაწილდნენ ჯგუფებად (ფიზიკა, ქიმია-ბიოლოგია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია). და თუმცა მსმენელთა რაოდენობა არც ერთ მათგანს არ აკლდა, საუბრებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუდამ ყველაზე მეტი მსმენელი ჰყავდა. მათემატიკოსიც და ფიზიკოსიც, ქიმიკოსიც და ბიოლოგიც — ყველა ერთნაირი სიამოვნებით და გულისყურით უსმენდა ვალერი ვაშაკიძის საუბრებს ჩვენი ქვეყნის წარსულის ამა თუ იმ მნიშვნელოვან ამბავზე, ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობაზე.

რამდენი რამ გახდა საცნაური ბავშვებისათვის ამ ხნის განმავლობაში, რამდენი ახალი შეიტყვეს მათ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის უკანასკნელ მიღწევებზე, რამდენი გაურკვეველი გაარკვიეს, რამდენ კითხვაზე მიიღეს ამომწურავი პასუხი. ახლა სამომავლო გზის არჩევაში რამდენს დაეხმარა აკადემია, რამდენს მისცა ბიძგი თუ გეზი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში. აი, თუნდაც ინგა არაბულს. გოგონას ყოველთვის გამორჩეულად უყვარდა და აინტერესებდა ბიოლოგია, ცხვარიჭამიაში მოსმენილმა ლექცია-საუბრებმა, მეცნიერებთან შეხვედრებმა კი კიდევ უფრო გაუღვივეს ამ საგნისადმი ინტერესი და იმაშიც დაარწმუნეს, რომ აუცილებლად ბიოლოგიის შესწავლა უნდა გახდეს მისი მთავარი საქმე; კახა ლომთათიძეს აქამდე უახლოესი მეგობრებისათვის თუ ჰქონდა ნათქვამი, რომ ისტორიკოსობაზე ოცნებობს, აქ კი ისე ახლობელ ადამიანებად იგულვა აკადემიის მასწავლებლები, რომ ყოველგვარი მორიდების გარეშე გაანდო თავისი ოცნება და მათგან სათანადო რჩევა-დარიგებაც მიიღო. თემურ ბოლოკაშვილს თავისი სკოლის მასწავლებელმა ირაკლი რაჯიბაშვილმა შეაყვარა ფიზიკა და მანვე უკარნახა გონიერ ყმაწვილს, უფრო ღრმად დაუფლებოდა მას. ხოლო „მცირე აკადემიაში" მის იმედს, ფიზიკა-მათემატიკის სპეციალიზებულ სკოლაში განაგრძოს სწავლა, უფრო ძლიერი ფრთები შეესხა. ალბათ მათემატიკის მოყვარულ ჯილდა იაკაშვილის მსგავსი ოცნებაც სულ მალე ახდება და ამაში უთუოდ „მცირე აკადემიის" დამსახურებაც იქნება.

თუმცა მეცადინეობა რეგულარულად, ყოველდღე ტარდებოდა და, როგორც წესი, რამდენიმე საათს გრძელდებოდა, აკადემიის მსმენელები არც ერთ საბანაკო ღონისძიებას არ გამოკლებიან, აქტიურად, ხალისითა და სიამოვნებით მონაწილეობდნენ „კოსმოსის" ყოველდღიურ ცხოვრებაში: დისკოთეკა „ესტრადის ვარსკვლავები ბანაკ „კოსმოსში" იყო ეს თუ ზღაპრების საღამო, კოსმონავტიკის თემაზე ჩატარებული ვიქტორინა-შეჯიბრება თუ ლიტერატურული საღამო „რას გვასწავლიან ნოდარ დუმბაძის გმირები?". შეჯიბრება ფეხბურთში ვიტალი დარასელიას თასზე თუ პოეზიის საღამო, ნორჩ შემოქმედთა კონკურსები თუ შრომა ბანაკის მინიმეურნეობის ბაღბოსტანში, კედლის გაზეთების გამოშვება თუ კონცერტები, მეგობრობის ხეივნის ნარგავების მოვლა თუ კონკურსი „ვისი ოთახია უკეთესი?"

დამთავრდა საზაფხულო არდადეგები, ყმაწვილები კვლავ ხდნენ სკოლის მერხებს. ბევრ-ბულნი შეუდგნენ სწავლას ის გოგო-ბიჭებიც, ცხვარიჭამიაში, ბანაკ „კოსმოსის" ბაზაზე მოქმედ „მცირე აკადემიაში" რომ გაატარეს სამი კვირა. „აკადემიიდან" გამოყოლილი დიდი სურვილი, მეტად იბეჯითონ და ცოდნა გაიღრმავონ, იქ მიღებული ინფორმაცია უთუოდ დაეხმარება თითოეულ მათგანს სწავლაშიც და დასახული მიზნის მიღწევაშიც. ხოლო ყველაფრის მიუხედავად მაინც შემცივნებულ მათ სულებს დიდხანს გაათბობს ის გულისხმიერება და ზრუნვა, რაც მათ ახალგაზრდა მეცნიერებმა აგრძნობინეს. ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისათვის „მცირე აკადემიის" შექმნის იდეაც ხომ სწორედ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ეკუთვნის, მისი ორგანიზაციის საქმეშიც ხომ ისინი ედგნენ მხარში ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის საქართველოს განყოფილებას. ახალგაზრდა მეცნიერთა სახით ამ ბავშვებმა გულითადი მეგობრები შეიძინეს, რომლებიც მხოლოდ მათთვის ცოდნის მიცემაზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ მათ ჯანმრთელობაზეც, სულიერ განწყობაზეც და სამომავლოდ იმედების ჩასახვაზეც. და ეს პირველ რიგში ინსტიტუტ „საქგიპროშახტის" მთავარ სპეციალისტ ნელი ვერულავაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელ ვალერი ვაშაკიძეზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის უფროს ინჟინერ-პროგრამისტ პაატა ბიძინაშვილზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომელ პაატა იმნაძეზე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელ თამარ ბარბაქაძეზე ითქმის.

მ. კარგარეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე ნოჯიღაჭევში

ციხევ, ჩამოშლილო ქვიშად და ლოდებად,
რამდენჯერ გსმენია კვნესა და გოდება...
ძველი გალავანი, შენ რომ გარს გარტყია,
დღესაც ვერ იშუშებს ჭრილობებს ნატყვიარს...
შენ იყავ ბურჯი და სიმტკიცე ეგრისთა,
რამდენი მომხდური ნაცარ-მტვრად გეგლისა...
და გმირთა სიცოცხლე, შენთან რომ გათავდა,
მთელი საქართველოს მომავალს ართავდა...
მთვარე რომ ამოდის, — ძველი მეციხოვნე, —
სიამით დაგნათის, შვება რომ იპოვე...
და ქუდს კაცობისას, შენ რომ თავს ეეხურა,
მუდამ მოიგონებს მდინარე ტეხურა...
შენზე მიმღერეს ბებერმა ძეწნებმა,
მზე, ოქროდ დაღვრილი, ჩუქურთმად გეწვნება.
დღეს ჩვენი თაობა გიშუშებს იარებს.
მოლი გაუვსიათ იებს და ღვიარებს...
ვაზაფხულია შენს მკერდზე დახლილი,
ვით მეომართა აღდგომის ძახილი!..
ზეცისკენ მაღლდება ეგ შენი ბურჯები,
და კვლავ შენს კარიბჭეს იცავენ გურჯები.

დედაჩ

შენს თვალებს, დედა, ნაღვლიან
თვალებს,
ადრე გაუჩნდა ღარების ჭრილი,
ალბათ იმიტომ, რომ დღენიადაგ
იყავი სათნო, იყავი თბილი.
ადრე დაგერღვა თმების სიშავეც
და შიგ იფეთქა თეთრმა ზამთარმა,
ალბათ, იმიტომ, მეუღლის ნაცვლად
რომ დაგიბრუნდა მხოლოდ მათარა...
დაგრჩა ობლები, ბიჭები წყვილი
და ნატყვიარი რკინის მათარა,
ომში დაცემულ მამის აჩრდილით
შემოგიტია თეთრმა ზამთარმა.
და გულში გაჩნდა პაწია ბზარი,
დასამსხვრევად რომ იმეტებს ჭიქას...
და ეს ნაღველი, შემოსეული,
გვიკოდდა გულს და გვაცლიდა სიქას.
და ვიამდება ყველა ტკივილი,
როცა უყურებ შვილთა მამობას
და უკანასკნელ სუნთქვასაც პეშვით
ჩამოგვირიგებ, როგორც წყალობას...

მეწისჭვილე

უყვარდა ეს ჭალები
და წყარო თავანკარა,
ხოდაბუნის შრიალი
და დიდი მზე თაკარა,
ვაზის მტევნის ნაყური,
დაბრაწული ხმიადი,
ველი ალაზნიანი,
ქედები გულზვიადი,
ვარსკვლავების ციმციმი
ცის უძირო სარკეში,
ძილი ტკბილსიზმრიანი,
მთვარის შუქი სარკმელში,
შემოდგომის სიმწიფე,
ზვრები ბარაქიანი,
სოფლის ძველი შარაგზა,
რიყიანი, ქვიანი,
ძველ წისქვილის დოლაბზე
სარეკელას ღიღინი
და გამჩენის დალოცვა
ნაციებული ღვინით...
უყვარდა და ყოველი
გულს რომ აჩნდა ვარაყად,
დარჩა, როგორც სათქმელი
იგავად და არაკად...
სიცოცხლე რომ გალია,
დაიფურცლა ის როცა,
ოთხმოცი წლის მხცოვანი
მიწას შეესისხლხორცა...

ჩემი ბავშვობის წყაროთ

ჩემი ბავშვობის წყაროში
ხშირად
ვიხედები,
სადაც ჩანს
ჩემი ყრმობის მთების
მწვანე ხედები.
კვლავ მეზმანება
ჩემი ოცნების ლურჯი ქედები
და ეს ქვეყანა,
მოქარგული
ზღაპრულ ედემით.
ისევ მაოცებს
შემოქმედი
შემოქმედებით...
ჩემი ბავშვობის წყაროში
ხშირად
ვიხედები...
წვეთ-წვეთ ვაგროვებ
მე ჩემს ბავშვობას
და აღარ ვაცდი
ცვარ-ნამს გაშრობას.

ბავშვობის წყაროვ,
კვლავ მსურს ამოდუღდე
და ისევ წვეთ-წვეთ დანაკადულდე.
სულ ახლებურად გავხედავ სავალს,
დიდ მდინარისკენ
სულ სხვა გზით წავალ...

სიყვარული კდემა არის

სიყვარული კდემა არის
და ჩურჩულით სათქმელი...
იწვის, იწვის, ისე ნაზად,
როგორც თაფლის სანთელი...
მის ანთებას ცეცხლი უნდა,
ჩაქრობას კი სუსტი სიო...
ხელმეორედ ვერ აანთებ,
ქვეყანაც რომ დააქციო...

ფცა

სოფლის იქით მთა იწყება,
უფრო ზემოთ — ცა,
ხეებს, გაშლილს, წყება-წყება,
მოუმღერის ფცა.
მდინარეა ფცა — პატარა,
კამკამა და წმინდა,
გზამ თუ იქით ჩამატარა,
დაწაფება მინდა.

გურამ პეტრიაშვილი

მხატვარი
ნინო სამანიშვილი

ირინე და საჰაერო ბურთი

ზღაპარი

კვირა დილით მამა ადგა, ხელპირი დაიბანა და თქვა:

— აბა, გავიხსენოთ, დღეს რა საქმეები გვაქვს.

— კარი უნდა შეღებო, — უთხრა დედამ.

— მე უნდა წამიყვანო თეატრში,— დაამატა ოლიკომ.

— სპექტაკლი დილითაა, ამიტომ ჯერ შენ წაგიყვან თეატრში, მერე კარს შევღებავ, — უთხრა მამამ ოლიკოს.

ისაუზმეს, სათეატროდ გამოეწყვნენ და ვიდრე წავიდოდნენ, მამა ერთხელაც შევიდა იმ ოთახში, სადაც სულ პაწაწინა, ხუთი თვის ირინე იწვა აკვანში.

ირინეს ეღვიძა და ფანჯრისკენ იყურებოდა.

ჯერ ლაპარაკი არ იცოდა ირინემ, მაგრამ მამა მაინც ესაუბრებოდა ხოლმე.

მამამ ლაპარაკი დაუწყო, ირინე კი ფანჯრისკენ ცქერას განაგრძობდა.

და მამამაც გაიხედა ფანჯარაში.

იქ ჩიტები ჩანდნენ.

მამამ ერთხანს უცქირა ჩიტების ფრენას, მერე თვალებგაფართოებულ ირინეს დახედა და გაეღიმა. დაიხარა, ფრთხილად აკოცა პაწია ცხვირზე, გამოვიდა და თავის მაგიდას მიუჯდა.

გამოიღო უჯრიდან საქაღალდე, გახსნა და ფერადი ქაღალდებისაგან რაღაც ფიგურების გამოჭრა დაიწყო.

— არ მივდივართ? — ჰკითხა ოლიკომ.

— კი, ახლავე, — უპასუხა მამამ და ქაღალდების ჭრა განაგრძო.

ოლიკომ ამოიოხრა, დაჯდა და უცქეროდა, თუ რას აკეთებდა მამა.

ცოტა ხნის შემდეგ დედაც შემოვიდა ოთახში.

— არ მიდიხართ? გაგვიანდებათ უკვე, — უთხრა მამას.

მამამ ოლიკოს შეხედა. ერთხანს ყოყმანობდა, მერე კი უთხრა:

— ოლიკო, შვილო, შენ ხომ დიდი გოგო ხარ! არ გეწყინოს: ირინეს რაღაც მინდა გავუკეთო, მოდი, სხვა დროს წავიდეთ თეატრში. კარგი? დღეს კი, ამას რომ გავაკეთებ, კინოში წაგიყვან.

ოლიკომ ერთხელაც ამოიოხრა და წიგნის კითხვას შეუდგა.

ჭრიდა და ჭრიდა მამა ფერად ქაღალდებს.

ჭრიდა და აწებებდა ერთმანეთზე.

შუადღე რომ გადავიდა, დედამ სადილად დაუძახა მამას.

— თქვენ ისადილეთ. მე მერე... — უპასუხა მამამ ისე, რომ თავი არ აუღია თავისი ქაღალდებიდან.

დედამ აღარაფერი უთხრა. მხოლოდ ეს გაიფიქრა:

„ისევ თავისი ფანტაზიები... ბავშვივითაა ეს კაცი... დღეს კარი ისევ შეუღებავი დარჩა“...

ისადილეს დედამ და ოლიკომ.

მერე დედამ თავის საქმეებს მიხედა.

ოლიკო ისევ წიგნის კითხვაში გაერთო...

საღამოს მამამაც დაამთავრა თავისი საქმე.

და ირინეს ოთახში მოიხმო დედა და ოლიკო.

შევიდნენ დედა და ოლიკო და დაინახეს, რომ ფანჯარასთან ლამაზი საჰაერო ბურთი იყო ჩამოკიდებული. ბურთს ცისფერი და ყვითელი ზოლები დასდევდა. ქვევით კი, როგორც საჰაერო ბურთს შეეფერის, პატარა კოხტა გონდოლაც ჩამოკონწიალებულიყო ოქროსფერ ძაფებზე.

ირინეს გამოღვიძებოდა და ახლა სწორედ საჰაერო ბურთს უცქეროდა.

— ჰა, როგორია?! — იკითხა მამამ ამაყად.

— ძალიან ლამაზია, — ისე თქვა დედამ, რომ ამ სიტყვებში კაცი იგრძნობდა: „კარგი კია, მაგრამ ღირდა ნეტავ მთელი დღის ამაზე დახარჯვაო?“

— რა კარგია! — თქვა ოლიკომ და მამას მიუბრუნდა. — მამიკო, წავიდეთ ახლა, გავისეირნოთ, კარგი?

— კარგი, წავიდეთ! — უთხრა მამამ.

დედა უყურებდა საჰაერო ბურთს და ფიქრობდა:

„ფანტაზიები... ღმერთო ჩემო, სულ ფანტაზიები...“

ირინეც უცქერდა საჰაერო ბურთს და ტოკავდა. ეტყობა, ბურთისკენ სურდა ხელის გაწვდენა, მაგრამ არტახები არ უშვებდა...

ღამით კი, აი რა მოხდა.

ირინეს გამოეღვიძა და ის იყო ტირილი დააპირა, რომ უცებ ხმა მოესმა:

— არ იტირო, ირინე, დედა არ გაღვიძო!

ირინემ მიიხედა და დაინახა, რომ საჰაერო ბურთი მის საწოლთან მოფრენილიყო.

— შენ მელაპარაკები? — ჰკითხა ირინემ საჰაერო ბურთს.

— ჰო. გინდა, ჰაერში ვიფრინოთ?

— აბა რანაირად? შენ ხომ პატარა ხარ და თანაც ქალალდისა. და მეც ჯერ აკვნიდან ვერ ავდგები, მეც ძალიან პატარა ვარ.

— ნუ გეშინია, ხელს ვერაფერი შეგვიშლის. იმიტომ, რომ როცა მე მაკეთებდა, მამაშენი ოცნებით სულ იმას ხედავდა, თუ როგორ მიგაფრენ შენ მაღლა ცაში. მამის ოცნება კი შვილს ყველაფერს შეაძლებინებს.

და, მართლაც, საჰაერო ბურთმა უცებ გადიდება დაიწყო.

— ვაიმე, ფანჯარაში ველარ გავეტევი, — თქვა მან და ჰაერში გაცურდა, ფანჯარაში გავიდა და იქ განაგრძო ზრდა.

ირინემ გაიღიმა, გაიწ-გამოიწია და ტანზე მჭიდროდ შემოხვეული არტახები მოიშორა.

ადგა, ჩაიცვა, ფანჯარასთან სკამი მიაჩოჩა, აფოფხდა სკამზე, იქიდან ფანჯრის რაფაზე ავიდა, რაფიდან კი საჰაერო ბურთის გონდოლაში ისკუპა.

და გაფრინდა საჰაერო ბურთი...

მიფრინავდნენ.

მთვარე ანათებდა და ლამაზი იყო ცაც და მიწაც: მაღლა — კიდეგანათებული ღრუბლები, ძირს — დიდი ქალაქი და შორს კი — ელვარე მწვერვალებიანი მთები.

იჯდა ირინე გონდოლაში და უღიმოდა მთვარეს.

კარგი იყო ყველაფერი.

მაგრამ უცებ ამოვარდა ქარიშხალი და გააქანა ბურთი.

ღრუბლები აირია ცაში და აღარა ჩანდა მთვარე.

მიაქანებდა ბურთს ქარიშხალი...

— ვაიმე, ქალაქს ვშორდებით, რაღა ვქნა?! — დაიწყო მოთქმა საჰაერო ბურთმა.

ირინესაც შეეშინდა: დილით დედას რომ ვაეღვიძება და აკვანში ვერ მნახავს, ხომ გული გაუსკდება.

და სწორედ ამ დროს გაისმა ხმა:

— ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ!

— ვინა ხარ? — ერთხმად იკითხეს ირინემ და საჰაერო ბურთმა.

— გახსოვს, საღამოს მამა და ოლიკო სასეირნოდ რომ წავიდნენ და დედა გიცქეროდა, საჰაერო ბურთო? გიცქეროდა, გიცქეროდა და გაეღიმა. მას თავისი ბავშვობა გაახსენდა, ამიტომაც აღარ დარდობდა, შენს გამო კარი შესაღები რომ დარჩა მამას. ხომ გახსოვს, სახე რომ მოგიახლოვა და სული შეგიბერა? მე იმ სულის შებერვისაგან დავიბადე. მსუბუქ ნიავად დავლივლივებდი და ხან ირინეს ფანჯრის ფარდას ვეთამაშებოდი, ხან კიდევ ბაღში ყვავილებს ფურცლებს ვუთვლიდი. მაგრამ ახლა ქარად ვიქეცი. ნუ გეშინიათ, მე გიშველით.

და ქარი შეებრძოლა ქარიშხალს.

ავობდა ქარიშხალი, მაგრამ კეთილი ქარი თანდათან ძლიერდებოდა და ბოლოს აჯობა მეტოქეს.

ახლა უკვე ირინეს სახლისაკენ მიფრინავდა საჰაერო ბურთი.

ქარიშხალმა კუდამოძუებულმა მოუსვა, კეთილი ქარი კი კვლავ მსუბუქ ნიავად იქცა.

მთვარემ კვლავ გამოანათა ღრუბლებიდან და კვლავ ლამაზი გახდა ირგვლივ ყველაფერი.

ნელა მიირწეოდნენ ჰაერში...

ის იყო ქალაქს მიუახლოვდნენ, რომ უცებ ატირდა საჰაერო ბურთი:

— ვაიმე, ჰაერი მეპარება, ვიჩუტებიი...

— ნუ გეშინია, რამეს ვიღონებთ, — უთხრა ნიავმა, კვლავ ქარად იქცა და ქვემოდან დაუბერა, მაგრამ ვერ გამოუვიდა შველა. გონდოლა გადაყირავდა და კინაღამ ირინე გადმოვარდა.

— ვაიმე, რა გვეშველებაა! ეს რა ვქენი სულელმაა... — მოსთქვამდა საჰაერო ბურთი.

— რა ვქნათ, რა ვქნათ, რა ვქნათ... — იმეორებდა ქარი და იმასღა ცდილობდა, რომ ჩქარა მიეყვანა ირინეს სახლთან საჰაერო ბურთი, იქნებ მოვახერხო და მოვასწრო, ვიდრე მი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაკურიანის აქტივისტთა საქართველოს ფეხბურთის ალმასი

დელეგატები
საქართველოდან

წლევანდელი ზაფხული ჩვენი რესპუბლიკის პიონერებისათვის იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის წარგზავნილები, ისინი, ვინც თავიანთ რაზმეულებში შერჩევით კონკურსში გაიმარჯვეს, 18 ივნისიდან 18 ივლისამდე არტეკში გამართულ საკავშირო შეკრებაში მონაწილეობდნენ.

აი ისინიც: ბელა გაბარაევა ცხინვალიდან, ზვიად დიასამიძე ბაშურიდან, ოლია ვოლკოვა ახალქალაქიდან, ბათუ კიკნაძე დაბა ორჯონიკიძიდან, მაკა კაპკაპაშვილი ახალციხიდან, თეა ლილუაშვილი თბილისიდან, ნათია ლიპარტელიანი ლენტეხიდან, ვანდა მოისეევა თეთრიწყაროდან, მარიკა მეგრელიშვილი ქუთაისიდან, ვასილ ნამორაძე დუშეთიდან, თამრიკო ნინიკაშვილი ზესტაფონიდან, ნინო სოზაშვილი თელავიდან, თამრიკო სეროვა თბილისიდან, ეკა ტეხაშვილი გორიდან, დათო ფირცხალაიშვილი ბათუმიდან, გია ფერაძე რუსთავიდან, ირა ფილია გუდაუთიდან, ლელა ყურაშვილი გულრიფშიდან, თამრიკო შარაშიძე სამტრედიიდან, თამრიკო შურღაია თბილისიდან, თეა ჭუმბურიძე წყალტუბოდან, ზურაბ ხოშტარია ზუგდიდიდან, ნინო ხურცია ფოთიდან.

გამოცდილება
საუურადღებოდ
ჩათვალეს

არტეკში გამგზავრებამდე შეკრების დელეგატები საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს ბიუროს წევრებსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს სესილ გოგიბერიძეს შეხვდნენ. ერთხელ კიდევ ისაუბრეს გამოცდილებაზე, იმ საკითხებზე, რომლებიც პიონერთა IX საკავშირო შეკრების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე დაგროვდა.

პიონერები — XII ხუთწლედს! — აი, ერთი იმ საკითხთაგანი, რომელზეც გარდაქმნის აქტივისტებმა იმსჯელეს. პი-

---

წაზე დაეცემიან, ირინე თავის ფანჯარაში შევაფრინოთო.

მაგრამ საჰაერო ბურთი სწრაფად მიექანებოდა მიწისაკენ...

თან კვლავ მოთქვამდა: ვაიმე, ვაიმე, სულ ჩემი ბრალია, ეს რა ვქენი, რატომ წამოვიყვანე ბავშვიო.

ირინე კი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ შეეშინდებათ მშობლებს, აკვანში რომ ველარ მნახავენო...

და უცებ საჰაერო ბურთმა ტირილი შეწყვიტა.

აიხედა ირინემ და დაინახა, რომ პატარა ჩიტი მიფრენილიყო საჰაერო ბურთთან და ნისკარტი შეეყო ნაჩვრეტში.

ჰაერში ერთ ადგილას რომ გაჩერებულიყო, ფრთებს აფართქალებდა ჩიტი და, რაც კი ღონე ჰქონდა, აწვებოდა ბურთის გარსს.

— გმადლობთ, ჩიტუნავ! — ამბობდა გახარებული საჰაერო ბურთი.

— გმადლობთ, გმადლობთ! — ტაშს უკრავდა ირინე.

გადარჩნენ.

ერთიც დაუბერა ქარმა და ირინეს ფანჯარასთან მიფრინდნენ.

ირინემ გონდოლიდან ისკუპა და ფანჯრის რაფაზე დახტა.

ქარი ისევ ნიავად იქცა, საჰაერო ბურთს შემოუარა შრიალით, ირინეს ლოყაზე მოელამუნა და ჩაიჩურჩულა:

— ნახვამდის... ნახვამდის, ირინე...

— ნახვამდის! — უთხრა ირინემ ნიავს და დაამატა: — გმადლობთ, ნიავო, გმადლობთ, საჰაერო ბურთო, გმადლობთ, ჩიტუნავ... ახლა კი დროა დავიძინო.

ირინე ჩახტა სკამზე, იქიდან იატაკზე ჩავიდა, გაიხადა, მივიდა და აკვანში ჩაწვა.

საჰაერო ბურთი დაპატარავდა, ფანჯარაში შემოფრინდა და იქვე ჩამოეკიდა ჰაერში.

ჩიტიც ოთახში დაფრთხიალებდა.

— ჰო, მართლა, შენ საიდან გაჩნდი? — ჰკითხა საჰაერო ბურთმა ჩიტს.

— მე ოლიკოს წიგნიდან ვარ. ფურცელზე რომ დამინახა, მაშინვე ის იფიქრა, რა კარგი იქნება, ჩემს დას ირინეს რომ ჰყავდეს ასეთი ჩიტუნა მეგობრადო. იმიტომაც მოვედი, როცა გაგიჭირდათ.

ირინემ გაიღიმა, დახუჭა თვალები და იმავ წამს ჩაეძინა.

ჩიტი ერთხანს გალობდა ირინეს სასთუმალთან, მერე კი, რომ დაინახა, დედა იღვიძებდა, გაქანდა და წიგნის კარადაში შეფრინდა.

დილით ოჯახში ყველა გაოცებული დარჩა:

დედას უკვირდა, როგორ შესძლო არტახების შემოხსნა ხუთი თვის ირინემო.

მამას ვერ გაეგო, საჰაერო ბურთზე ეს ნაჩვრეტი რატომ გაჩნდაო.

ყველაზე უფრო კი ოლიკო იყო გაოცებული. ჩაჰყურებდა წიგნს და თვალს არ უჯერებდა. თურმე სიჩქარეში სულ სხვა ფურცელზე დაფრინდა ჩიტი.

კაცმა რომ თქვას, ასე უკეთესიც კი იყო. ამ ფურცელზე პატარა გოგონა ეხატა. გოგონა ირინეს ჰგავდა და ახლა ჩიტი სწორედ ამ გოგონას ეჯდა მხარზე.

ონერებმა ბომ IX საკავშირო შეკრებაზე გადაწყვიტეს, რომ მათ რაზმეულებს შრომით კოლექტივებთან დაედოთ ხელშეკრულებები, შეექმნათ სასკოლო კოოპერატივები.

ერთ-ერთი სიახლე, რაც გარდაქმნას მოჰყვა, სწორედ პიონერულ კოლექტივებში სასკოლო კოოპერატივების შექმნა გახლდათ. არტეკში გამგზავრების წინ დელეგატებისაგან შევიტყვეთ, რომ ფოთის 1-ლი სკოლის მე-3 რაზმს ციტრუსების მეურნეობასთან დაუდვია ხელშეკრულება და იმ დროისთვის 80 მანეთიც გამოუმუშავებია;

ქუთაისის მე-9 სკოლის პიონერული ბრიგადა ხელშეკრულებით მუშაობს ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე;

თელავის მე-6 სკოლაში ნორჩ ფოსტალიონთა ბრიგადაა შექმნილი; პიონერები ხელფასს საფოსტო განყოფილებიდან იღებენ;

ლენტეხის 1-ლი სკოლის მოსწავლემ ნათია ლიპარტელიანმა სოფელ ხალდის სკოლის რაზმეულთან შექმნილ პიონერულ კოოპერატივზე გვიამბო. ხალდის პიონერთა კოოპერატივი სვანურ ქუდებს ამზადებს. ერთი ქუდი ნათიამ ნიმუშად არტეკში წაიღო;

ზურაბ ბოშტარია ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის სკოლის მინი მეურნეობის ბრიგადირია (ეს მეურნეობა სულ რაღაც ერთი წელია შეიქმნა). ბრიგადის საზრუნავია მისთვის მიზომილ იმ ერთ ჰექტარზე ხარისხოვანი ჩაი მოკრიფოს. ზურიკოს არტეკში გამგზავრებამდე ბრიგადამ ტონანახევარი ხარისხოვანი ჩაი მოკრიფა და ბრიგადირმა თავისი პირველი ხელფასი — 50 მანეთი მიიღო.

არტეკში გარდაქმნის აქტივისტთა შეკრებაზე ქართველ პიონერთა გამოცდილება საყურადღებოდ ჩათვალეს. სწორედ ამის თაობაზე უამბეს თანატოლებს „პიონერსკაია პრავდას" ფურცლებზე თამარ შურღაიამ და ნინო სოზაშვილმა.

● ბარათები დედას ●

თბილისელი პიონერები კარგად იცნობენ თამრიკო შურღაიას, ლენინის რაიონის პიონერთა შტაბის თავმჯდომარეს, საქალაქო შტაბის თავმჯდომარის მოადგილეს და სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანს.

თამრიკოს წესად აქვს, ყოველი დღის შთაბეჭდილებები გაუზიაროს ოჯახის წევრებს. ასე რომ, შინ ყველამ იცის, რას საქმიანობენ ლენინის რაიონის პიონერთა შტაბის წევრები, რა ახალი წამოწყებებია სკოლის კომკავშირის ორგანიზაციაში და ა. შ. ამჯერადაც ასე მოხდა, თითქმის ყოველდღე წერდა თამრიკო არტეკიდან ბარათებს დედას. მისი ნებართვით გაგაცნობთ ერთ-ერთი ბარათის შინაარსს: „...დედა, დღეები აქ შეუმჩნევლად მირბიან. საქართველოს დელეგატები ბანაკ „ოზიორნაიაში" ვართ. საქართველოს დელეგაცია კალუგელებთან ერთად ერთ რაზმში ვართ. ამირჩიეს რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ. ზღვაში [illegible] ვბანაობთ, მოვაწყეთ ხსოვნის [illegible] ღამის 10 საათზე ჩირაღდნებით გავემართეთ უცნობი მეზღვაურის საფლავისაკენ. აქ მოეწყო რეკვიემი.

დილით ადრე ვდგებით, ვვარჯიშობთ, მერე ეზოს ვასუფთავებთ, ხაზის შემდეგ კი ვსაუზმობთ, ვთამაშობთ, ვმონაწილეობთ დისკუსიებში.

აქ ძალზე მოსწონთ ქართული სიმღერა „სულიკო", ყოველთვის გვამღერებენ.

1 ივლისს საქართველოს დღე მოეწყო. სტუმრები საქართველოდანაც გვეწვივნენ, ჩვენს გვერდით მდებარე ბანაკ „მორსკოის" უფროსი ქართველია. ხშირად გვაკითხავს შალვა ხელმძღვანელი, საქართველოს დღის მომზადებაშიც გვეხმარება.

გუშინ ჩვენი რაზმი სამზარეულოში მორიგეობდა, კარგი მორიგეობისათვის ჯილდო გადმოგვცეს...

უკვე ერთი მედალიც მივიღე. მეორე ადგილი დავიკავე თამაშ „სნაიპერში" (ახალი თამაშია, აქ გვასწავლეს). ჩვენ ქართული თამაში „ლახტი" ვასწავლეთ არტეკელებს".

● არტეკთან დამშვიდობებისას დელეგატებმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს ●

● რაზმი „ხოგალდზე" იარიბებოდა — ბანაკ „ოზიორნაიას" პარკში ●

სტრიქონები შეკრების დღიურებიდან

„შეკრების დასაწყისშივე დელეგატების ცხოვრებაში საგულისხმო მოვლენა იყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან იგორ ნიკიტინთან შეხვედრა. მან ძალზე საინტერესოდ ისაუბრა, აუხსნა დელეგატებს, რომ დროა პიონერთა ორგანიზაციამ თავისი ფულის თვლა ისწავლოს, ისწავლოს მისი გამომუშავებაც და გონივრულად ხარჯვაც".

„მუშაობდა თემატური ცენტრები, სადაც გაიმართა საინტერესო საუბარი თე-

F-5425

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაზე: „საჯაროობა ესაა...“ საჯაროობაა, როცა ყმაწვილები თამამად ლაპარაკობენ იმაზე, რაც რაზმეულში ხდება, როცა არავინ არავის აუკრავს პირს და სათქმელს ათქმევინებს. თუ არ იქნება საჯაროობა, მაშინ პიონერთა ორგანიზაციაში არ მოხდება გარდაქმნები“.

„XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დღეს გარდაქმნის აქტივისტთა

თამრიკომ არტეკში ბევრი მეგობარი შეიძინა, მათ შორის რგოლის ხელმძღვანელი სერგეი ტრანგბინი

შეკრების დელეგატები ტელევიზორთან ისხდნენ, მათ ყურადღებით მოისმინეს ამ კონფერენციაზე მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა.

მეგობრების წინადადებები

შეკრებაზე გამართულ დისკუსიებში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს წარგზავნილები. არტეკიდან ჩამოსვლის შემდეგ დელეგატებმა მეგობრების ის წინადადებები გაგვაცნეს, რომლებიც მათ დისკუსიებზე საკამათოდ გამოიტანეს. ვფიქრობთ, ზოგიერთი მათგანი თქვენთვისაც საინტერესო იქნება.

რავილ კუშაევი, პავლოდარის 1-ლი სკოლა, ყაზახეთი: — ...ხშირად მესმის, ატაროს თუ არა პიონერმა ყელსახვევიო. ჩემი აზრით, ვალდებული ვართ ვატაროთ, ის ხომ ჩვენი წითელი დროშის ნაწილია. მისთვის არა მარტო ჩვენი მამები და პაპები იბრძოდნენ, არამედ ისეთივე პიონერებიც, როგორიც ჩვენა ვართ. იბრძოდნენ იმისათვის, რომ ჩვენ მათი ტრადიციები გაგვეგრძელებინა.

დიმა დედულია, მინსკის 135-ე სკოლის პიონერი:

— ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ კომკავშირელები არ მოდიან ჩვენთან რაზმის ხელმძღვანელებად სამუშაოდ. ასეა ჩემს სკოლაშიც და ჩვენს მეზობელ სკოლაშიც. ამაზე პიონერთა საქალაქო შტაბშიც ვიმსჯელეთ. დახმარებისათვის კომკავშირის რაიკომს მივმართეთ და საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძრა.

პავლე ასტაპკოვი, ქალაქი ნიუ-იორკი, საბჭოთა სკოლა: — არტეკის დელეგატად ჩვენი სკოლის რაზმეულის შეკრებამ ამირჩია. მამაჩემი დიპლომატია და ჩვენი ოჯახი უკვე რამდენიმე წელიწადია ნიუ-იორკში ცხოვრობს. ვსწავლობ საბჭოთა ბავშვებისათვის შექმნილ სპეციალურ სკოლაში; ათასობით კილომეტრი გვაშორებს ჩვენს სამშობლოს, მაგრამ ჩვენ საბჭოთა კავშირის ერთიანი პიონერული ოჯახის წევრებად ვგრძნობთ თავს. ვიღებთ ყველა პიონერულ გაზეთსა და ჟურნალს. ვცხოვრობთ საბჭოთა კავშირის პიონერების საერთო საზრუნავით.

ამერიკელი მოსწავლეების გაცნობაში ძალიან გვეხმარება შეხვედრები და ერთობლივად მომზადებული დისპუტები. როცა იქ შეიტყვეს, რომ არტეკში შეკრებაზე მოვემგზავრებოდი, საბჭოთა ბავშვებთან სალამი დამბარეს. დარწმუნებული ვარ, თუ ყველა საზღვარგარეთელი თანატოლი დამეგობრდება, პლანეტა საუდამოდ დაივიწყებს სიტყვა „ომს“.

საქართველოს დღე არტეკში

პირველ ივლისს, დილით ყველა დელეგატს რუსული ასოებით დაწერილი ქართული სიმღერის „სულიკოს“ სიტყვები დაურიგდათ. ეს ერთდროულად „საქართველოს დღეზე“ მოწვევის ბარათიც იყო.

სტადიონი დელეგატებით აივსო... ჩაქრა ლამპიონები. მოედნის შუაგულში კვარცხლბეკზე ქართვლის დედა — გულრიფშელი ლელა ყურაშვილი წამოიმართა ხელში ფიალითა და ხმლით. მერე შავჩოხიანმა ბიჭებმა იგი მოედანზე ჩამოიყვანეს. ლელა დამსწრეთ მიესალმა, და ყველა საქართველოში „მიიწვია“.

მოედანი განათდა. უცებ იქაურობა ქართული „ლახტის“ თამაშის მონაწილე ბიჭუნებმა აავსეს (თამაში წინა დღეს ასწავლეს ჩვენმა დელეგატებმა არტეკელებს). შემდეგ თამრიკომ და დათომ ცეკვა ხევსურული შეასრულეს. ტიციან ტაბიძის ლექსს „მაშ გამარჯვება!“ ცეკვა „ქართული“ მოჰყვა ხაშურელი ზვიად დიასამიძისა და ქუთაისელი მარიკა მეგრელიშვილის შესრულებით.

ჩვენმა დელეგატებმა შეკრებილთ გააცნეს საქართველოს ისტორია, ისაუბრეს თბილისზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. ამას მოჰყვა დათო ფირცხალაიშვილისა და თამრიკო შარაშიძის „განდაგანა“, ოსური და აფხაზური ცეკვები. კვლავ გამოჩნდა ქართვლის დედა. შესრულდა სიმღერა თბილისზე. მოძმე რესპუბლიკების პიონერებს ქართული სუვენირები დაურიგდათ, სტადიონი „სულიკოს“ მღეროდა.

„მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა მუმლი მუხასა და ლილეოსი“... — გაისმა თამრიკო შურღაიას ხმა, მას ომახიანი „მრავალჟამიერი“ მოჰყვა.

ამ მშვენიერი საღამოს „რეჟისორები“ თამრიკო შურღაია და თბილისის 82-ე სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი მაკა ქემხაძე იყვნენ.

დელეგატის დარიგება

...თქვენ თვითონ უნდა იყოთ თქვენი ორგანიზაციის ბატონ-პატრონი — უთხრა გარდაქმნის აქტივისტთა შეკრების მონაწილეებს XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატმა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვიქტორ მირონენკომ.

— ყურადღებით ვადევნებდი თვალს თქვენს შეკრებას. კარგად მახსოვს შარშანდელი IX შეკრების დღეები, ვგრძნობ, რომ წლევანდელი თქვენი შეკრების ატმოსფერო შარშანდელი შეკრებისგან ძალზე განსხვავდება... სასიხარულოა, რომ თქვენს ორგანიზაციაში კარგი ტრადიციები იკიდებს ფეხს. აქ შეკრებილნი ერთად განიხილავდით განვლილ პერიოდს. ყოველივე გააანალიზეთ და სამომავლო გეგმებზეც იფიქრეთ...

●

საქართველოს წარგზავნილებმა არტეკიდან მეგობრების უამრავი მისამართი ჩამოიტანეს.

მათ ასე დათქვეს: 1990 წლის 20 აგვისტოს მოსკოვში, წითელ მოედანზე, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან შეიკრიბებიან ბოლო გაისად, 10 ივნისს საქართველოს დელეგაციისს წევრები პიონერთა რესპუბლიკურ სასახლეში შეხვდებიან და ანგარიშს ჩააბარებენ ერთმანეთს, თუ რა გააკეთეს გარდაქმნის აქტივისტთა შეკრების შემდეგ.

ნათელა ფაილოძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახელმწიფო.

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი
№ 9

შემოდგომა

შემოდგომა წითურ მელასავით შემოიპარა და შემოსვლისთანავე ხანძარი დაანთო ტყეში, მინდორში, ბარში და მთაში, ქალაქსა და სოფელში.

ტყე შემოდგომაზე ძალიან ლამაზი სანახავია. იგი მოფენილია წითელ-ყვითელი ფოთლებით. მარადმწვანე ნაძვები სინანულით უყურებენ ფერად კაბებში გამოწყობილ ხეებს. ნეტა ჩვენც ერთხელ მაინც გამოვეწყოთ ასეო, — ფიქრობენ. ყველაზე ლამაზად მაინც ნეკერჩხალი გამოიყურება — აგიზგიზებულ ცეცხლსა ჰგავს, წითლად უფრიალებს ალისფერი კაბა და ყველა აღფრთოვანებით შესცქერის მას. ალვასა და ცაცხვის ხეს ცხვირი აუბზუებიათ და ერთმანეთს ეუბნებიან: — როგორ იპრანჭება ეს ნეკერჩხალი, ერთი შემომხედეთ, რა კარგი ვარო. ჩვენ კი მზესავით აკაშკაშებული ვართ და ყურადღებას არავინ გვაქცევს.

ტყის შუაგულში რომ ამობურცული გორაკია, იმ გორაკს ასწლოვანი მუხა ჩასჯიდებია ძლიერი ფესვებით და მთელ ტყეს ზემოდან დაჰყურებს. „რა მშვენიერია ეს ჩემი ტყე", — ამბობს ასწლოვანი მუხა და გულში ეფერება ნეკერჩხალს, წიფელს, ალვას, ცაცხვს, ნაძვს, ყველა ხეს. „ეჰ, რა ცუდია, რომ მეორე შემოდგომას ველარ მოვესწრები!" — მუხამ ნაღვლიანად გადახედა თავის გამხმარ ტოტებს. ამ დროს დაჰქროლა ნიავმა და მუხამ საშინელი ტკივილი იგრძნო. ის ორიოდე ფოთოლი, ზედ რომ შერჩენოდა, ისიც ჩამოვარდა.

მუხამ დახუჭა თვალები და სამუდამო ძილით დაიძინა.

მის ძირში პატარა ყლორტი ამოსულიყო.

სიცოცხლე გრძელდებოდა.

●

ბებერ მუხის ფუღუროში
ციყვს დაუდევს თურმე ბინა,
ბედნიერად ანცობს, ცელქობს
ფუმფულა და პაწაწინა.
უცებ ციყვი ფუღუროში
შეხტა, ჩუმად გაინაბა.
ვაი-ვაი, ციყვუნიამ
ძია თედო დაინახა.
მოდის თედო, თელავს ყვავილს,
ფეხებს ადგამს ყაყაჩოებს,
ბახრი ცულით დაუნდობლად
ხეებს აჭრის მწვანე შტოებს.
თედო მოდის არხეინად,
წამოადგა ციყვის ბინას,
შემოარტყა მუხას ცული
ციყვი ძალზე შეაშინა.
რად დააფრთხე ცხოველები
ან რას ერჩი მუხას, თედო?
დაუტოვე ციყვებს ბინა,
მუხის მოჭრა არ გაბედო.

რუსუდან ჭყონია,
თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული
სკოლა, V კლასი.

მოცეკვავე გოგონა
ლეილა ვიბლიანი,
მეხტია, სოფ. ფარი, V კლასი.

ბავშვობა აღარ დამიბრუნდება

გადის დღეები, თვეები, წლები,
ბავშვობა ჩემგან თანდათან მიდის,
„დამიბრუნდება?" — თავს ვეკითხები,
პასუხად მესმის:
„აღარასოდეს!"
ვიხსენებ ლამაზ, ბედნიერ დღეებს,
ვით წმინდა სანთლებს ნელი-ნელ
ჩამქრალს...
საით წავიდნენ ის ჩემი დღენი
ანგელოზების და სიყმაწვილის?
წავიდნენ, ალბათ, იმ პატარასთან,
რომლის ბავშვობა ახლა იწყება,
მე კი დამტოვეს მარტოკა, ობლად,
მოწყენილი და ატირებული.
მე დავედევნე ბავშვობის დღეებს,
ვევედრებოდი, ვეკითხებოდი:
„დამიბრუნდებით?"
თუმცა ვიცოდი:
ბავშვობის დღეებს ვერ დაიბრუნებ!

კაწა წიკლაური,
თბილისი, 161-ე საშუალო
სკოლა, VI კლასი.

მიყვარს

მიყვარს იმ ლექსის ყველა
სტრიქონი,
მშობელ მიწას რომ ეალერსება;
მიყვარს მამულის დილა ნათელი
და დაცვარული ღამე ლექსებად.
იდუმალება მიყვარს ღამისა
და მოციაგე ცაზე მზის სხივი;
თუმც გაზაფხული სადღაც გამიქრა
აცელქებული ნატვრა-ფიქრივით,
მე მაინც მიყვარს ჩემი ედემი,
ეს მთა, ეს ზვრები, მწვანე ველები,
გადავუქროლებ საუკუნეებს
და ტატოს მერანს დავედევნები.
სადღაც ჩაქრება წუთით სანთელი,
ბინდი ჩადგება დახრილ თვალებში,
„მე ვარ სამყარო გაშლილი
თმებით", —
და მსურს სიკეთე, სითბო, ალერსი!
...მე მიყვარს, მიყვარს ჩემი ედემი,
ჩემი სამოთხე და ჯოჯოხეთიც
და მომავალში, როს მოვალ
თქვენთან,
ნურავინ მკითხავთ: რატომ მოხვედი...

ინგა მელითაური,
წითელწყარო, ზემოქედის საშუალო
სკოლა, XI კლასი.

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

მხატვარი
ზაურ დეისაძე

ნაეცვეცა

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უშვილო დედაკაცი. სულ იმას ნატრობდა, ღმერთო, შვილი მაჩუქეო. არ იცოდა, რა ეღონა, ადგა და კუდიან დედაბერთან მივიდა:

— შვილი მინდა მყავდეს, მიშველე რამეო.

— რატომაც არა, გიშველიო, — მიუგო კუდიანმა. — აჰა, ქერის მარცვალი. ის კი არ გეგონოს, ყანაში რომ თავთავს დაისხამს და ქათმებს საკენკად დაუყრიან. ეს მარცვალი ყვავილის ქოთანში დათესე, ნახე, რა ამოვაო.

— შენ გაიხარეო! — უთხრა დედაკაცმა კუდიანს და თორმეტი შილინგი ჩაუთვალა. შინ რომ მოვიდა, ქოთანში ჩაფლა ქერის მარცვალი. ჩაფლა თუ არა, მარცვალმა ღერო გამოიღო, ღერომ ვეებერთელა, საუცხოო ყვავილი გაიკეთა, ნამდვილი ტიტა გეგონებოდა. ყვავილის ფურცლები ისე იყო ერთმანეთზე მიკრული, გაუშლელ კოკორს ჰგავდა.

— რა ლამაზია! — შესძახა ქალმა, ყვავილის წითელ-ყვითელ ფურცლებს დასწვდა და აკოცა.

ტიტას კოკორმა ტკაცანი გაიღო, იფეთქა და გაიშალა. ყვავილის გულში, პაწაწინა მწვანე სკამზე ერთი ციდა გოგონა წამოსკუპებულიყო, ამიტომაც შეარქვეს ნამცეცა.

გოგონას კრიალა კაკლის ნაჭუჭის აკვანი მიუჩინეს, ლეიბად ლურჯი იები დაუგეს, საბნად ვარდის ფურცელი დაჰხურეს. ღამით მას ნაჭუჭში ეძინა, დღისით მაგიდაზე თამაშობდა.

ქალმა წყლით სავსე თეფში დაუდგა, ყვავილების გვირგვინი გარს შემოავლო — წყალზე ირხეოდნენ გრძელი ღეროები.

წყლით სავსე თეფში ვეება ტბა ეგონა ნამცეცას, თითქოს ნავში ზისო, ისე დაცურავდა ტიტას ყვავილის ფურცელზე დასკუპებული. ნიჩბების მაგივრად ცხენის ორ თეთრ ძუას უსვამდა. მთელი დღეები დასრიალებდა ნამცეცა თავისი საუცხოო ნავით თეფშის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე და მღეროდა.

ერთ ღამეს ნამცეცას ტკბილად ეძინა თავის პაწაწინა აკვანში, რომ ღია სარკმლიდან უზარმაზარი გომბეშო გადმობობღდა, ლოპიანი და საზარელი, ისკუპა და პირდაპირ მაგიდაზე დახტა, მერე კაკლის ნაჭუჭში ჩაიხედა. ნაჭუჭში ვარდის ფურცელი წაეხურა ნამცეცას და ეძინა.

— რა საცოლე ვუშოვე ჩემს ვაჟს! — თქვა გომბეშომ, სწვდა კაკლის ნაჭუჭს და ფანჯრიდან შუა ბაღში მოადინა ტყაპანი.

ბაღს ნაკადული ჩაუდიოდა. ნაპირი ჭაობიანი იყო. სწორედ ამ ჭაობში ჰქონდათ ბინა ბებერ გომბეშოსა და მის ვაჟს. ვაჟი პირწავარდნილი დედა იყო, ლოპიანი და საზარელი.

— კოაკო, კოაკო, ბრეკე-კე-კეკო! — მხოლოდ ესა თქვა შვილმა კაკლის ნაჭუჭში მძინარე პაწაწინა გოგონას დანახვაზე.

— ჩუმად! არ გააღვიძო, თორემ გაგვექცევა, — უთხრა ბებერმა გომბეშომ. — ხომ ხედავ, გედის ბუმბულივით მსუბუქია. მოდი, დუმფარას დიდ ფოთოლზე დავსვათ და ნაკადულში შევაცუროთ. დუმფარას ფოთოლი ერთი ვეება კუნძული იქნება ამ პაწაწინასათვის და იქიდან ვერსად გაგვექცევა. მე კი მანამ ჭაობში ერთ კარგ ბინას მოგიმზადებთ.

ნაკადული დუმფარებით იყო მოფენილი, წყალში ლივლივებდნენ დიდრონი მწვანე ფოთლები. ნაპირიდან მოშორებით, ერთი ყველაზე დიდი ფოთოლი ამოირჩია გომბეშომ. ახლოს მიცურდა და კაკლის ნაჭუჭი ზედ დადგა. ნაჭუჭში გოგონას ისევ მშვიდად ეძინა.

დილაადრიან გაეღვიძა ნამცეცას. მიიხედ-მოიხედა და... დუმფარას ფოთოლზე არ უდგას საწოლი! ირგვლივ, სადამდეც თვალი გასწვდება, წყალია, ნაპირი ისე შორსაა, ძლივსღა მოჩანს. ნამცეცას შეეშინდა და ატირდა.

ბებერი გომბეშო კი ამ დროს ლაფში იჯდა, ლელითა და ყვითელი დუმფარათი რთავდა თავის სახლკარს — პატარძლის გულს გავახარებო. საქმეს რომ მორჩნენ, ბებერმა გომბეშომ და მისმა საძაგელმა ვაჟმა დუმფარას ფოთოლთან მიცურეს, აკვანი უნდა წამოეღოთ და ლამაზად მორთულ საძინებელ ოთახში დაედგათ. ბებერმა გომბეშომ ნამცეცას ცხვირწინ ამოყო თავი და უთხრა:

— ეს ჩემი ვაჟიშვილია. დღეიდან მისი ცოლი იქნები. სიამტკბილობით იცხოვრეთ ჩვენს ჭაობში.

— კოაკო, კოაკო, ბრეკე-კე-კეკო! — ისევ ესა თქვა გომბეშოს ვაჟმა.

გომბეშოებმა კაკლის ნაჭუჭი შინისაკენ გააქანეს. დარჩა ნამცეცა მარტოდმარტო მწვანე ფოთოლზე დასკუპებული, მწარედ ატირდა: ბებერ გომბეშოსთან რა გამაძლებინებს, ან მისი საძაგელი ვაჟის ცოლობა რად მინდაო.

პაწაწკინტელა თევზებმა, აღმა და დაღმა რომ დაჰყვებოდნენ ნაკადულს, ნახეს გომბეშო და მისი ვაჟი და თავისი ყურით გაიგონეს, რას ელაპარაკებოდა ბებერი გომბეშო ნამცეცას. გომბეშოები თვალს რომ მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარნენ, თევზებმა თავი ამოყვეს წყლიდან: პაწია პატარძალს შევხედოთო. ნამცეცა რომ დაინახეს, შეებრალათ. ამ ლამაზ გოგონას იმ საძაგელ გომბეშოებთან არ დავტოვებთო, თქვეს და რაც კი იმ ნაკადულში პატარა თევზი იყო, ყველა დუმფარას ფოთოლთან გაჩნდა, ღერო გადაღრღნეს.

დინებას მიჰყვა დუმფარას ფოთოლი. წყალი ჩქარა მიედინებოდა და ფოთოლსა და ზედ წამოსკუპებულ გოგონას შორს მიაქანებდა. ახლა კი – მშვიდობით, ვეღარ დაეწეოდნენ გომბეშოები ნამცეცას.

სულ უფრო და უფრო შორს მიცურავდა ნამცეცა. ტკბილი ჟღურტულით ეგებებოდნენ ბუჩქებში შეყუჟული ჩიტები:

– ეს რა ლამაზი გოგონაა!

ერთი ლამაზი თეთრი პეპელა სულ თავს დასტრიალებდა ნამცეცას, ბოლოს დუმფარას ფოთოლზე დაჯდა – მოხიბლა ამ პატარა გოგონამ. ნამცეცამ სარტყელი შემოიხსნა, ერთი ბოლო პეპელას მიაბა, მეორე – დუმფარას ფოთოლს. ახლა უფრო სწრაფად გასრიალდა წყალზე ფოთოლი.

უცებ ნამცეცას მაისის დიდმა ხოჭომ ჩამოუფრინა, დაინახა თუ არა ნამცეცა, აიტაცა და ხეზე დასვა, დუმფარას მწვანე ფოთოლი კი ისევ მიცურავდა და ზედ მიბმულ პეპელასაც მიაქროლებდა.

საბრალო ნამცეცას შიშისაგან ლამის გული გაუსკდა, როცა მაისის ხოჭომ აიტაცა და ხეზე დასვა, მაგრამ პეპელაზე უფრო სწუხდა: რა ეშველება, თუ ვინმემ არ გაათავისუფლა, ნამდვილად შიმშილით მოკვდებაო. მაგრამ ხოჭო აინუნშიაც არ აგდებდა ნამცეცას დარდს. გვერდით მიუჯდა და ყვავილების ნექტარი შეასვა. მერე უთხრა: მაისის ხოჭოს არა ჰგავხარ, მაგრამ მაინც მომწონხარო.

მალე სხვა მაისის ხოჭოებიც ესტუმრნენ. ისინიც ხომ ამ ხეზე ცხოვრობდნენ. ხოჭოებმა აათვალიერ-ჩაათვალიერეს ნამცეცა, ხოჭო-ქალიშვილებმა საცეცები აიჩეჩეს:

– მარტო ორი ფეხი აქვს!

– ის კი არა და, საცეცებიც არა აქვს! – თქვა მეორემ.

– რა ჩხირივითაა, სულ ადამიანს არ ჰგავს? – თქვა მესამემ.

– მახინჯია, მახინჯი! – ერთხმად დაასკვნეს ხოჭო-ქალიშვილებმა.

ნამცეცა კი კალმით ნახატს ჰგავდა, მაისის ხოჭოც ასე ფიქრობდა, მაგრამ, აქაოდა, სხვებმა დაიწუნესო, ცოტა იყოყმანა და ბოლოს ისიც მათ აჰყვა. აღარ უნდოდა შინ გაეჩერებინა ნამცეცა, სადაც ენებოს, იქ წაბრძანდესო. აიტაცეს ხოჭოებმა ნამცეცა: ხიდან გადმოაფრინეს და ერთ გვირილაზე დაასკუპეს.

იჯდა ნამცეცა ყვავილზე და ტიროდა: ასეთი მახინჯი როგორ ვარ, რომ მაისის ხოჭოებმაც გამომაგდესო.

მთელი ზაფხული გაატარა ნამცეცამ მარტოდმარტო, უღრან ტყეში. ბალახის ღეროებისაგან საწოლი დაწნა და ძირხვენას დიდი ფოთლის ქვეშ დაკიდა – წვიმა არ ჩამოვაო. ყვავილების ტკბილ თაფლს შეექცეოდა, ფოთლებზე მთრთოლვარე დილის ცვარს სვამდა.

ასე მიიწურა ზაფხულიც და შემოდგომაც. დადგა ცივი და მოსაბეზრებელი ზამთრისპირი. ფრინველები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ, ყვავილები დაჭკნა. ძირხვენას დიდ ფოთოლსაც შეეპარა სიყვითლე, გახდა და დაიგრაგნა.

ნამცეცა სიცივისაგან კანკალებდა. ტანზე კაბა შემოეძარცვა. აბა, როგორ არ გაიყინებოდა, ის ხომ ნაზი და პაწაწინა იყო. ჩამოთოვა. ყოველი ფანტელი ნამცეცასათვის ის იყო, რაც ჩვენთვის ერთი ნიჩაბი თოვლია. ჩვენ ხომ დიდები ვართ, ის კი ერთი ციდა გახლდათ. დამჭკნარ ფოთლებში გაეხვია, მაგრამ ფოთლები რას გაათბობდა, ვერხვის ფოთოლივით თრთოდა საბრალო.

გადაწყვიტა, ტყეს მოვშორდები და სადმე ზამთრის თავშესაფარს მოვძებნიო.

ტყის პირას პურის დიდი ყანა იყო. პური უკვე მოემკათ, აქა-იქ, დამზრალი მიწიდან ნაწვერალიღა ამოჩრილიყო.

ისე ციოდა, ტყე დაავიწყდა. საბრალო ნამცეცა მთლად გაითოშა, ძლივს მიაღწია მინდვრის თაგვის სორომდე. სოროს შესასვლელი ნამჯითა და ჩალით იყო ამოქოლილი. მინდვრის თაგვი სითბოსა და ფუფუნებაში ცხოვრობდა. საჭმელიც თავზე საყრელად ჰქონდა; მისი სამზარეულო და საკუჭნაო ხორბლით იყო გაჭედილი. საწყალი ნამცეცა მათხოვარივით დადგა სოროს კართან და სთხოვა, სულ ცოტა ქერის მარცვალი მომეცით, ორი დღეა, არაფერი მიჭამიაო.

– ოჰ, როგორ მებრალები! – უთხრა მინდვრის თაგვმა (ის მართლაც გულკეთილი ბებრუხანა იყო), – შემოდი სოროში, კიდეც გაგათბობ და კიდეც დაგაპურებო.

ნამცეცა სოროში ჩაძვრა, გათბა და კიდეც დანაყრდა. ბებრუხანას ძალიან მოეწონა გოგონა და ასე უთხრა:

– ამ ზამთარს ჩემთან დარჩი, საზრდოს არ მოგაკლებ, შენ კი აქაურობა დამილაგე და ზღაპრები მიამბე, ძალიან მიყვარს ზღაპრების მოსმენაო.

ნამცეცაც ისე იქცეოდა, როგორც ბებერი თაგვი უბრძანებდა. მართლაც ჩინებულად გრძნობდა თავს თაგვის თბილ სოროში...

– მალე სტუმრები გვეწვევიან, – უთხრა ერთხელ მინდვრის თაგვმა ნამცეცას. – კვირაში ერთხელ ჩემთან ერთი მეზობელი მოდის. შეძლებული კაცია, მე მას როგორ შევედრები: უზარმაზარი სახლი აქვს მიწის ქვეშ. საუცხოო შავი ხავერდის ქურქი აცვია. თუ ცოლად გაჰყვები, ჩიტის რძეს არ მოგაკლებს, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, ერთი უბედურება სჭირს – უსინათლოა და ვერ დაგინახავს. სამაგიეროდ, შენ მას მშვენიერ ზღაპრებს უამბობ.

ნამცეცას სულაც არ სურდა მინდვრის თაგვის მეზობელზე გათხოვება. ის ხომ თხუნელა იყო.

თხუნელა მართლაც მალე ესტუმრა თაგვს. ერთი გაბღენძილი, განსწავლული, მდიდარი ვინმე გახლდათ. ხავერდის ქურქი ეცვა.

მისი სორო მინდვრის თაგვის სოროზე ოცჯერ დიდი იყო. ხალვათი ოთახები და გრძელი დერეფნები ჰქონდა, მაგრამ მზის სხივი ვერ ატანდა. თხუნელას ჭირის დღესავით სძულდა მზე და ლამაზი ყვავილები, რადგანაც არც მზე ეხილა, არც ყვავილები.

ნამცეცას უნდა ემღერა ღირსეული სტუმრის პატივსაცემად. გოგონამ ორი სიმღერა ჩააწკრიალა, ისეთი ტკბილი ხმა ჰქონდა, თხუნელას მაშინვე შეუყვარდა, მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია, აბა, რისი დარბაისელი ვაუბატონი იქნებოდა.

თხუნელამ ხვრელი გამოთხარა თავისი ბინიდან თაგვის სორომდე. სწორედ ამ მიწისქვეშა დერეფანში სასეირნოდ მიიპატიჟა ბებერი თაგვი და ნამცეცა.

თხუნელას პირში ფუტურო ჰქონდა გაჩრილი. ფუტურო სიბნელეში სანთელივით ანათებდა, იგი წინ გაუძღვა თაგვსა და ნამცეცას, გრძელი და ფართო დერეფანი გაუნათა.

შუა გზაზე თხუნელა შეჩერდა და თანამგზავრებს უთხრა:

– აქ რაღაც ჩიტი გდია, მაგრამ არ შეგეშინდეთ, მკვდარია.

თხუნელამ თავისი დინგა ცხვირით ჭერი გახვრიტა. ხვრელში დღის შუქი შემოიჭრა, და ნამცეცამ მკვდარი მერცხალი დაინახა. ეტყობა, ზამთრისპირის სიცივემ გაჰყინა და თხუნელას სოროში ჩავარდა. ფრთები ტანზე მიჰკვროდა, თავი და ფეხები ბუმბულში ჩაემალა – საწყალი მერცხალი ალბათ სიცივისაგან გათოშილიყო. ნამცეცას უზომოდ შეებრალა მერცხალი. მას ძალიან უყვარდა ჩიტუნები. ჩიტებიც საამოდ უგალობდნენ მთელი ზაფხული! თხუნელამ კი მერცხალს თავისი მოკლე თათები გაჰკრა და თქვა:

– ერთი ახლაც იჭიკჭიკოს! კარგია, რომ ჩიტად არ დავიბადე! ჩიტმა ჟღურტულისა და ჭიკჭიკის მეტი არაფერი იცის. ზამთარი რომ კარს მოადგება, მაშინ ნახე მისი გასაჭირი, შიმშილითა და სიცივით სული სძვრება. ჩემს შვილებს კი ზამთრის სუსხი ვერ შეაშინებს.

– მართალია, მართალი! – მიუგო მინდვრის თაგვმა. – აბა, ვის რას არგებს ჭიკჭიკი: სიმღერა ვერც გაგაძღობს და ვერც გაგათბობს.

ნამცეცა დუმდა. მაგრამ როცა თხუნელამ და თაგვმა ჩიტს ზურგი შეაქციეს, გოგონა დაიხარა, ჩიტს თავზე ბუმბული გადაუწია და თვალებში აკოცა.

„ვინ იცის, – გაიფიქრა მან, – იქნებ ის მერცხალია, ისე რომ მიგალობდა მთელი ზაფხული. ჩემო ჩიტუნავ, რამდენჯერ გამიხარე გული შენი ტკბილი ჭიკჭიკით!“

თხუნელამ ისევ ამოქოლა ნაჩვრეტი, საიდანაც სინათლე შემოდიოდა, და ბებერი თაგვი და ნამცეცა სახლამდე მიაცილა.

ნამცეცას იმ ღამეს რული არ მიჰკარებია. ლოგინიდან ადგა, ხმელი ბალახის ღეროებისაგან ხალიჩა დაწნა, ხვრელისაკენ გააქანა და მკვდარ ჩიტუნას დააფარა. შემდეგ თაგვის სოროდან ფაფუკი, რბილი ხავსი მოარბენინა და ლოგინი დაუგო, ცივ მიწაზე რომ არ ყოფილიყო მკვდარი ჩიტუნა.

– მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო საყვარელო მერცხალო! – შესძახა ნამცეცამ. – მადლობელი ვარ, რომ მთელი ზაფხული ისე საუცხოოდ მიგალობდი, როცა ხეები მწვანით იყო შემოსილი და მზე მაღლიდან სხივებს გვფენდა.

მერე დაიხარა და მკერდზე მიაყრდნო თავი ჩიტუნას, მაგრამ უცებ შეკრთა.

მერცხლის მკერდიდან რაღაც ხმა მოისმა – ჩიტუნას გული ფეთქავდა. მაშ, ჩიტუნა მკვდარი არ ყოფილა! სიცივისაგან გათოშილა. ახლა კი გათბა და მოსულიერდა.

ნამცეცა შიშისაგან ცახცახებდა – ჩიტი ხომ მის გვერდით ბუმბერაზი

ჩანდა, მაგრამ მაინც გაიმაგრა გული. თბილად შეფუთნა ჩიტი ხალიჩაში, მერე გაიქცა, პიტნის ფოთოლი მოიტანა, თვითონ რომ იხურავდა ხოლმე, და ჩიტს თავზე გადააფარა.

ნამცეცა მეორე ღამითაც მალულად მიიპარა ჩიტთან. მერცხალი ახლა უკვე გამოკეთებულიყო, ოღონდ ჯერ კიდევ არ იყო მომაგრებული და ძლივს ახელდა თვალებს, რომ გოგონასათვის შეეხედა. ნამცეცა მის წინ იდგა, ხელში ფუტურო ნაფოტი ეჭირა. ეს იყო მისი ფარანი!

— მადლობელი ვარ, ჩემო ლამაზო გოგონავ! — უთხრა ავადმყოფმა მერცხალმა. — ოჰ, როგორ გავთბი. მალე სულ მოვმჯობინდები, ფრთებს გავშლი და მზეს მივეგებები.

— არა, არა! — უთხრა ნამცეცამ, — გარეთ ცივა, თოვს. ჯობია, აქ დარჩე, თბილ ლოგინში, მე მოგივლი.

ნამცეცამ ყვავილის ფოთლით წყალი და რამდენიმე ქერის მარცვალი მოუტანა მერცხალს. მერცხალმა წყალი დალია და მარცვლები აკენკა. მერე უამბო გოგონას, ცალი ფრთა ეკალზე გავიკაწრე და ამიტომ ვეღარ გავყევი მერცხლებს თბილ ქვეყნებში, ამასობაში კიდეც დაზამთრდა, აცივდა და ძირს ჩამოვვარდიო. ამის მეტი აღარაფერი ახსოვდა, არც ის იცოდა, როგორ მოხვდა ამ ჯურღმულში.

მთელი ზამთარი მერცხალმა სოროში გაატარა. ნამცეცა თავს ევლებოდა. კიდევ კარგი, თხუნელამ და მინდვრის თაგვმა არაფერი იცოდნენ — მათ ხომ ჩიტები არ უყვარდათ!

როგორც კი გამოზაფხულდა და მზემ დედამიწა გაათბო, ნამცეცამ ჭერში ჭუჭრუტანა გაასუფთავა.

— თან ხომ არ წამომყვები? — ჰკითხა მერცხალმა ნამცეცას. — ზურგზე შემაჯექი და ამწვანებულ ტყეს შევეფაროთ.

მაგრამ ნამცეცას ბებერი მინდვრის თაგვი ებრალებოდა, უჩემოდ მოიწყენსო.

— არა, ვერ გამოგყვები, — მიუგო ნამცეცამ მერცხალს.

— მაშ, მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ლამაზო გოგონავ! — ჩაიჭიკჭიკა მერცხალმა და ცაში შეინავარდა.

ნამცეცამ მზერა გააყოლა ჩიტს და თვალი ცრემლით აევსო.

გოგონას ძალიან შეუყვარდა ჩიტუნა.

— ჭიკ-ჭიკ! ჭიკ-ჭიკ! — ჩამოსძახა მერცხალმა და მწვანედ აქოჩრილ ტყეს მიეფარა.

ნამცეცა კი თაგვის სოროში დარჩა. ცუდ დღეში ჩავარდა საბრალო. მზეზე გასვლის ნებას არ აძლევდნენ. მინდვრის თაგვის სოროს ირგვლივ დათესილმა ყანამ კი ისეთი თავთავი დაიყარა, ნამცეცას თავი უღრან ტყეში ეგონა.

— ახლა მზითევი უნდა მოგიმზადო, — უთხრა ერთხელ ნამცეცას ბებერმა თაგუნამ. — დარბაისელ ბატონს მიჰყვები ცოლად და ყველაფერი უხვად უნდა გქონდეს.

თურმე თხუნელას უკვე ეთხოვა ნამცეცას ხელი ბებერი თაგვისთვის.

მთელი დღეები იჯდა ნამცეცა და ნართს ართავდა. ბებერმა თაგვმა ოთხი ობობა დაიქირავა. ობობები თაგვის სოროში ისხდნენ და სულ ნაირ-ნაირ ფარჩას ქსოვდნენ.

გაბერილი, უსინათლო თხუნელა ყოველ საღამოს მოდიოდა საცოლის სანახავად და მოჰყვებოდა ყბედობას: მალე გავა ზაფხული, მზე ისე აღარ დააცხუნებს, მიწა კვლავ დარბილდება და გაფხვიერდება, ჰოდა, სწორედ მაშინ, ზაფხულის მიწურულში, ქორწილს გადავიხდითო. ნამცეცა კი სულ გარბოდა და ტიროდა: არ სურდა ამ უნიათ თხუნელაზე გათხოვება.

მზის ყოველი ამოსვლისას თუ ჩასვლისას ნამცეცა სოროს ზღურბლთან მიიპარებოდა. როდესაც ქარი პურის თავთავებს გადააწვენდა, ნამცეცა ლურჯ ცას ახედავდა და გაიფიქრებდა:

„რა სინათლეა! რა სილაღეა!“ — თან მერცხალი აგონდებოდა, მისი ნახვა ენატრებოდა, მაგრამ მერცხალი არსად ჩანდა. ალბათ შორს ტყეში დაფრინავდა.

შემოდგომა დადგა. ნამცეცას მზითევი უკვე მზად იყო.

— ოთხი კვირის შემდეგ შენი ქორწილი იქნება, — უთხრა ნამცეცას მინდვრის თაგვმა.

ნამცეცა ატირდა: არ მინდა ამ დონდლო თხუნელაზე გათხოვება.

— ნუ როშავ! — შეჰყვირა ბებერუხანა თაგვმა, — ნუ გაჯიუტდები, თორემ ისე ჩაგასობ ჩემს თეთრ კბილს, რომ... ნეტავი რას უწუნებ თხუნელას! ისეთი შავი ხავერდის ქურქი დედოფალსაც შეშურდება. სამზარეულო და საკუჭნაო ხომ სავსე აქვს დოვლათით.

ქორწილის დღეც დადგა. თხუნელა ნამცეცას წასაყვანად მოვიდა. ნამცეცას თხუნელას სოროში უნდა ეცხოვრა, მიწისქვეშეთში. იგი მზეს ვეღარ იხილავს, რადგან თხუნელა არ მისცემს სოროდან გასვლის ნებას. საბრალო ნამცეცას კი უნდოდა სამუდამოდ გამომშვიდობებოდა კაშკაშა მზეს და სოროდან ამოვიდა, ერთხელ კიდევ შევხედავ მზესო. პური უკვე აეღოთ. გამხმარი ნაწვერალი მოჩანდა მიწაზე. გოგონა თაგვის სოროს მოშორდა და მზისკენ გაიწოდა ხელები.

— მშვიდობით, მშვიდობით, კაშკაშა მზეო!

იქვე პაწაწინა ლამაზ წითელ ყვავილს მოჰკრა თვალი. ხელები მოხვია და უთხრა:

— მერცხალი თუ აქეთ გადმოიფრენს, ჩემი სალამი გადაეცი!

— ტვი-ვიტ, ტვი-ვიტ! — მოესმა გოგონას.

აიხედა და რას ხედავს: მის წინ ნაცნობი მერცხალი მოფრინავს. მერცხალსაც ძალიან გაუხარდა გოგონას დანახვა. ნამცეცამ ტირილით უამბო ყველაფერი: ვერ გავყვები ცოლად იმ გაბერილ თხუნელას, ან მიწისქვეშეთში როგორ ვიცხოვრო, იქ ხომ მზის სხივი არ ატანსო.

— ჩქარა დადგება ცივი ზამთარი. და მეც შორს, თბილ ქვეყანაში გავფრინდები. თუ გინდა შენც წაგიყვან, — უთხრა მერცხალმა. — ზურგზე შემაჯექი, სარტყელი მაგრად ჩამაბი და გავფრინდეთ, ლურჯი ზღვის გადაღმა, ამ საზიზღარ თხუნელასაგან შორს, სადაც მუდამ მცხუნვარე მზეა და წარმტაცი ყვავილები ჰყვავის. გავფრინდეთ, გავფრინდეთ ერთად, ჩემო კარგო ნამცეცავ! როგორ დამავიწყდება შენი ამაგი. შენ ხომ

სიკვდილს გადამარჩინე, გათოშილი რომ ვეგდე ბნელსა და ცივ სოროში.

— ჰო, ჰო, გავფრინდეთ! — უთხრა ნამცეცამ.

ნამცეცა ზურგზე შეაჯდა მერცხალს, სარტყელი გრძელ ფრთას ჩაება. ფეხები მაკრატელა კუდზე შემოაწყო და მერცხალიც ისარივით აიჭრა ჰაერში, დაბურულ ტყეებს, ლურჯ ზღვებსა და თოვლით დაფარულ მაღალ მთებს გადაუფრინა. მაღლა ისე ციოდა, სულ გაიყინა ნამცეცა. მერცხლის თბილ ფრთებში ჩაიმალა, თავი კი გარეთ გამოჰყო, რომ საუცხოო მიდამოს ცქერით დამტკბარიყო.

მიფრინდნენ თბილ ქვეყანაში! აქ მზე უფრო კაშკაშებდა, ცაც უფრო მოკრიალებული იყო, ვიდრე ჩვენშია. რუს პირას ღობეებზე საუცხოო მწვანე ვაზი გასულიყო. ტყეებში ლიმონითა და ფორთოხლით დამძიმებულიყო ხეები, ირგვლივ დაფნისა და პიტნის სასიამოვნო სურნელი იდგა. შარაზე ბავშვები მხიარულად გარბოდნენ და დიდრონ ჭრელ პეპლებს იჭერდნენ. მერცხალი კი მიფრინავდა და მიფრინავდა.

მშვენიერი ცისფერი ტბის პირას, მწვანე, ქოჩორა ხეებში თეთრი მარმარილოს ძველებური სასახლე იდგა. სასახლის მაღალ სვეტებს ვაზის ლერწი შემოხვეოდა, სახურავქვეშ კი სვეტების თავხეებს ჩიტის ბუდეები მიჰკვროდა. ერთი ბუდე მერცხლისა იყო.

— აი, ჩემი ბუდე! — უთხრა მერცხალმა, — აირჩიე ყველაზე ლამაზი ყვავილი, ზედ დაგსვამ და ქალბატონივით იქნები.

ნამცეცა სიხარულით ცას ეწია და ტაში შემოჰკრა.

მიწაზე თეთრი მარმარილოს ნატეხები ეყარა. სვეტის თავი ჩამოვარდნილიყო და სამად გატეხილიყო. ნატეხებს შუა დიდრონი თეთრი ყვავილები ყელყელაობდნენ. მერცხალი ძირს დაეშვა და ნამცეცა ყვავილის ფართო ფურცელზე დასვა.

როგორ გაოცდა გოგონა, როცა ყვავილის გულში თეთრი, ბროლივით გამჭვირვალე არსება დაინახა. მხრებზე მსუბუქი ფრთები უთრთოდა. თავზე კი პაწაწინა მოელვარე ოქროს გვირგვინი ედგა. სწორედ ნამცეცას სიმაღლე იყო. ეს ყვავილის ელფი გახლდათ. ყველა ყვავილში ბუდობს ამისთანა პაწაწინა არსება, ვაჟი ან გოგონა. ოქროსგვირგვინოსანი მშვენიერი არსება კი ელფების მეფე იყო.

— ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია! — წასჩურჩულა ნამცეცამ მერცხალს.

პაწაწინა მეფეს მერცხლის დანახვაზე თავზარი დაეცა: მერცხალი მასთან შედარებით უშველებელი ჩანდა. ნამცეცას დანახვა კი ძალიან გაუხარდა. — ასეთი ლამაზი გოგონა არასოდეს ენახა. მოკრძალებით მიესალმა, მოიხადა გვირგვინი, ნამცეცას თავზე დაადგა და ჰკითხა, რა გქვია ან ვინა ხარ, გსურს თუ არა, ცოლად გამომყვე და ყვავილთა დედოფალი გახდეო.

ეს კი ნამდვილად ღირსეული საქმრო იყო, გომბეშოს ვაჟსა და ხავერდისქურქიან თხუნელას კი არა ჰგავდა! ნამცეცა უყოყმანოდ დათანხმდა მშვენიერ უფლისწულს, ცოლად გაჰყოლოდა. უცებ ყვავილებიდან ელფები გამოფარფატდნენ. თითოეულს საჩუქარი მოჰქონდა ნამცეცასათვის. ყველაზე საუკეთესო საჩუქარი ჭრიჭინობელას გამჭვირვალე წყვილი ფრთა იყო. ფრთები ზურგზე შეაბეს, — ახლა ნამცეცასაც შეეძლო ყვავილიდან ყვავილზე ფრენა. უჰ, დილილმე!

მერცხალი კი იჯდა თავის ბუდეში და საამურად გალობდა. დარდიანად იყო: ძალიან შეუყვარდა გოგონა და უმძიმდა განშორება!

მთელი ზამთარი აქ გაატარა, ადრიან გაზაფხულზე კი მშობლიურ მხარეს მიაშურა.

— მშვიდობით, მშვიდობით! — ნაღვლიანად ჩამოსჭიკჭიკა მერცხალმა ნამცეცას და თბილი ქვეყნებიდან ისევ შორეული დანიისაკენ გაფრინდა.

იქაც ბუდე ჰქონდა, პატარა ოთახის ფანჯრის თავზე. ამ ოთახში ერთი კაცი ცხოვრობდა, ბევრი ზღაპარი იცოდა იმ კაცმა. ეს ზღაპარიც იმას ჩასჭიკჭიკა მერცხალმა — კვიტ-კვიტ-კვიტ და ჩვენც სწორედ მისგან გავიგეთ ნამცეცას თავგადასავალი.

თარგმნა მარიამ ჭავჭანიძემ

იოსეგ გლიაძე,
რამაზ
გოგოლრიშვილი

მათემატიკური ლოგიკის ელემენტები

ლოგიკა მათემატიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილია და მასაც, როგორც მათემატიკის სხვა ნაწილებს, აქვს სპეციალური აპარატი. მაგალითისთვის შევადაროთ იგი მათემატიკას. არითმეტიკაში გვაქვს რიცხვები, მათემატიკურ ლოგიკაში კი არსებობს ორი რიცხვი — „ჭეშმარიტი“ და „მცდარი“. როგორც რიცხვია არითმეტიკული გამოსახულების მნიშვნელობა, ასევე ლოგიკური გამოსახულების მნიშვნელობა არის ან „ჭეშმარიტი“ და ან „მცდარი“. მათემატიკური ლოგიკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მარტივი გამონათქვამი, რომელიც ლათინური ასოებით აღინიშნება. მარტივი გამონათქვამია ნებისმიერი წინადადება, რომლის მნიშვნელობაც ჭეშმარიტია ან მცდარი. მაგალითად, ავიღოთ სამი წინადადება: „ყველა ადამიანს აქვს დაბადების დღე“, „როდის იწყება გაკვეთილები სკოლაში?“, „ადამიანის სისხლი მწვანეა“.

მათგან ორი — პირველი და მესამე მარტივი გამონათქვამია, მეორე კი — არა. პირველი წინადადება, რომელსაც ჩვენ A ასოთი აღვნიშნავთ, ცხადია ჭეშმარიტია, რადგან თითოეულ ჩვენგანს მართლაც გვაქვს დაბადების დღე. მესამე წინადადება (მას B ასოთი აღვნიშნავთ) მცდარია, რადგან ვიცით, რომ ადამიანის სისხლი წითელია და არა მწვანე. რაც შეეხება მეორე წინადადებას, იგი კითხვითია, ამდენად, მისი მნიშვნელობა არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ე. ი. იგი არ არის მარტივი გამონათქვამი.

მარტივი გამონათქვამები ერთმანეთს უკავშირდება ლოგიკური ოპერაციებით, რაც, თავის მხრივ, რთული წინადადებების შედგენის საშუალებას იძლევა, ხოლო მარტივი გამონათქვამების ლათინური ასოებით აღნიშვნითა და ლოგიკურ ოპერაციათა ნიშნების გამოყენებით ყოველი თხრობითი წინადადება შეიძლება სიმბოლური სახით ჩავიწეროთ.

განვიხილოთ ე. წ. ერთადგილიანი ლოგიკური ოპერაცია — უარყოფა, ანუ როგორც მოკლედ ამბობენ, — „არა“. ჩანაწერი $\neg A$ შემდეგნაირად იკითხება: ყველა ადამიანს არა აქვს დაბადების დღე. ე. ი. $\neg A$ ნიშნავს A-ს უარყოფას, მასში გამოთქმული აზრი საპირისპიროა A გამონათქვამში ჩამოყალიბებული აზრისა. $\neg A$ შეიძლებოდა შემდეგნაირადაც წაგვეკითხა: არაა სწორი, რომ ყველა ადამიანს აქვს დაბადების დღე.

ცხადია, $\neg A$ გამონათქვამი მცდარია, ხოლო $\neg B$ — ჭეშმარიტი. $\neg B$: არაა სწორი, რომ ადამიანის სისხლი მწვანეა.

მაშასადამე, თუ X გამონათქვამის მნიშვნელობა იყო ჭეშმარიტი, მაშინ $\neg x$-ის მნიშვნელობა მცდარი იქნება, ხოლო თუ X-ის მნიშვნელობა იყო მცდარი, მაშინ $\neg x$-ის მნიშვნელობა ჭეშმარიტია. ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება შევადგინოთ ე. წ. ჭეშმარიტობათა ცხრილი უარყოფისათვის.

X	¬X
ჭ	მ
მ	ჭ

განვიხილოთ კიდევ ერთი ლოგიკური ოპერაცია. ეს არის ლოგიკური გამრავლება ანუ კონიუქცია. იგი გამოიყენება ორი გამონათქვამის შესაერთებლად მაკავშირებელი სიტყვით „და“. მისი აღმნიშვნელი ნიშანია **&**. ამ ოპერაციით სარგებლობისათვის საჭიროა გვქონდეს სულ ცოტა ორი — A და B გამონათქვამი, რომლებიც წინადადებებად ერთმანეთს მაკავშირებელით შეერთდებიან, მაგალითად: მზე ათბობს დედამიწას და მთვარე არ ათბობს დედამიწას. აღვნიშნოთ:

A: მზე ათბობს დედამიწას; B: მთვარე არ ათბობს დედამიწას.

შემოღებული აღნიშვნებისა და კონიუქციის გამოყენებით ზემოთმოყვანილი წინადადება ჩაიწერება: $A\&B$. ცხადია A და B გამონათქვამების მნიშვნელობა ჭეშმარიტია და ასევე ჭეშმარიტია $A\&B$ რთული გამონათქვამიც.

აღვნიშნოთ c: „ყველა ძაღლი ორფეხაა“ და შევადგინოთ გამონათქვამი $A\&C$. ცხადია, C გამონათქვამი მცდარია, რადგან არსებობენ მხოლოდ ოთხფეხა ძაღლები. $A\&C$ კი შემდეგნაირად იკითხება: მზე ათბობს დედამიწას და ყველა ძაღლი ორფეხაა. ალბათ არც ერთ თქვენგანს არ შეეპარება ეჭვი, რომ ეს წინადადება მცდარია და მაშასადამე, მცდარია $A\&C$ გამონათქვამიც.

მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ვაკეთებთ დასკვნას, რომ კონიუქციის $A\&B$ მნიშვნელობა ჭეშმარიტია, თუ ორივე A და B გამონათქვამი ჭეშმარიტია, ხოლო თუ ერთი ამათგანი მაინც მცდარია, მაშინ კონიუქციის მნიშვნელობაც მცდარია. ჭეშმარიტობათა ცხრილს ლოგიკური გამრავლებისათვის აქვს შემდეგი სახე:

X	ჭ	ჭ	მ	მ
y	ჭ	მ	ჭ	მ
X&y	ჭ	მ	მ	მ

ჩვენს მიერ განხილული ლოგიკური ოპერაციებისა და გამონათქვამების შეფასება შესაძლებელია რიცხვებზეც დავიყვანოთ. ამისათვის

ჭეშმარიტება აღვნიშნოთ I-ით, ხოლო მცდარობა O-ით, მაშინ შეგვიძლია ვისარგებლოთ შემდეგი არითმეტიკული მოდელებით:

უარყოფა: $\neg$ — არითმეტიკული მოდელი $1 - A$;

ლოგიკური გამრავლება: $A\&B$ — არითმეტიკული მოდელი $A - B$;

ამ მოდელების სამართლიანობაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ შეადარებთ ლოგიკური ოპერაციებისა და მათი შესაბამისი არითმეტიკული მოდელების ცხრილს.

A	B	$1-A$	AB
1	1	0	1
1	0	0	0
0	1	1	0
0	0	1	0

შევეცადოთ, გამოვიყენოთ ჩვენს მიერ დაგროვილი ცოდნა ერთი პატარა ამოცანის გადასაწყვეტად.

სამხრეთ ამერიკაში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდა ინდიელთა ორი ტომი: ერთ ტომის ინდიელები სიმართლის მოყვარულები იყვნენ და ამიტომაც მათ რაინდებს უწოდებდნენ. ხოლო მეორე ტომის ინდიელები ყოველთვის ტყუილის თქმას ამჯობინებდნენ, ამის გამო ამ ორ ტომს შორის ხშირი იყო ომები, რამაც ისინი განადგურების პირას მიიყვანა. შეიკრიბნენ ტომთა უხუცესები, დროებით დაივიწყეს თავიანთი მიდრეკილებანი ტყუილ-მართლის მიმართ და შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან ყველა სადავო საკითხს მშვიდობიანი გზით ან სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტდნენ, დამნაშავეს დასჯიდნენ და ამით ომს თავიდან აიცილებდნენ. შეთანხმდნენ იმაზეც, რომ ბრალმდებელი ხან ერთი ტომის წარმომადგენელი იქნებოდა და ხან მეორისა, ხოლო მოსამართლეს ყოველთვის უცხო ტომიდან მოიწვევდნენ. თანაც ისეთს, რომელსაც არ ეცოდინებოდა, რომელ ტომს ეკუთვნოდა ბრალმდებელი, ვისი სიტყვების საფუძველზეც განაჩენი უნდა გამოეტანა. და აი, შეთანხმებისამებრ, გაიმართა პირველი სასამართლო პროცესი. ასამართლებდნენ ორ ინდიელს — ოცეოლას და ვინეტუს, რომელთაც მეტად მძიმე დანაშაულში სდებდნენ ბრალს. წამოდგა ბრალმდებელი და განაცხადა:

ოცეოლა დამნაშავეა;

ოცეოლა და ვინეტუ არ შეიძლება ორივე ერთად დამნაშავენი იყვნენ.

ამ პროცესზე მოსამართლედ მოწვეული გახლდათ კაცი, რომელიც იმ დროს მათ მხარეში სამოგზაუროდ ბრძანდებოდა. ნამდვილი დამნაშავის ვინაობა მან დაადგინა უმარტივესი ლოგიკური ოპერაციების საფუძველზე: თავდაპირველად იგი შეეცადა შეეტყო რომელი მათგანი — რაინდი თუ მატყუარა — იყო ბრალდებული. მისთვის აღნიშნა გამონათქვამები:

X: ოცეოლა დამნაშავეა; y: ვინეტუ დამნაშავეა.

ამ აღნიშვნების მიხედვით ბრალმდებლის ნათქვამი სიტყვა შეიძლება შემდეგნაირად გადაიწეროს:

1. x; 2. $\neg(x\&y)$.

შევადგინოთ ცხრილი ამ გამონათქვამებისათვის:

x	y	1	x
1	1		1
1	0		1
0	1		0
0	0		0

$2\ \neg(x\&y)$ ანუ $(1-xy)$

0
1
1
1

ცხრილის მარცხენა ორ სვეტში მოცემულია ყველა შესაძლო შემთხვევა ოცეოლასა და ვინეტუს დამნაშავეობა-უდანაშაულობის შესახებ, ხოლო მარჯვენა ორ სვეტში — ბრალმდებლის გამონათქვამთა ჭეშმარიტობა — მცდარობა შესაბამის შემთხვევებში. როგორც ვიცით, ბრალმდებელი ან მატყუარაა და ან რაინდი. ე. ი. იგი ან სულ ტყუილს ლაპარაკობს, ან სულ მართალს. მაშასადამე, ჭეშმარიტებას გვიჩვენებს ცხრილის ის ხაზი, რომელშიც ბრალმდებლის გამონათქვამების ქვეშ ან სულ **1**-იანები წერია, ან მხოლოდ **0**-ები. როგორც ცხრილიდან ჩანს, მეორე ხაზში **1**-იანები წერია ბრალმდებლის გამოთქმულ წინადადებათა ქვევით, ე. ი. ბრალმდებელი რაინდია და სიმართლეს ამბობს. მაშასადამე, X ჭეშმარიტია და ოცეოლა დამნაშავეა.

თანდარა ხულელიძე

სახალხო გმირი თანდარა ხულელიძე თერგის ხეობის სოფელ არშის მკვიდრი იყო. მამამისი ნადირა ხულელიძე კი არშის ციხის მცველი რაზმის უფროსი. ციხე იმ დროს— XVII საუკუნეში — ნუგზარ არაგვის ერისთავს ეკუთვნოდა.

პატარა თანდარა გმირულ გარემოცვაში აღიზარდა. თერგის ხეობას, ისე როგორც მთელ საქართველოს, მტერი ხშირად ესხმოდა თავს. ხალხი გმირულად იგერიებდა თავდამსხმელებს და საკადრის პასუხსაც აძლევდა მომხვდურთ. ამ ბრძოლაში მამაკაცებთან ერთად ხშირად ქალებიც იჩენდნენ გმირობას.

ერთხელაც მტერმა შესძლო მეციხოვნეთა გაწყვეტა და სიმაგრის დაპატრონება. თანდარას მამამ ძლივს მოაწრო ცოლ-შვილის გახიზვნა, მტერმა სოფელი აიკლო და ცეცხლს მისცა. ნადირა ხულელიძე ნუგზარ არაგვის ერისთავს ეახლა ანანურის ციხეში და საქმის ვითარება აუწყა. მცირე თათბირზე, რომელსაც ნუგზარის შვილები გიორგი, ზურაბი და დათუნაც ესწრებოდნენ, გადაწყდა: ნადირა ხულელიძე ერთ საპალნე ღვინოს და ხორაგეულს წაიღებდა, არშის ციხეში შეჭრილ მტერა მოჩვენებითი კეთილგანწყობილებით შეუერთდებოდა და გაუშინაურდებოდა.

ნადირამ გადაწყვიტა, ამ საქმეში თავისი ლამაზი ქალიშვილი თანდარა მოეშველიებინა. თანდარას მრავალრიცხოვანი შეიარაღებული მტრისათვის დიდი სუფრა უნდა გაეშალა და მერიქიფეობაც გაეწია.

რა განცდები და ფიქრები, რა ჭოთმინება უნდა ჰქონოდა თანდარას, რომ მტერს საეჭვო არა ეგრძნო-რა. ქალიშვილი მტრის უტიფარ ვამოხედვასა და ქცევას თითქოს

არად აგდებდა. მან კარგად იცოდა — ერთი საეჭვო მოძრაობა, და მტერი სიცოცხლეს გამოასალმებდა. დღე-ღამის ღრეობა-ქეიფის შემდეგ მტრის მთელი ლაშქარი დათვრა და ღრმა ძილს მიეცა. მამა-შვილმა თავისუფლად ამოისუნთქა.

თანდარამ მალულად გააღწია იქვე, მახლობლად, ხეობაში ჩასაფრებულ ნუგზარ არაგვის ერისთავის შვილების რაზმებთან, აცნობა მათ მტრის შესახებ, ისინიც გრიგალივით შეიჭრნენ სიმაგრეში. მეთაურები ამოხოცეს, დანარჩენები კი ტყვედ იგდეს.

არშის ციხეს კვლავ ქართველები დაეპატრონენ. მეციხოვნეთა უფროსად თანდარას მამა ნადირა ხულელიძე დააყენეს.

თანდარა და ნადირა ხულელიძეებს გმირობისა და თავდადებისათვის ნუგზარ არაგვის ერისთავმა ცალკე წყალობის სიგელი უბოძა. აი, ეს სიგელიც: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა მამისა და სულისა წმიდისა მეოხებითა, ყოვლად წმიდისა და ყოველთა წმიდათა მისთა, უკუნისამდე ჟამთა და წელთა გასათავებელი წიგნი გიბოძე მე, ნუგზარ ერისთავმან, ჩემმა შვილმა გიორგიმ და ზურაბმა და დათუნამ შენ, ხულელიძე ნადირას, შენსა შვილსა თანდარასა, ასე, რომ ჩემი ერთგული ყმა იყავ, და არშაში იდექი მეთოფეთ. მოგიხდეს კაცნი, შენ კინაღამ მოგკლეს, გადმოიხვეწე, ციხე წაგართვეს და თავიანთი მეთოფე კაცები შეიყვანეს. როდესაც ღმერთმა დრო მოგცა, ჩვენი ამბავი მოგწვდა, დაიწყე საქმობა და შეიტანე ერთი საპალნე ღვინო, გაუმასპინძლდი, ქალი მეღვინეთ დააყენე და დაათვრე ისინი. რახან დაიძინეს, გაუღე კარი ჩემს შვილსა და შეუშვი ციხეში, რაც დასახოცი იყო დაახოცინე, რაც არა, ცოცხლად მომგვარე. არა მოგიდგეს რა ჩემი კარზე, იმის მეტი, რომ შენი სახლის მეტი არშის ციხეში არ იდგეს. ამ სამსახურისთვის ერთი საგოგონო (ე. ი. მამული გოგონა თანდარასათვის — ვ. ს.) და ნახევარი მამული „მახალკური“ (ეტყობა, არშის რომელიღაც მამულს ეს სახელი ერქვა — ვ. ს.) სითარხნით მომიცია. გქონდეს და გაბედნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შინა“.

ნადირა და თანდარა ხულელიძეთა გმირობაზე ხალხში არსებობდა თქმულება, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გამოიყენა თავის „მგზავრის წერილებში“. ილიასა და ლელთ ღუნიას საუბრის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ თქმულებაზეა დამყარებული.

ხულელიძეთა შთამომავლობას ნუგზარ ერისთვისეული ეს სიგელი (ხბოს ტყავზე დაწერილი) XIX საუკუნის 90-იან წლებში თვით სოფელ არშაში ჰქონია შემონახული. სიგელი დედნიდან გადმოწერა და ილიასეული „ივერიის“ რედაქციას გაუგზავნა ამავე გაზეთის კორესპონდენტმა, მასწავლებელმა გაბრიელ ბედოშვილმა („ივერია“, 1890 წ. № 189).

თუ როგორი ბედი ეწია ცხოვრებაში გმირ ქალ თანდარა ხულელიძეს. შემდეგ გადმოცემებსა და სხვა წყაროებში არა ჩანს.

გმირი ქალი ჯალაუვილი

XVIII საუკუნე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დიდი ძნელბედობის დრო იყო. ქართველთა სამეფო სათარეშოდ გაეხადათ სპარსელებს, თურქებს, ლეკებს. ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოსახლეობის აწიოკებაში, ტყვედ მიჰყავდათ ქალი თუ კაცი. მოხუცი თუ ბავშვი, იტაცებდნენ ხალხის სარჩო-საბადებელს.

მეფე ერეკლე, მისი მხნე ლაშქარი, მთელი ხალხი გმირულად ებრძოდნენ მოძალებულ მტერს. იმათ შორის, ვინც სიცოცხლეს არ იშურებდა მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად, ერთი გმირი ბოდბისხეველი ქალიც იყო.

საუკუნის შუა წლები იდგა. ხუნძახის ბატონმა, დაღესტნელმა სარდალმა ნურსალი-ბეგმა ლეკთა დიდი ლაშქრით ჯერ შაქ-შირვანი ააოხრა და მოარბია, შემდეგ კი ქიზიყში სოფელ ბოდბისხევს დაესხა თავს და ცეცხლს მისცა.

ამ დროს ბოდბეში ბაღაშვილთა დიდი გვარეულობა სახლობდა. ხალხი აღსდგა მტრის წინააღმდეგ. მოუსწრო ქიზიყის მოურავმა რევაზ ანდრონიკაშვილმაც თავისი მხედრობით და დამარცხებული მტერი დაფანტა. სწორედ ამ ბრძოლაში გამოიჩინა გმირობა ერთმა ბოდბისხეველმა ახალგაზრდა ქალმა. ერთმა ლეკმა ტყვედ ჩაიგდო ის და შერცხვენას უპირებდა, მაგრამ ქალმა უეცრად ლეკს ხანჯალი წაგლიჯა და შიგ გულში ჩასცა.

ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ „მაშინ მხნედ იყვნენ ბაღაანნიო, რომელთა სიმხნითა თვისითა დაიცვეს ბოდბეო. და მუნ ლეკმან ჰყო ტყვედ დიაცი ერთი, სწადდა რა მისი დამდაბლება, წააძრო ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაცმან მან და ესრეთ განერა დიაცი იგი“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, „ახალი ისტორია“, გვ. 56).

გმირი ბოდბისხეველი ქალი სასიქადულო და საქებარი გახდა ხალხის თვალში, ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. ხალხმა იგი თავის გმირად აღიარა. საქართველოს მატიანემ არ დაივიწყა ის და თავის ფურცლებზე მოიხსენია, მაგრამ მარტო გვარით.

შემდგომში, ქართულ სიძველეთა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ჯეროვანი შესწავლის შედეგად, შეიძლება დადგინდეს გმირი ბოდბისხეველი ქალის სახელიც.

ვახტანგ სიდამონიძე

მიყვარს ქართული ჩონგური

ჩონგურს ვთლი თუთის ხისასა,
ლარებს ავაბამ ზედაო,
დავძახებ, დავაღიღინებ
მაირებს ზედი-ზედაო.
მიყვარს ხმატკბილი ჩონგური,
ლარების ეღერა, კვნესაო,
მწუხარ კაცს დარდს გაუქარვებს,
ხელად შეასხამს ფრთებსაო.
სადაც ფარ-ხმალი იბრძოდა,
იქ იყო ხოლმე ჩონგურიც,
ბრძოლაში, შინ თუ გარეთა,
პატრონის იყო ერთგული.
გამარჯვებული ვაჟკაცი
უნაგირს ჩამოხდებოდა,
ლარებს ჩაჰკრავდა, ჩონგურსა
ტკბილი ხმა აღმოხდებოდა.
ჩონგური ჩემი ლხინია,
ვმღერი, რაც დასამღერია,
რომ მოვკვდე, თან ჩამატანეთ,
უჩონგურობა ძნელია.

მთქმელი — იულია გვიშიანი (76 წლისა),
ჩამწერი — ლაურა გიწაძე,
ჭიათურა, ქვაციხის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

ამბავი ჩამომიტანე

გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყევი თერგის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო.
კავკასიონთან იბრძოდა,
თერგს რომ ღრუბლები ფარავდა,
კავკასიონი გადიქცა
მაშინ კრწანისად, მარაბდად.
ქართველი ჯარისკაცები
მკერდით დაუდგნენ ხეობებს,
ვაჟკაცი მარაბდელების
გმირობა გაიმეორეს.
ჩემი ძმაც მედგრად იბრძოდა,
მტერსა კაფავდა ხმლიანი,
სამი წერილი მივიღეთ,
სამივე იმედიანი.
მის მერე მეხი დაგვეცა,
წერილი აღარ მოგვიდის,
ველით გულგადალეული,
ველით, ლოდინში დრო მიდის.
შენ გევედრები, მერცხალო,
გაჰყევი თერგის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
იქ მეომარი ძმისაო.

მთქმელი —
შურა ბახტურიძე (49 წლისა),
ჩამწერი — ტაისა ბახტურიძე,
ჯავა, ქარწმანის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

რატომ დაერქვა უსახელო

სოლომონ მეფე დადიოდა თურმე იმერეთში და სოფლებს სახელებს არქმევდა. ერთ დღეს ჭიათურის მიდამოებიც მოიარა და მრავალ სოფელს შესაფერისი სახელი დაარქვა. რომ დაიღალა, ყვირილას ნაპირას ჩამოჯდა, ვერხვის ჩრდილში. სულ მალე გზაზე ორი ცხენოსანი გამოჩნდა. მეფეს რომ მიუახლოვდნენ, ჩამოხტნენ ცხენებიდან და თაყვანი სცეს. „თქვენ უამბო არ მოხვიდოდით, თქვით, რა გაწუხებთო“, — უთხრა სოლომონმა. მათ მოახსენეს: „დიდო მეფეო, თქვენ ყველა სოფელს სახელი შეარქვით, ჩვენი სოფელი კი უსახელოდ დარჩაო“. „თქვენი სოფლისთვის „უსახელო“ მიწოდებიაო“, — უპასუხნია მეფეს.

მის შემდეგ ჩვენს სოფელს უსახელო ჰქვია.

მთქმელი — იულია გვიშიანი (76 წლისა),
ჩამწერი — ლაურა გიწაძე,
ჭიათურა, ქვაციხის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

გადმოცემა ბრმა მეფანდურეზე

ერთ სახელმწიფოში ბრმა მეფანდურე ცხოვრობდა. ის რომ ფანდურს დაუკრავდა და თანაც სიმღერას დაიყოლებდა, მოსასმენად ტყიდან მხეცებიც კი გამოდიოდნენ. ბრმა მეფანდურე გულთმისანიც იყო, წინასწარ ხვდებოდა ყველაფერს.

ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა, შენს სამეფოში ასეთი კაცი ცხოვრობსო. დაიბარა მან ბრმა მეფანდურე. თავის ბაღში კი კარისკაცებს ღრმა ორმო გაათხრევინა და ზედ ხალიჩები გადააფარებინა.

ბრმა მეფანდურე რომ ეახლა, ორმოდან ცოტა მოშორებით გაჩერდა და ფანდურზე დაამღერა:

მეფე ღმერთმა ადღეგრძელოს,
კაი სახლი აუგია,
ხალიჩები დაუგია,
ქვეშ კი ორმო გაუთხრია!

ხელმწიფე გახარებული გამოქანდა, უნდოდა ბრმა მეფანდურისთვის ეკოცნა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და თავისსავე გათხრილ ორმოში თვითონვე ჩავარდა. ძლივს ამოიყვანეს.

მეფანდურემ მიუმღერა:

კარგად დაიმახსოვრე
ჩემი გულისნადები:
სხვას ორმოს ნუ გაუთხრი,
თვითონვე ჩავარდები!

მთქმელი — თამარ გელაშვილი
(69 წლისა),
ჩამწერი — მარინა ტეფნაძე,
ხაშური, მე-4 საშუალო
სკოლა, IX კლასი.

თქმულება მძოვრეთის ციხეზე

მძოვრეთის (მზოვრეთის) ციხე მდებარეობს მდინარე ძამისის ხეობაში (ქარელის რაიონი), სოფელ ორთუბნის მიდამოებში.

ამ ძეგლის შესახებ არსებობს ასეთი თქმულება: ქართლში შემოჭრილ მტრის ლაშქარს მძოვრეთის ციხე ალყაში მოუქცევია. მეციხოვნეებს სურსათ-სანოვაგეც ბლომად ჰქონიათ და წყალიც, რომელიც ციხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიხის მილებით შემოდიოდა. ამიტომ ალყა კარგა ხანს გაგრძელებულა. ძტერს თურმე იმედი გადაეწურა, ციხეს ვერ ავიღებო. ის იყო, ალყა უნდა მოეხსნა და კუდამოძუებული წასულიყო, ლაშქრის მეთაურმა მოღალატე დედაბერი მოისყიდა ორ თუმნად. მას მოსთხოვეს, წყლის სათავე გვიჩვენეო. დედაბერს ასეთი რჩევა მიუცია: სახედარს ბლომად მარილი აჭამეთ და ძალიან რომ მოსწყურდება, წავა და წყლის სადინარს იპოვნისო. ასეც მოქცეულან. მოწყურებული სახედარი წასულა და ერთ ადგილას შეჩერებულა, წინა ფეხებით მიწის ფხოტნა დაუწყია. მტერმა იქ თურმე მიწა ამოთხარა, თიხის მილები ამოყარა და ციხეს წყალი შეუწყვიტა. თუმცა ციხის მცველთა სიმამაცე ამით მაინც ვერ გატეხეს, მეციხოვნეები თურმე უწყლოდ დაიხოცნენ, ციხე კი თავდამსხმელებს არ ჩააბარეს.

ეს ამბავი ზაფხულის ცხელ დღეებში მომხდარა. სულ მალე ციხის დამცველთა გვამები „მძოვრად" ქცეულა და ამიტომ ციხეს მძოვრეთის (მზოვრეთის) ციხე დარქმევია. ზოგჯერ ორთუბნის (ორ თუმნად გაყიდულ) ციხესაც უწოდებენ.

მთქმელი — შალვა შავდათუაშვილი (61 წლისა),
ჩამწერი — როინ გეგელაშვილი, ქარელი, მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი.

ჩვენს სოფელში

ჩვენს სოფელში ვის არ ნახავთ
მოლექსეს და მომღერალს!
შრომაც ვიცით, დასვენებაც,
გულში ლხინი მოღელავს.
ლურჯი მთები გარს გვარტყია,
მზის სხივებით ნაფერი,
ელვარებენ მწვერვალები,
არწივების საფრენი.
მთიდან მთამდე ცისარტყელა
მოჩანს ბონდის ხიდივით
და იმ ხიდზე ნისლის ქულა
დასკუპულა ჩიტივით.
იალაღებს შეფენია
უამრავი ნახირი,
ისმის მწყემსის სიმღერები,
კლდიდან გადაძახილი.
იზრდება და ძლიერდება
ჩვენი კარგი სოფელი,
სიყვარულის საბუდარი,
სიხარულის მომფენი.

მთქმელი — შურა გახტურიძე (49 წლისა),
ჩამწერი — ლარისა გახტურიძე, ჯავა, ქარწმანის საშუალო სკოლა, IX კლასი.

საახალწლო დალოცვა

ზედაშე უნდა მოვხადო,
რომ დავილოცო ღვინითა,
ყველანი შეეგებენით
მრავალ ახალწელს დილითა.
მეკვლე ღიმილით გვხვდებოდეთ,
თაფლი მოჰქონდეს ქილითა,
ხურჯინი სავსე მოჰქონდეს
ჩურჩხელებით და ხილითა.
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე წითელი ღვინითა,
თქვენი ბეღლები ყოფილა
სავსე ხორბლით და ფქვილითა,
ბავშვები ბევრი გყოლიათ,
მღერიან ხმითა ტკბილითა,
სკოლაში მიუხარიათ,
მიცუნცულებენ დილითა.
სულ იდღეგრძელეთ, იხარეთ,
დრო გაატარეთ ლხინითა.

მთქმელი — მარიამ ჩინჩალაძე (71 წლისა),
ჩამწერი — ლევან ნახუცრიშვილი, ქარელი, ბრეთის საშუალო სკოლა, IX კლასი.

საბჭოთა არმიელის წერილი დედას

რუსეთის ქალაქიდან
გიგზავნი წერილს, დედა,
უკვე სრულდება წელი,
რაც შენ ვეღარა გხედავ.
ვიცი, დარდი გაქვს, ვიცი,
თუმც სადარდელი რა გაქვს?!
მე შენი დარიგება
სულ მუდამ გულით დამაქვს.
ისე ვსწავლობ და ვშრომობ,
როგორც ბრძანება ითხოვს,
ჯილდოზე წარმადგინეს,
მალე მივიღებ ჯილდოს.
არ ჩამითვალო კვეხნად,
სწავლაში ბევრი ვერ მჯობს,
არც შენ შეგარცხვენ, დედა,
არც ჩემს ტკბილ საქართველოს.

მთქმელი — ალ. მემარნიშვილი (78 წლისა),
ჩამწერი — ირმა მემარნიშვილი, ჭიათურა, ზოდის საშუალო სკოლა, VI კლასი.

ანდაზები

- უჭკუო კაცს თავისი თავი ყველაზე ჭკვიანი ეგონაო.
- სტუმარი სტუმარს პატიჟებდა, მასპინძელს არც ერთი არ უნდოდაო.
- მოცლილი კაცი კურდღელს ურმით მისდევდაო.
- ქუდს სანამ დაიხურავ, წინასწარ მოირგეო.
- ხილს რომ მიირთმევ, მეხილეც მოიკითხეო.
- მიზანი რომ განსაზღვრო, საქმეც უნდა იცოდეო.
- დათვი სადაც გადახტა, თავისი დოუნჩი თან გადაიყოლაო.
- მე ვუთხარი, მაგრამ კატამ ნიორი არ ჭამაო.
- მე და ჩემმა ცოლმა ვიანგარიშეთ და კალოც ჩვენ შეგვხვდა და საბძელიცაო.
- მე დავუკარ — შენ გეამა, შენ დაუკარ — მე მეამა.
- ყველა გლახა დიდგულიაო.
- ყველა კაცი კაცია, კახაბერი სხვა კაციაო.
- არმად ნაშოვნი არმად წავაო.
- ყანას მაისში ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
- ბალღი დარდს გავიწყებსო.
- ეს ესაო, ეს ისაო, გამოიფხიკა ქისაო.
- სხვისი აუგი ნუ გაგიხარდებაო.
- სწავლა სიმდიდრეს სჯობიაო.

მთქმელი — თამარ ფეფრული (66 წლისა),
ჩამწერი — მარინა ფეფრული, მახარაძე, ციხისფერდის არასრული საშუალო სკოლა, V კლასი.

განყოფილებას ხელმძღვანელობს
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ნოდარ შამანაძე

მტრედი

აბდი შინბატიროვი

მხატვარი ედ. ამბროკაძე

დილაობით, როცა ყველა სამსახურში გაიკრიფება, შინ მხოლოდ ერკინი და ბებია რჩებიან. ბებია მოხუცი კია, მაგრამ მთელ დღეს მუხლჩაუხრელად ტრიალებს: ხან მატყლსა წეწავს, ხან ძაფს ართავს, ხან კერძს ამზადებს.

ერთხელაც, როცა ბებიას ხელი ხელთ არა ჰქონდა, ერკინი დასაქმა:

— ერკინ, შენს გაზრდას, ეზოდან ტაშტი მომირბენინე, შეშის უკან იქნება, ხომ იცი, რომელზეც გეუბნები, დიდი ტაშტი რომ არის.

უცდის ბებია შვილიშვილს, ან ახლა ვამოჩნდება, ან ახლაო, მაგრამ ბიჭი აღარა და აღარ გამოჩნდა.

— ო, რა ზოზინა ბალღია! — აბუზღუნდა მოხუცებული. — სულ არ გამეგზავნა, არა სჯობდა!.. ეჰ, ისევ მე თვითონ წავალ.

ის იყო, ზღურბლს გადააბიჯა, რომ შვილიშვილი დაინახა: იდგა და ხელში მტრედი ეჭირა. ბებიას დანახვაზე შეცბა, შერცხვა, რომ ამდენხანს ალოდინა.

— იცი რა, ბებო, — მოყვა თავის მართლებას, — აი ამ მტრედს კატა ეცა და... ძლივს გავაგდებინე...

ბებიას კეთილი ღიმილი მოეფინა სახეზე და ნასიამოვნებმა გაიფიქრა: „თუ ბავშვს პატარაობაშივე აქვს სიბრალულის გრძნობა, ღირსეული ადამიანი დადგება“.

ერკინი კი სულმოუთქმელად უყვებოდა:

— წარმოგიდგენია, ბებო, ის იყო, ტაშტის ასაღებად დავიხარე, რომ უცბად რაღაც აფართხალდა, შევხედე და მეზობლიანთ კატა არ დავინახე?! ეს საცოდავი მოემწყვდია და... ძლივს გავაგდებინე. აი, შეხედე! — ერკინმა ბებიას გადარჩენილი მტრედი გაუწოდა.

მოხუცმა ფრთხილად ჩამოართვა გულგახეთქილი პატარა მტრედი, საცოდავი ჯერაც კანკალებდა.

კარგა მაგრად მოხვედროდა კატისგან.

— ჩვენს ერკინს უმადლოდე, — ბებიამ ალერსით გადაუსვა ფრინველს ხელი და ისევ შვილიშვილს დაუბრუნა.

ბიჭმა მტრედი შინ შეიყვანა. ჭრილობაზე იოდი წაუსვა. მტრედს, ეტყობა, აეწვა და მოუსვენრად აფართხალდა, შეშინდა, მაგრამ მალევე დამშვიდდა და მთლიანად მიენდო ერკინს. ბიჭმა მუყაოს კოლოფში მყუდრო ბუდე მოუწყო, ფეტვი და პურის ნამცეცები ჩაუყარა, ლამბაქით წყალიც ჩაუდგა.

ორ დღეში მტრედი მოღონიერდა. ყუთიდან ამოხტა და ოთახებში სიარულიც გაბედა. ერკინი ინტერესით ადევნებდა თვალს. დადიოდა მტრედი თავისთვის, ხანდახან ცოტაზე აფრინდებოდა და ისევ დაფრინდებოდა, ყველაფერს ათვალიერებდა, ყველა ჭუჭრუტანაში იმზირებოდა, თითქოს მთელ სახლს სწავლობსო, ოჯახის ყველა წევრი ღიმილით ადევნებდა თვალს ერკინის მტრედს. ის კი, ვითომც არაფერიაო, ნირშეუცვლელად, პურის ნამცეცების კენკვით დასეირნობდა მაგიდაზე, იატაკზე, ოდნავადაც კი არ უფრთხოდა ადამიანებს.

როდესაც მტრედი საბოლოოდ მომჯობინდა, ერკინმა ხელში აყვანილი ეზოში გაიყვანა და ფრთხილად დასვა ბალახზე. მტრედი ერთი პირობა გაილურსა, მერე—რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა და ერთბაშად აფრინდა, მაღლა-მაღლა წავიდა. ხან სულ მაღლა აიჭრებოდა, ხან დაბლა დაეშვებოდა, მზეს შეჭხაროდა და ფარფატებდა, ლივლივებდა ლურჯ ცაში.

მასთან ერთად ხარობდა პატარა ერკინიც.

თარგმნა მ. ზაალიშვილმა

„ოქრო“ — ტუვიის შაქრისაგან

ერთ ჭურჭელში ჩაასხით 10 მლ 10%-იანი ტუვიის ნიტრატის ხსნარი და 10 მლ კალიუმის იოდიდის ხსნარი. დააყოვნეთ და ნალექის ზემოთ ხსნარის ნაწილი გადაწურეთ. შემდეგ დარჩენილი ნალექი ჩაასხით მდუღარე წყალში, რომელსაც წინასწარ დამატებული აქვს ძმრის მჟავა. ხსნარის ნელი გაცივებისას ოქროსფერი ტუვიის იოდიდის კრისტალები წარმოიქმნება.

ცდის ახსნა: ტუვიის ნიტრატსა და კალიუმის იოდიდს შორის მიმდინარეობს რეაქცია: $Pb(NO_3)_2 + 2KI = PbI_2 + 2KNO_3$.

PbI_2 ოქროსფერი კრისტალებია.

„მოუსვენარი“ კვერცხი

კვერცხის ნაჭუჭი ორგან გახვრიტეთ და შიგთავსი გამოწოვეთ. ერთ-ერთი ნახვრეტიდან ცარიელ ნაჭუჭში ჩაასხით თანაბარი ოდენობის ნატრიუმის კარბონატისა და ღვინის მჟავას ნარევი. როცა კვერცხი ნახვრად გაივსება, ორივე ნახვრეტი სანთლით ამოლესეთ და კვერცხი წყლით სავსე ჯამში მოათავსეთ. მონიშნეთ ნაჭუჭზე ჩაძირვის დონე, კვერცხი ამოიღეთ და მონიშნული დონის ქვემოთ, ღერძის მარცხნივ და მარჯვნივ, სიმეტრიულად კიდევ ორ-ორ ადგილი გაუკეთეთ. თუ კვერცხს ხელახლა ჩადებთ წყალში, შიგ შევა წყლის მცირე რაოდენობა და კვერცხი იწყებს ზედაპირზე მოძრაობას. თუ ერთ-ერთ ნახვრეტს დავუხშობთ, კვერცხი საკუთარი ღერძის გარშემო იწყებს ტრიალს. ეს ბრუნვითი მოძრაობა თავდაპირველად სუსტია, მერე კი თანდათან ძლიერდება.

ცდის ახსნა: ნატრიუმის კარბონატსა და ღვინის მჟავას შორის მიმდინარეობს რეაქცია, გამოიყოფა CO_2. წნევათა კანონის თანახმად, კვერცხი მოძრაობას იწყებს.

„ყვავილის“ გაუფერულება

ფაიფურის ჯამზე ცოტა გოგირდი მოათავსეთ და აანთეთ. წარმოიქმნება არასასიამოვნო სუნის მქონე აირი. თუ ჯამს წითელი ქაღალდის „ყვავილს“ მიუახლოვებთ, იგი თანდათან გაუფერულდება.

ცდის ახსნა: მიმდინარეობს რეაქცია:

$$S + O_2 = SO_2$$

SO_2 აუფერულებს საღებავებს.

ლამარა გორჯოლაძე,
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

ბავშვებო! ჟურნალი განგარძობს თქვენთვის საინტერესო და სასწავლო ქიმიური ცდების ბეჭდვას.

შეგახსენებთ, რომ, მიუხედავად სიმარტივისა, ეს ცდები აუცილებლად მასწავლებლის ან წრის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით უნდა ჩატარდეს.

ეს ვიცოდეთ ეს ქვეყანა

ზამთრის ძილი ზაფხულში

მასწავლებელმა მოსწავლეებს უამბო დათვებზე, რომლებიც ზამთარს ძილში ატარებენ. შემდეგ მოსწავლეებს შეეკითხა: „ვის შეუძლია დამისახელოს სხვა ცხოველი, რომელიც აგრეთვე, ძილში ატარებს ზამთარს?“

პატარა ბიჭმა ხელი ასწია.

„აბა, ტომ, შეგიძლია დაასახელო ასეთი ცხოველი?“

„თოვლის ბაბუა, ოღონდ მას ზაფხულში სძინავს“, — მიუგო ტომმა.

მორცხვი ბიჭუნა

ახალი მოსწავლე შედის პირველ კლასში. მასწავლებელი ეკითხება: — რა გქვია, ბიჭიკო? — ბიჭს რცხვენია და არ პასუხობს. მასწავლებელი კვლავ ეკითხება: — პატარა ბიჭო, დედა რას გეძახის? — ბიჭი კვლავ დუმს.

— ბიჭიკო, — ეუბნება მასწავლებელი, — როგორ გეძახის დედა, როდესაც სუფრაზე ნამცხვარი აქვს?

— არაფერს არ შეძახის, — ამბობს მორცხვი ბიჭი, — როცა სუფრაზე ნამცხვარია, მეც იქა ვარ.

ბიჭი და ვაშლები

ერთ დღეს პატარა ბიჭი მდინარის პირას თამაშობდა. უცებ დაინახა მოხუცი კაცი, რომელსაც პირმოხსნილ ჩანთაში წითელი ვაშლები ეწყო. ბიჭი ვაშლებს შეაჩერდა. მოხუცი მიხვდა, რომ მას ძალიან უნდოდა ვაშლი და უთხრა:

— გამარჯობა, ბიჭიკო! გინდა, ვაშლს მოგცემ, ოღონდ მითხარი, რა არის ერთ წითელ ვაშლზე უკეთესი?

— ორი წითელი ვაშლი! — სწრაფად უპასუხა ბიჭმა.

მოხუცმა გაიცინა და უთხრა:

— სწორია, ძალიან მოსწრებულად მიპასუხე, და ამ პასუხისათვის ორ ვაშლს მოგცემ.

პირველი დღე სკოლაში

ალფრედი შვიდი წლისაა, პირველ კლასშია. დღეს პირველად წავიდა სკოლაში. სკოლიდან დაბრუნებულს დედა შეეკითხა:

— მოგეწონა შენი მასწავლებელი, ალფრედ?

ალფრედი: — მე მასწავლებელი არ მინახავს, დედიკო.

დედა: — აბა რას აკეთებდი გაკვეთილზე?

ალფრედი: — დღეს გაკვეთილები არ ყოფილა. ერთმა ქალმა არ იცოდა როგორ იწერება სიტყვა „მამა“. ჩემთან მოვიდა, მკითხა და მეც ვუპასუხე.

ფერმერი და ველოსიპედი

ქალაქში ჩასული ფერმერი მივიდა მაღაზიაში. მას ძროხის ყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაღაზიაში კი ველოსიპედები იყიდებოდა გამყიდველმა უთხრა ფერმერს:

— შეიძინეთ ველოსიპედი, ველოსიპედით შეგიძლიათ იმგზავროთ თქვენს ფერმამდე და ჩამოხვიდეთ ხოლმე ქალაქში, ძროხით კი ვერ იმგზავრებთ, რადგან ეს ძალიან სასაცილო იქნება.

— რა თქმა უნდა, ძროხით ვერ ვიმგზავრებ და ქალაქშიაც ვერ ჩამოვალ, მაგრამ განა ველოსიპედს მოვწველი? — კითხვა შეუბრუნა ფერმერმა.

სასაცილო მოთხრობა

ალფრედი ჭკვიანი ბიჭია. სკოლაში კარგად სწავლობს. მას უნდა, მამას თავი მოაწონოს და სადილობისას ეკითხება:

— მამიკო, ხომ ორი წიწილაა მაგიდაზე?

— ნამდვილად ორი წიწილაა, — პასუხობს მამა.

— მე კი ვიტყოდი, რომ მაგიდაზე 3 წიწილაა.

— ეგ როგორ? — ეკითხება მამა.

— როგორ და, ეს ერთია, ეს ორი, ერთს მივუმატოთ ორი კი სამი იქნება.

— ძალიან კარგი, — ეუბნება მამა. — დედა შეჭამს პირველ წიწილას, მე შევჭამ მეორეს, შენ კი მესამე შეჭამე.

ინგლისურიდან თარგმნა
ნაზი მიქელაძემ

ცხელი კონსერვები

ინგლისში იყიდება კონსერვები, რომლებიც თავისით ცხელდება. კონსერვის ქილა მოთავსებულია მეორე ქილაში, რომელიც სავსეა კალციუმის უანგით (ჩაუმქრალი კირით), შიგვეა პლასტმასის თხელი ჭურჭელი წყლით. ჭურჭელს თუ გახვრეტთ, წყალი კირს შეუერთდება, დაიწყება რეაქცია და გამოიყოფა სითბო. 10 წუთში ქილის შიგთავსი 50°-მდე ცხელდება.

ასეთი კონსერვი ორ წელიწადს ინახება. იგი მისწრებაა მოგზაურთათვის.

უველაზე თხელი კინესკოპი

ეს კინესკოპი, რომელიც ფრანგმა ინჟინრებმა შექმნეს, ალბათ უველაზე თხელია მსოფლიოში: მისი სისქე სულ რაღაც სამი სანტიმეტრია. მისი დიდი ღირსებაა ისიც, რომ ძალზე ცოტა ელექტროენერგიას ხარჯავს.

ეფექტური მიბნება

ვაზის საყრდენ ბოძებს ტრადიციულად ხისას აკეთებენ. მაგრამ ხე დიდხანს არ სძლებს და ამიტომ ბოძის მასალად პლასტმასის, ლითონისა და რკინა-ბეტონის გამოყენებაც კი დაიწყეს.

ამ ცოტა ხნის წინათ საფრანგეთში ამუშავდა ფაბრიკა, რომელიც ნაგვის(!) ბოძებს უშვებს. ფაბრიკა ააგეს ვრცელი სანაგვე მოედნის ახლოს. მყარი ნაგვის (პლასტიკატის, ქაღალდის, მუყაოს, ჩვრის ნარჩენებისა) დაწნეხის გზით მიღებული ბოძი არაფრით ჩამოუვარდება პლასტმასისას და, ამავე დროს, გაცილებით იაფი ჯდება. ფაბრიკის ოცი მუშა წელიწადში მილიონ ბოძს უშვებს.

ბაქტერიები გამოკვებავენ

იაპონურმა ფირმამ „ბიოტექს ინტერნეიშნლმა" ერთი გასროლით, ცნობილი ანდაზისა არ იყოს, ორი კურდღელი მოინადირა. მან დაამუშავა სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების დასაშლელად ბაქტერიების გამოყენების მეთოდიკა. თივის, ბურბუშელისა და ნახერხისაგან ბაქტერიები „აწარმოებენ" პროდუქტს, რომელიც ვარგისია საქონლის გამოსაკვებად. გამოთვლილია, რომ ამ გზით მიღებული პროდუქტით შეიძლება წელიწადში გამოიკვებოს ასი ათასი სული საქონელი.

ოპტიკური ტელეფონი

შანხაიში ამოქმედდა (ჩინეთში — პირველი) სატელეფონო ხაზი, რომელიც მინის ოპტიკური ბოჭკოს საფენით მუშაობს. ლაპარაკი გადაიცემა სინათლის იმპულსებით. კაბელში კვარცის 12 ძარღვია. იგი საშუალებას იძლევა, ორივე მიმართულებით ერთდროულად ილაპარაკოს 11 520-მა აბონენტმა.

რომიდან მილანამდე

ფირმა „ფიატმა" (იტალია) დააპროექტა და ააგო ჩქაროსნული მატარებელი, რომელმაც რომი-მილანის ხუთსაათიანი გზა მთელი ერთი საათით „შეამოკლა". გზის სიგრძე 600 კილომეტრია. ცალკეულ მონაკვეთზე მატარებლის სიჩქარე საათში 250 კილომეტრს აღწევს.

„მეგაბუსი"

ასე ეწოდება სამსალონიან საბსროვან ავტობუსს, რომელსაც ამჟამად სცდიან პარიზში. იგი ფირმა „რენომ" დაამზადა. „მეგაბუსში", რომლის საერთო სიგრძე 25 მეტრია, ეტევა 200 მგზავრი, ანუ ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე უველაზე დიდ თანამედროვე ავტობუსში.

რადიოგადამცემი საათის კორპუსში

იაპონურ ფირმა „კესიოს" მიერ გამოშვებულ ელექტრონულ საათში ჩამონტაჟებულია ულტრამოკლეტალღიანი რადიოგადამცემი. 105 მმ სიგრძის დასაკეცი ანტენა უზრუნველყოფს სიგნალის გადაცემას 60 მეტრის მანძილზე. გადამცემის ბატარეების მუშაობის ვადა ხუთი საათია; კიდევ ერთი ცალკე ჩადგმული ბატარეა კი უზრუნველყოფს საათის მუშაობას ორი წლის განმავლობაში.

კატების კუნძული

ინდოეთის ოკეანეში პატარა კუნძულ ფრაჯოსტის მოსახლეობას შეადგენენ მხოლოდ.. კატები ინდოელმა მეცნიერებმა დადგინეს, რომ 1890 წელს ამ კუნძულის ნაპირებთან ჩაიძირა გემი, რომლის ეკიპაჟის რამდენიმე მეზღვაური კუნძულზე გაირიყა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლეს და დაიღუპნენ. კატები, რომლებიც გემზე ყავდათ, გადარჩნენ და გამრავლდნენ კიდეც...

ამჟამად მათმა რიცხვმა ათასს გადააჭარბა. ისინი იკვებებიან თევზით, ზღვის ზღარბებით, კიბორჩხალებით, რომლებსაც ოსტატურად იჭერენ სანაპირო წყლებში.

ფრთოსანი წერილები

ინდონეზიის პატარა კუნძულ ბაბარის მკვიდრნი საფოსტო მარკების ნაცვლად კონვერტებზე ფრინველთა ნაირფერ ბუმბულებს აწებებენ. სხვათა შორის, ასეთ „მარკიან" წერილებს ადრესატები შეუფერხებლად ღებულობენ.

სათამაშოების მუზეუმი

საფრანგეთის ცნობილ ზღვისპირა ქალაქ კანში გაიხსნა საინტერესო „ბავშვობის მუზეუმი", რომლის შემქმნელს ამ მუზეუმის დაარსების იდეა მას შემდეგ მოუვიდა, რაც ნაგვის ყუთში ძველი თოჯინა იპოვა.

ამჟამად მუზეუმში თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქის 3500 სათამაშო, თოჯინები, თამაშობები. მათ შორისაა ძველეგვიპტური (4000 წლის წინათ დამზადებული) მოძრავ ხელფეხიანი თოჯინა. აქვეა 1870 წელს გაკეთებული სათამაშო, ნამდვილ თვითმფრინავთან შედარებით რამდენიმე ათწლეულით უფრო ადრე აგებული თვითმფრინავი.

ძველმანებთან ერთად აქ ნახავთ თანამედროვე ელექტრონულ სათამაშოებსაც. „ბავშვობის მუზეუმის" კოლექცია ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად იქცა.



ბოლო ქსოვილში უკუღმა მხრიდან გაატარე, ამოჩურთული ძაფი მავთულის ყულფში გაუყარე, უკანვე გააძვრინე და უკუღმა მხარეს გატანილი ძაფი საიმედოდ გაკვანძე.



● პოლიეთილენ-ქაღალდის ნახმარი პაკეტი, რომლითაც რძეს ყიდიან, სავსებით გამოსადეგია კენკრის მურაბის შესანახავად. პაკეტი კარგად გარეცხე და რამდენიმე წუთით მდუღარე ჩაიდნის ცხვირს ჩამოაცვი. მურაბით სავსე პაკეტის დახურვისათვის საკმარისია ცხელი უთო, რომელიც პაკეტის ცხვირის ნაწიბურს უნდა გაუსვა.



● ძველი, ნახმარი, მაგრამ ჯერ კიდევ მოქმედი უთოსაგან შეიძლება მშვენიერი ვულკანიზატორის დამზადება — საკმარისია, ააწყო ნახაზზე გამოსახული კონსტრუქცია. უთო გირაგში ჩაამაგრე, რეზინი კი მოათავსე ძირსა და თვითნაკეთ ხრახნულ წრეებს შორის.



● მინის ფურცელში მომცრო ხვრეტის გაკეთება შეგიძლია ჩვეულებრივი პატარა წმინდა ქლიბით, რომელსაც ბოლო ოჯახივით აქვს გაქლიბული და წამახული. ქლიბი დრელის ვაზნაში ჩაამაგრე და მუშაობას შეუდექი, ოღონდ გახსოვდეს, რომ დროგამოშვებით ქლიბს გაგრილების საშუალება უნდა მისცე (შეიძლება, ალესვაც დასჭირდეს). 6 მმ სისქის მინის ფურცლის გახვრეტას 10-15 წუთი მოუნდება.



● თუ ტანსაცმლით რამეს გამოედე და ქსოვილიდან ძაფი ამოიჩურთა, ეს მცირე უსიამოვნება შეგიძლია ნემსში ძაფის გასაყრელი ხელსაწყოთი გააქარწყლო. ხელსაწყოს

საძიებელი

ნ. ხარაზიშვილი — ისწავლეთ მიწის სიყვარული (ფერადი ვი) 2
მ. გელაშვილი — დონია კიხოტა და სხვები (მოთხრობა) . 4
დიადი აღმავლობის წლები (წერილი) . . . 3
გ. ძიძიკაშვილი — ლექსები 9
გ. ზაუტაშვილი — და იყო სიჩუმე (ლექსი) . . . 9
მ. კარბარეთელი — მცირე აკადემია და მისი მიმენელები (ნარკვევი) 10
ზ. განელაშვილი — ლექსები 12
გ. კეტრიაშვილი — ირინე და საჰაერო ბურთი (ზღაპარი) . 13
ნ. ფაილოძე — გარდაქმნის აქტივისტთა საკავშირო შეკრება არტეკში (წერილი) 15
ანი 18
ჰ. ანდერსენი — ნამცეცა (ზღაპარი) 19
ი. გლიაძე, რ. გოჭორიშვილი — მათემატიკური ლოგიკის ელემენტები (წერილი) 24
ვ. სიდამონიძე — ჩვენი წარსულიდან (წერილი) . . 25
შეკრიბოთ ხალხური სიუჟეტი 27
ა. შინგატიროვი — მტრედი (მოთხრობა) . . . 29
სახალისო ქიმია 30
ცოცხური იუმორი 30
საინტერესო სიახლენი 31
ჯადოსნური სარკე 31
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3
შ. შამანაური — რომ კვლავ ერქვას საქართველო (ლექსი) . . . . . გარეკ. 4

გარეკანის 1-ელი გვერდის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძისა „დედა“ — რაულ გუხრაშვილის ფოტოეტიუდი გარეკ. 4

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუბზარ აშხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26.07. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.09.88 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4,9. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 1928. ტირაჟი 154000. ეგზ., უე 09431.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВИЧ

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60X90 1/8, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9.
Тираж 154000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1988 წ.



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. თეთრი ლითონი; 2. გარეული ცხოველი; 4. ნაკუწკიანი ნაყოფი; 5. ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.; 6 ტალახი; 7. ქიმიური ელემენტი; 10. სახმელეთო შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 12. ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე; 13. ერთ-ერთი სამეცნიერო დარგის სპეციალისტი; 15. მწუხარება, ანუ... 16. ფრინველი; 17. აფრიკის სახელმწიფო; 18. წრეხაზის ორი წერტილის შემაერთებელი ხაზი, რომელიც ცენტრში არ გადის; 22. მატერიის უმცირესი ნაწილი; 24 ბოსტნეული მცენარე; 27. სხვისი ქონების მალვით წამღები; 28. კანის დაავადება; 29. საჰიგიენო დაწესებულება; 30. ხემცენარე; 31. შინაური ცხოველი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. შექსპირის „ოტელოს" პერსონაჟი; 3. რიცხვი; 7. გაპატენტილი ბამბის ფთილა; 8. თვალმრუდი; 9. გამკვირვალე ნივთების ფირფიტა; 11. ალმაცერი, ანუ... 14. უმავთულო კავშირგაბმულობა; 17. პოეტური ნაწარმოები; 19. ძველებური სატრანსპორტო საშუალება; 20. მიწაში ამოთხრილი ადგილი; 21. სამეურნეო იარაღი; 23. სუნამოს შუშა; 25. ცენტრალური ნერვული სისტემის უმთავრესი ორგანო; 26. ოცი კაპიკი; 27. მეცნიერების დარგი; 32. საქართველოს მდინარე; 33. სადურგლო იარაღი; 34. ფრინველი; 35. მხრის ძირი; 36. უველაზე დიდი არტერია ადამიანის ორგანიზმში.

შეადგინა
Ბ. ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲘᲞᲝᲕᲔᲗ 14 ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ

ᲗᲐᲕᲡᲐᲮᲔᲚᲘ

ᲗᲐᲕᲡᲐᲮᲔᲚᲘ

ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ნუ გეგონებათ მარტივი
ამ გამოცანის აზრი:
უსალტეო და უკოურო
მუკში მიჭირავს კასრი.
არც ძირი აქვს და
არც პირი,
ანდა რაიმე ხვრელი...
მაინც პირთამდე სავსეა...
მიხვდით?
გავშალო ხელი?

●

ხის მდინარეს მიჭყვება
აღმა გემი ხის.
იგრაგნება ხის კვამლი —
ხრიი, ხრიი, ხრი...

●

თუ დამჭირდა —
სითხეს ვაკრობ,
თუ გაჭირდა —
სითხე მაკრობს.

ნ. ᲛᲐᲠᲘᲮᲘᲐ

ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

საუკუნის წელთა რიცხვი
შეამცირე ბოლო ხმოვნით,
თავთავიან კულტურათა
მარცვლის ბუდეც იცი, მგონი,
ეს ის ნაწილები გაბლავს,
ერთ ეკლიან ბუჩქს რომ ჰყოფნის.

●

რაც არის ერთობაშიო, —
მას ანდაზაში ნახავ,
ბაყაყის ხმიანობა კი
მომდევნო სიტყვა გაბლავს.
ოღონდ იმ მარცვალს შეუკვეც,
რომელიც თავში აბლავს,
და ერთად რასაც მიიღებ,
იგი მაუწყე ახლა.

Შ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ № 8-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ „ᲪᲮᲠᲐᲙᲐᲚᲘᲕᲣᲚᲖᲔ"

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 7. კოლუმბია; 8. ქალამანი; 9. ცირკი; 11. მარშალი; 12. ფირმანი; 13. აფსკი; 14. ხტადია; 17. ლიახვი; 19. ინტერვენცია; 22. პარიზი; 24. ორიოლი; 26. მაცნე; 28. საფანტი; 29. ლომოური; 30. ზვარე; 31 ანდიუანი; 32. სინტაქსი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. კონტაქტი; 2. ამანათი; 3. დიქცია; 4. ტარიფი; 5. სამურაი; 6. ანტონოვი; 10 რესტავრაცია; 15. „დაისი"; 16. ალტაი; 17. „ლაცო"; 18. ალამი; 20. მაკარონი; 21. კლარენსი; 23. ზონდაჟი; 25. რემონტი; 26. მიზანი; 27. ელეგია.

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

წიგნი, ასი, გნიასი

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ნაკიანი წელი, სიზმარი, სავარცხელი, ცეცხლი, ჰიდროელსადგური, ელვა, ძილი, საცერი;

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

14.06.7.2.0.5.23
8.4.6.0.7.2.3
8.7.3.1.4.5.2
5.2.3.1.8.4.7

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კვლავ ერქვას საქართველო

ჩვენს საყვარელ მამულ-დედულს,
საფიცარს და სასახელოს,
მრავალ საუკუნის მერეც
რომ კვლავ ერქვას საქართველო,

კვლავ ზეობდეს რუსთაველის
ენა იმერ-ამიერით,
კვლავ გრგვინავდეს მთიდან მთამდე
„ლილე", „მრავალჟამიერი", —

ყოველ ჭერქვეშ უფრო ხშირად
უნდა ღუღუნებდეს „ნანა",
უფრო მეტი ყრმა აკვნიდან
ანათებდეს მთვარისთანა,

უნდა ყველა ქართველის დედა
ქათქათებდეს ნათლის სვეტად,
აღზევებდეს მშობელ მხარეს
ხიმრავლეთი თავის ძეთა,

აუნთებდეს შვილებს სანთლად
უპირველეს, წმინდა მცნებას —
სათაყვანო მამულისთვის
სიცოცხლეს და თავდადებას.

ეს გოგონაც, მომავალი
დედის განსახიერება —
მჯერა, არის ხვალინდელი
საქართველოს ძლიერება.

შ. შამანაური

ფოტოეტიუდი რაულ ბუხრაშვილისა

ინდექსი 76157

ფასი 20 კაპ.